# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი, 21 აპრილი, 2009 №19 (3512) | ფასი 1 ლარი


# ალკმაარის!

## შოთამ მწვრთნელობა ოქროთი დაიწყო




ინტერვიუ შოთა არველაძესთან იხილეთ მეორე გვერდზე





# ოლიმპი — ვიტ ჯორჯიას ალმასკომი გაარჩევს!



სარბიელის არქივიდან

# დღეს: დიდი და პატარა სამშაბათობა



ალკმაარელები „აიაქსის“ დამარცხებით ხარობენ

# ფეხბედნიერი

## შოთა არველაძე: როგორ შეიძლება, ნაკრების გაწვრთნაზე არ ვფიქრობდე?!

**პირველად 1981 წლის შემდეგ — „აზ ალკმაარი“ ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა. ეს არის პირველი ტიტული მწვრთნელ-არველაძისთვის. შარშან ლუის ვან გაალის თანაშემწედ დანიშნული შოთა არველაძე ბედნიერი ფეხის გამოდგა „ალკმაარისთვის“. აზელებმა შინ 1:2 წააგეს „ვიტესთან“, თუმცა მათმა შორეულმა მდევრებმა, „ტვენტემ“ და „აიაქსმაც“ ვერ მოახერხეს მოგება და... შოთას გუშინ ჰოლანდიაში დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ...**

— როგორი შეგრძნებაა პირველი სამწვრთნელო ტიტული შოთა არველაძისთვის?

— ჯერ კარგად ვერ გავითავისე. აი, მომდევნო მატჩისას პოდიუმზე რომ ავალთ, მედლებს რომ ჩამოგვკიდებენ და ხალხი რომ ტაშს დაგვიკრავს, მაშინ შევიგრძნობ ალბათ ბოლომდე ამ ჩემპიონობას.

— ალკმაარში დიდი ამბები იქნება...

— როგორი საქმეა, 28 წელია, გუნდი ჩემპიონი არ გამხდარა. ალკმაარისთვის ეს სერიოზული წარმატებაა, მით უმეტეს, ისეთ გუნდებთან ბრძოლაში, როგორებიც „აიაქსი“, „ფეიენოორდი“ და „პსვ ეინდჰოვენი“ არიან.

— თუმცა „ვიტესთან“ მატჩი ვერ გამოდგა ისეთი, როგორც გსურდათ...

— ფეხბურთი ასეთია. რომ გგონია, ამ გუნდს იოლად დაამარცხებ, სხვანაირად გამოდის. რაც მთავარია, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

— ცოტა ხნის წინ, როცა „ალკმაარი“ კაპიტანი იყავი, ჩემპიონობა გადამწყვეტ მატჩში დაკარგე. რატომ ვერ ეხერხებს გუნდი ამ გადამწყვეტი თამაშის მოგებას ხოლმე?

— ეს არ იყო გადამწყვეტი თამაში. კონკურენტებთან იმხელა უპირატესობა გვქონდა, რომ დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად გავინაღდებდით ჩემპიონობას.

— გასაგებია, მაგრამ ხომ ფაქტია, გუნდი შინ თამაშობს და შეუძლია, ოფიციალურად გააფორმოს ყველაფერი...

— კი, ეგ მომენტი იყო, მაგრამ... რა ვიცი... ასე მოხდა... კარგად დავიწყეთ, ვიგებდით კიდეც... მერე სულელური გოლები გავუშვით და... ამას უკვე რაღა მნიშვნელობა აქვს.

— ფეხბურთელმა არველაძემ მწვრთნელ არველაძისგან განსხვავებით „ალკმაარში“ ჩემპიონობა ვერ მოიგო. გული ხომ არ გწყდება იმ სეზონზე, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ?

— როგორ გითხრა... მთავარია, რომ გავხდი ჩემპიონი და სიმართლე ვთქვა, დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, ეს რა ამპლუაში მოხდა. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, ფეხბურთელობის დროსაც მომეხერხებინა ეს, მაგრამ რა ვუყოთ. ასე მოხდა და ამის გამო თავს ნაღდად არ ვიკლავ. ეს უკვე წარსულია და არ ღირს ამაზე ნერვიულობა. ჩემთვის მთავარი ახლა წინსვლაა. უნდა ვისწავლო და კარგად ავითვისო ის, რასაც დღეს ვაკეთებ. წინ უნდა გავიხედოთ და უკვე მომხდარზე არ უნდა ვიწუწუნოთ.

— „ვიტესთან“ თამაშის ბოლოს ლუის ვან გაალის გვერდით გამოჩნდი. უკვე შეგიძლია სათადარიგოთა სკამზე ჯდომა?

— კი, ამის უფლება მომცეს. უბრალოდ, როცა სამი მწვრთნელი ზის სათადარიგოთა სკამზე, მე ტრიბუნაზე ვჯდები და იქიდან ვაკონტროლებ გუნდის თამაშს. ასე გვაქვს განაწილებული ფუნქციები, თორემ, მაგალითად, „ბრედასთან“ მატჩში ვან გაალის გვერდით ვიჯექი.

— ლიცენზიას როდის აიღებ?

— საქართველოში ჩამოვალ და მაისის ბოლოს ლიცენზიასაც ავიღებ.

— რა შეუძლია ამ „ალკმაარს“ ჩემპიონთა ლიგაში?

— ვფიქრობ, მომავალი სეზონი ძალიან რთული იქნება. ეს სიახლეა გუნდისთვის და გამოუცდელობა ცუდ სამსახურს გაგვიწევს. ვნახოთ, ჩვენ მაინც ვიბრძოლებთ და თუ უფრო ხშირად მოვახერხეთ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა, მერე უკვე შეიძლება გარკვეულ წარმატებაზე ფიქრი.

— ახლა ბევრი ლაპარაკია ლუის ვან გაალის რომელიმე გრანდში დანიშვნის თაობაზე. როგორ გგონია, წავა ის „ალკმაარიდან“?

— არ ვიცი, ჯერჯერობით ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს.

— შეუძლებელია, შოთა არველაძეს ელაპარაკებოდე და საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე არაფერი ჰკითხო, მით უმეტეს, ეს ბოლო პერიოდი ძალიან რთული გამოდგა ჩვენთვის. შენი აზრით, რა არის ქართული ფეხბურთის საშველი?

— ვფიქრობ, კითხვა არასწორადაა დასმული. საშველი როგორ არ არის? თავის დროზე შესარჩევ ჯგუფში მესამე ადგილზე რომ გავდიოდით და მხოლოდ გრანდებთან ვაგებდით, მახსოვს, მაშინაც დიდი უკმაყოფილება იყო ქომაგებში. გასაგებია, რომ ახლა რთულ დღეში ვართ, მაგრამ მუშაობის გაგრძელებაა საჭირო და აუცილებლად გვეშველება. უკვე ბევრი ფეხბურთელი თამაშობს ნაკრებში ჩვენი ჩემპიონატიდან, რაც კარგია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მდგომარეობა გამოსწორდება.

— ისე, როცა მწვრთნელობას გემო გაუგე, არ არსებობს, გულის კუნჭულში ნაკრების გაწვრთნაზე არ ფიქრობდე...

— როგორ გითხრა... მე რომ მკითხო, შეიძლება, დღესვე წამოვიდე ნაკრებში, მაგრამ ასე იოლად არ არის ეს ამბავი. როგორ შეიძლება, ნაკრების მწვრთნელობაზე არ ვფიქრობდე?! უბრალოდ, ჯერ დროა საჭირო, მზად უნდა ვიყო ამ ნაბიჯის გადასადგმელად. ახლა ვხვდები, რომ ეს ერთი წელი, რაც მწვრთნელად ვმუშაობ, დიდი გამოცდილება მივიღე და წარმოიდგინე, რა იქნება ორი წლის მერე, სამი წლის მერე... ამ ყველაფერს შემზადება სჭირდება. ახლა კი ნაკრებს მწვრთნელი ჰყავს და ყველა უნდა დავეხმაროთ მას, რითიც შეგვეძლება.

— კეთილი. როგორც ვიცი, „ფონდი არველაძეს“ მუშაობაში სიახლეები იგეგმება...

— მალე გავუშვებთ ახალგაზრდა ფეხბურთელებს გერმანიაში, დანიაში და ჰოლანდიაში. ვნახოთ, როგორ გამოიჩენენ თავს. ყველაფერი მათზეა დამოკიდებული.

— რა ასაკის ფეხბურთელებზეა ლაპარაკი?

— 17-20 წლისანები არიან. კიდევ ერთი სიახლე ისაა, რომ ივნისის დასაწყისში მეკარეების სკოლას გავხსნით. ესეც მნიშვნელოვანი პროექტი უნდა იყოს და ვნახოთ...

**ბახა შალამბერიძე**

# ისეთი არაფერი

**გერმანია:** გელზენკირხენის „შალკემ“ მორიგი მატჩი მოიგო. ამჯერად „ხუმარებმა“ 4:0 გაანადგურეს „კოტბუსი“.

ლევან კობიაშვილმა სრულად ითამაშა, ლევან ყენია კი სათადარიგო იყო.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გამოჩნდა ალექსანდრე იაშვილი. მისმა „კარლსრუემ“ ქულა აართვა (2:2) „ჰოფენჰაიმს“ და ქართველი ფეხბურთელი 63-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

მეორე ბუნდესლიგაში „ფრაიბურგმა“ 3:2 სძლია „ინგოლშტადტს“. დავით თარგამაძე სათადარიგო იყო.

ლევან ცქიტიშვილი კი 0:1 დამარცხდა „ფიურტთან“, თუმცა ქართველ ნახევარმცველს არ უთამაშია.

**ავსტრია:** გრაცის „შტურმმა“ ვერაფერი მოუხერხა „კერნტენს“ (0:0). ილია კანდელაკმა სრულად ითამაშა, გიორგი შაშიაშვილმა კი იუქმა.

**ინგლისი:** „ბლექბერნმა“ ამჯერადაც ზურაბ ხიზანიშვილის გარეშე ითამაშა — 0:1 „სტოკთან“.

ქართველი მცველი სათადარიგო იყო.

**ჩეხეთი:** დიმიტრი ტატანაშვილის „პლზენი“ სტუმრად 0:2 დამარცხდა „სპარტასთან“. ჩვენიანი 83-ე წუთზე ჩაერთო თამაშში.

**უნგრეთი:** „დიორ ეტომ“ გასვლაზე მნიშვნელოვანი სამი ქულა აიღო „დიოშდიორთან“ — 3:2. რატი ალექსიძემ 90 წუთი ითამაშა, დავით ოდიკაძე კი მცირე ტრავმის გამო არ გამოჩენილა.

დამარცხდა დავით იმედაშვილის „ნიირეჯიჰაზა“ — 0:1 „ჰონვედთან“. იმედაშვილი სრულად გაისარჯა.

**რუსეთი:** ნალჩიკის „სპარტაკმა“ 0:1 წააგო „ტომთან“. ალექსანდრე ამისულაშვილი შეუცვლელად გაისარჯა, გოგიტა გოგუა კი სათადარიგო იყო.

„მოსკვამ“ ურთულეს მატჩში 1:0 მოუგო „სატურნს“ და ამაში გია გრიგალავაც დაიხმარა. ქართველი მცველი 25-ე წუთზე ჩაერთო თამაშში.

ყაზანის „რუბინმა“ 3:0 იმსხვერპლა მოსკოვის „დინამო“.

ლაშა სალუქვაძე ძირითად შემადგენლობაში იყო, მაგრამ დაშავდა და 30-ე წუთზე დავით კვირკველიამ შეცვალა. ნუკრი რევიშვილი არ გამოჩენილა.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ შინ 1:1 გაახერხა სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან“.

დავით მუჯირი სათადარიგო იყო.

**უკრაინა:** სიმფეროპოლის „ტავრიამ“ 3:0 მოუგო „ხარკოვს“.

ტავრიელებს, ვასილ გიგიაძეს და ლადო ბურდულს არ უთამაშიათ.

4:0 მოიგო კიევის „არსენალმა“, თუმცა „ილიჩევეცთან“ შეხვედრაში ლაშა ჯაკობია სათადარიგოობას დასჯერდა.

სანდრო გურულის „კარპატიმ“ და გიორგი ციმაკურიძის „ზარიამ“ ქულები გაიყვეს (1:1). გურულმა 90 წუთი ითამაშა, ციმაკურიძე კი 67-ეზე შეცვალეს. ქართველმა მცველმა მანამდე საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და პენალტი „აიკიდა“.

„დნეპრომ“ უქართველებოდ მოუგო (1:0) ზაპოროჟიეს „მეტალურგს“. ბექა გოცირიძე სათადარიგო იყო, სანდრო კობახიძე განაცხადში ვერ მოხვდა, ჯაბა კანკავა კი ტრავმირებულია.

კიევის „დინამომ“ მალხაზ ასათიანის გარეშე 1:2 დათმო სტუმრად „კრივბასთან“.

**მოლდოვა:** ტირასპოლის „შერიფმა“ 2:0 მოუგო „დინამოს“.

ვაჟა თარხნიშვილმა, ცხადია, შეუცვლელად ითამაშა.

„დაჩიამ“ 2:0 იმარჯვა („ოლიმპიასთან“) და ამაში ორი ქართველი დაიხმარა — კახა მჟავანაძემ და ჯაბა დვალმა სრულად ითამაშეს, ლევან კორღალიძე კი არ გამოჩენილა.

**ლატვია:** მოულოდნელად, 0:4 განადგურდა ლიეპაიას „მეტალურგსთან“ რიგის „სკონტო“.

დავით გამეზარდაშვილმა და ვლადიმერ დვალიშვილმა სრულად კი ითამაშეს, თუმცა გუნდს ვერაფრით უშველეს.

„ვენტსპილსმა“ 0:0 ეთამაშა თამაზ პერტიას „დინაბურგს“. ვენტსპილსელი ზურაბ მენთეშაშვილი 74-ე წუთზე შეცვალეს, დინაბურგელმა ირაკლი ქორთუამ კი ბოლო ოთხი წუთი ითამაშა.

**აზერბაიჯანი:** „ბაკუ“ 0:3 განადგურდა „ხაზარ-ლენქორანთან“.

გიორგი ადამიამ შეუცვლელად ითამაშა, გიორგი დემეტრაძე შესვენებაზე შეცვალეს, ამირან მუჯირმა კი 64-ე წუთზე დატოვა მოედანი.

ზაქათალის „სიმურგმა“ 2:0 მოუგო „ოლიმპიკს“ და ერთი გოლი დავით ბოლქვაძემ გაიტანა.

ზაქათალელთა შორის კახა ჩხეტიანმა და მიხეილ მახვილაძემ 90-90 წუთი ითამაშეს, ბოლქვაძე ბოლო წამებზე შეცვალეს, გრიგოლ დოლიძე კი ტრავმირებულია.

რაც შეეხებათ ოლიმპიკელ ქართველებს — ალექსანდრე გოგობერიშვილი შეუცვლელი იყო, რომან ახალკაცი 59-ე წუთზე ჩაერთო თამაშში, რევაზ გეწაძე კი არ გამოჩენილა.

ბადრი კვარაცხელიას „სტანდარდი“ 1:2 დამარცხდა „გაბალასთან“. ლევან სილაგაძემ („სტანდარდი“), თორნიკე აფციაურმა და გოგა ბერაიამ (ორივე „გაბალა“) სრულად ითამაშეს.

„ქარვანმა“ 3:1 სძლია „მუღანს“ და ერთი ბურთი მიხეილ მესხმა შეაგდო

მესხმა და ალექსანდრე ინწკირველმა სრულად ითამაშეს, ისევე, როგორც მუღანელმა გივი ჩხეტიანმა.

**ბახა შალამბერიძე**

ბოლნისის „სიონი“ სამძიმარს უცხადებს გუნდის მთავარ მწვრთნელ ოთარ კორღალიძეს

**მამის**

გარდაცვალების გამო

სარბიელელები თანაგრძნობას ვუცხადებთ ბოლნისის „სიონის“ . მთავარ მწვრთნელ ოთარ კორღალიძეს

**მამის**

გარდაცვალების გამო



# კატანია? სისულელეა!

## ლევან მჭედლიძე: ჩემი დროც დადგება

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელ ლევან მჭედლიძეს ბოლო ორი ტურია, „პალერმოში“ არ უთამაშია. საბედნიეროდ, ლევანს ტრავმა არ აწუხებს და მისი უთამაშებლობაც საინტერესო თემა გამოდგა იტალიელი ჟურნალისტებისთვის — იქაურ პრესაში უკვე გაჩნდა ცნობები, თითქოს ვალტერ ძენგას ქართველი თავდამსხმელის „კატანიაში“ გადაყვანა უნდა. მოკლედ, ყველაფრის გასარკვევად ლევანთან დაკავშირება გადავწყვიტეთ და აი, რა გვითხრა, 18 წლის თავდამსხმელმა...

— ძენგას რომ ეს ეთქვას, პირველად მესმის. ასეთ განცხადებას ის არ გააკეთებდა, რადგან დარწმუნებული ვარ, „პალერმოს“ პრეზიდენტი ასე იოლად არ დათმობს არაფერს. არა მგონია, კლუბი ახლა ჩემს გაყიდვაზე ფიქრობდეს.

— ფაქტია, რომ იტალიურ პრესაში უკვე გაჩნდა ასეთი ვარაუდები...

— საკითხი ასე ნამდვილად არ დგას. არ ვიცი, საიდან წამოვიდა ეს ხმები...

**— თავად კმაყოფილი ხარ „პალერმოში“ ყოფნით?**

— აქ მართლა ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. ერთადერთი, რაც არ მომწონს, უთამაშებლობაა და იმედი მაქვს, მალე ესეც გამოსწორდება. საკუთარი თავის მჯერა და მგონია, რომ მალე მეც მომიწევს ხშირად თამაში. ძალიან მინდა, ძირითადში ვითამაშო და არა მხოლოდ მაშინ, როცა გუნდს უჭირს და შეცვლაზე მიშვებენ ხოლმე. ეს არ არის ჩემთვის საკმარისი.

**— არადა, ორი ტურის წინ საკმაოდ კარგი შეფასება მიიღე ჟურნალისტებისგან და გვეგონა, ამის შემდეგ უფრო მოგეცემოდა შანსი...**

— მეც ასე მეგონა, მაგრამ ხომ ვხედავთ, როგორია ფეხბურთი — ხან ასეა, ხან ისე. არა უშავს, ჩემი დროც დადგება. ყოველთვის ბოლომდე ვიბრძოდი მიზნის მისაღწევად და ყოველთვის ვიღებდი იმას, რაც მსურდა. ასე რომ, იმედიანად ვარ.

**— მოკლედ, ისე ჩანს, გუნდის შეცვლას არ აპირებ და „კატანიაც“ შეგვიძლია, საბოლოოდ დავივიწყოთ...**

— თუ საჭირო იქნა, გუნდსაც შევიცვლი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „კატანიასთან“ მოლაპარაკება მაქვს. ეს ვარიანტი რომც იყოს, არა მგონია, „პალერმოდან“ „კატანიაში“ გადასვლა ჩემგან გამართლებული ნაბიჯი იყოს. ვფიქრობ, ეს დიდი სისულელე იქნებოდა...

**— გასაგებია. ერთსაც გკითხავ: ბოლოს ნაკრებიდან კლუბში ტრავმით დაბრუნდი. რაიმე გართულება ხომ არ მოჰყოლია ამას?**

— არა, ჯანმრთელად ვარ და საბედნიეროდ, არაფერი მაწუხებს. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ მალე ისევ გავიდე მოედანზე და ჩემი შესაძლებლობები დავამტკიცო.

**ქახა შალამბერიძე**

# ქეცბაიას მოლოდინი

## რას აირჩევს ქართველი მწვრთნელი?

**თემურ ქეცბაიამ** „ანორთოსისი“ დატოვა და ახლა ვარიანტებს არჩევს.

ასე დასრულდა ქართველი მწვრთნელის კვიპროსული ოდისეა — არაფრით გამორჩეული გუნდის ჩემპიონთა ლიგაში გაყვანით ქეცბაიამ საქვეყნოდ გაითქვა სახელი და მართლაც რომ დროა, ახალ საფეხურზე მოსინჯოს ძალა.



გადადგომა და ვარაუდების დაწყება ერთი იყო. რა აღარ ითქვა — აქეთ „ოლიმპიაკოსიო“, იქით „ნიუკასლიო“, „პანიონიოსიო“, „ატრომიტოსიო“, დონეცკის „მეტალურგიო“...

მოკლედ, ქეცბაიას საქმე ასარჩევად აქვს და ისე ჩანს, რომ უკეთესი ვარიანტიც ეგულება, თორემ „პანიონიოსის“ ვიცე-პრეზიდენტ გეორგიოს აპეგიტოსთან შეხვედრისას საბოლოო პასუხს იტყოდა.

ბერძნული სააგენტოების მტკიცებით კი, ქართველი მწვრთნელი ჯერჯერობით თავს იკავებს მოლაპარაკებების გაღრმავებისგან...

ჯერ კიდევ ზამთარში იცოდა ყველამ, რომ თემურ ქეცბაიას „ანორთოსისიდან“ წასვლის შემდეგ სახლში ჯდომა დიდხანს არ მოუწევდა. უეფამ 40 წლის ქართველი სპეციალისტი წლის გამორჩეულ ხუთ მწვრთნელს შორისაც კი დაასახელა და ეს უკვე დიდი აღიარება იყო.

ზამთარშივე ცდილობდა მის გადაბირებას ინგლისური „ნიუკასლი“. გუნდი, რომელში თამაშითაც თემურმა მთელ ბრიტანეთს დაამახსოვრა თავი, მაგრამ „კაჭკაჭების“ მცირეხნიან კონტრაქტზე თანხმობა იუარა და მოვლენების განვითარებას დაელოდა.

ეგებ ასეც სჯობდა, რადგან ქეცბაიას ახლა უფრო მშვიდად შეუძლია საკუთარი მომავლის გარკვევა, თუმცა ვერც იმათ აზრს მივაყრით მიწას, ვინც ფიქრობს, რომ თემურს „ნიუკასლის“ ვარიანტის გამორჩენისას უნდა გაერისკა.

მოკლედ, საქმე ასეა და ვნახოთ, რას აირჩევს ჩვენებური. იქამდე კი იმასაც გეტყვით, რომ „ანორთოსისი“ ქეცბაიას თანაშემწე სოსო ჭედიამაც დატოვა. კვიპროსული კლუბი მადლობას უხდის ქართველებს გაწეული ამაგისთვის და წარმატებებს უსურვებს კარიერაში. საინტერესო ისაა, სად იქნება გაგრძელება...

**ქახა შალამბერიძე**

# ნაადგომევი სამშაბათობა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების თავკაცი ექტორ რაული კუპერი გუშინ ჩამოვიდა თბილისში და დღეს მორიგ „სამშაბათობასაც“ ჩაატარებს. ამაში კუპერს მისი თანაშემწე, ხოსე ფანტაგუცი დაეხმარება, ვინც უკვე აქ არის და ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩებსაც დაესწრო.



ამდენად, სასამშაბათო სიაც, ფაქტობრივად, ფანტაგუცის შედგენილია, ვისაც თბილისში რამდენიმე დღით მეუღლემ ჩამოაკითხა.

ერთიც: როგორც შევიტყვეთ, ორიოდ კვირაში კუპერი დანიაში ჩავა და იქაურ ლეგიონერებს, გიორგი ფოფხაძეს და დავით დევდარიანს მოინახულებს.

**ოთარ მხეიძე**

# საქართველომ დანიაც დაგეგმა



**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციამ მორიგი ამხანაგური მატჩი დაუგეგმა ახალგაზრდულ ნაკრებს.

გადაწყვეტილია, რომ 13 ოქტომბერს კახა ცხადაძის შეგირდები სტუმრად დანიას გაეჯიბრებიან.

ჩვენებს 9 ოქტომბერს ევროშესარჩევი მატჩი აქვთ ირლანდიაში და იქიდან ჩავლენ ოლბორგში, სადაც გაიმართება კიდეც ამხანაგური შეხვედრა.

შეგახსენებთ, რომ დანიელებამდე ქართველი 21-წლამდელები მოლდოვას (6 ივნისი), ალბანეთს (10 ივნისი) და ლიტვას (12 აგვისტო) გაეჯიბრებიან. 5 და 9 სექტემბერს კი ოფიციალური მატჩები ელით სტუმრად ესტონეთთან და შინ თურქეთთან.

ერთიც: ეროვნულის დარად, დღეს „სამშაბათობას“ გამართავს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც. გუნდი ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ შეიკრიბება.

**ქახა შალამბერიძე**

# გეფერიძის დუბლით უმაღლესი ლიგისკენ

**ისრაელის** მეორე ლიგის ლიდერმა ჰაიფას „ჰაპოელმა“ 2:1 მოუგო „ირონი ნირს“ და ორივე გოლი ქართველმა თავდამსხმელმა ირაკლი გეფერიძემ გაიტანა.

ჰაიფელები პირველი ტაიმის შემდეგ 0:1-ს აგებდნენ, თუმცა 51-ე და 57-ე წუთებზე გეფერიძემ დუბლი მიითვალა და გუნდს სამი ქულა დაუბევა.

54-ქულიანი „ჰაპოელი“ ახალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში ითამაშებს, რაშიც ქართველმა ფეხბურთელმა 10-გოლიანი წვლილი შეიტანა.

**ქახა შალამბერიძე**

# თვალი თვალი

ძალიან საინტერესო სურათი ჩაგვივარდა ხელში... ეს არის საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები, რომელმაც მარტის ბოლოს ავსტრიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში ითამაშა. ფოტო გადაღებულია ავსტრიასთან მატჩის წინ და გულშემატკივართა ვებგვერდ **www.forum.ge**-ს ერთ-ერთმა მომხმარებელმა მოიპოვა. ჩვენმა თანამშრომელმა კი სურათის ნახვისას მოსწრებულად იხუმრა — ფოტოგრაფი ალბათ მეკარე იყო...



# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

28 ტური



სარბიელის არქივიდან

ნიკა გელაშვილმა გრიგოლ ბედიაშვილს პენალტი გაუტანა და ბომბარდირებშიც დაწინაურდა

## ვიტ ჯორჯიამ ზესტაფონს შტურმი გადააფიქრებინა

**ვიტ ჯორჯია 2:1 ზესტაფონი**

**ტურის** მთავარი მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა.

ეგაა, სველმა მოედანმა გუნდებს ხელი შეუშალა — ფეხბურთელები ბურთის იოლად დამორჩილებას და ზუსტი პასის გაკეთებას ველარ ახერხებდნენ და წუნიც თვალსაჩინო იყო.

ვიტელები უკვე მე-2 წუთზე დაწინაურდნენ. გიორგი მელქაძის ჭკვიანურ პასს გიორგი ბერიაშვილმა უზუსტესი დარტყმა მიაყოლა — ბურთი მეკარის წინ დაეცა და ისე შევარდა კარში. ლამაზი გოლი იყო...

„ვიტ ჯორჯიასაც“ მეტი რა უნდოდა, სწრაფი გოლით გულდამშვიდებულმა მოედნის ცენტრში გაუმართა ბრძოლა „ზესტაფონს“ და ამით იმერლების შემტევ პოტენციალს მიაყენა დარტყმა.

ფეროელებს კომბინაციების გათამაშება გაუჭირდათ და პირდაპირ დაცვიდან დაიწყეს ბურთის ამოტანა, თუმცა ვერც გრძელმა გადაცემებმა გამოიღეს შედეგი — ნესტორ მუმლაძის გუნდს სანაქებოდ ჰქონდა გადაკეტილი თავისი საჯარიმოს მისადგომები.

ერთადერთი, ყველაზე რეალური მომენტი, რაც სტუმრებმა შექმნეს, გოლიდან რამდენიმე წუთშიღა იყო...

აი, მეორე ტაიმი კი „ზესტაფონმა“ უფრო მხნედ დაიწყო, ერთი-ორჯერ ალექსი ბენაშვილმა დაარტყა შორიდან, ნიკა გელაშვილიც ანერვიულებდა მცველებს, თუმცა გოლამდე საქმე არა და არ მიდიოდა...

და მაშინ, როცა სტუმრები შტურმისთვის უნდა გამზადებულიყვნენ, იქით გაუშვეს მეორე ბურთი — 64-ე წუთზე შეტევაში ჩართულმა დავით ლომაიამ ნაკუთხურალ ბურთს თავური მიაყოლა და 2:0.

თითქოს, მატჩის ბედიც აქ გადაწყდა, თუმც ფეროელებს ხელები არ ჩამოუშვიათ, მაინც ცდილობდნენ თავისას და 85-ე წუთზე შანსიც გაუჩნდათ. საჯარიმოში შეჭრილ ნიკა გელაშვილს დავით ხურცილავა ეუხეშა...

პენალტი თავად გელაშვილმა გამოიყენა და ეს მისი მე-14 გოლი გამოდგა ამ ჩემპიონატში, რამაც ზესტაფონელთა თავდამსხმელს ბომბარდირთა დავაში დაწინაურების საშუალება მისცა.

დარჩენილ წუთებში „ზესტაფონმა“ გასათანაბრებლად გაიწია და ერთი-ორჯერ ბრჭყალებიც გამოაჩინა, მაგრამ მეტი ველარაფერი შეძლო...

ვიტელებმა მოიგეს და ლიდერობაც შეინარჩუნეს, იმერლებმა კი ამ წაგებით მესამე ადგილი დაკარგეს...

**ქახა შალამბერიძე**

## თამაში სხვისთვის

**გაგრა 1:1 სპარტაკი**

**აუტსაიდერთა** შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისთვის, რამეთუ „გაგრასაც“ და ცხინვალის „სპარტაკსაც“ უმაღლეს ლიგაში დარჩენის იმედი ჯერაც შერჩენიათ.

მოკლედ, რომ იტყვიან, ექვსქულიანი თამაში იყო და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ამ 1:1-ით ყველაზე მეტად ახალციხის „მესხეთმა“ გაიხარა.

ფრე, რომელიც გლდანში, „ამერის“ სტადიონზე დაფიქსირდა, არც „გაგრას“ აძლევდა ხელს და არც „სპარტაკს“.

ცხინვალელებმა 25-ე წუთზე შეძლეს გოლის გატანა — თავი ვაჟა ქორიძემ გამოიჩინა — და დიდი თავსატეხიც გაუჩინეს მასპინძლებს, თუმცა დავით გიგაურმა ოთხ წუთში შეძლო წონასწორობის აღდგენა.

ამის შემდეგ გუნდები ბევრს ეცადნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ — გოლის გატანა ველარ შეძლეს და ცხრილში სტატუს-კვო შეინარჩუნეს.

ახლა ყველაფერი ახალციხელებზეა დამოკიდებული და ვნახოთ, როგორ გამოიყენებენ ამ შანსს ისინი.

„გაგრამ“ და „სპარტაკმა“ კი, თავიანთი თამაშების გარდა, სწორედ „მესხეთის“ შედეგებსაც უნდა ადევნონ თვალ-ყური.

მოკლედ, თვალსასეირო ამბები გველის...

---

17 აპრილი. 16 საათი

**სკ გაგრა — სპარტაკი ცხინვალი 1:1**

თბილისი. ამერი. 600 მაყურებელი

0:1 ქორიძე (25), 1:1 გიგაური (29)

გაგრა: თევდორაძე, ტყეშელაშვილი, გიგაური, კოზლენკო, გაბუნია, ფილია (თუხარელი 85), შარიქაძე (ცხადაია 61), ლ. ნოზაძე, ოვონიკოკო, გაბედავა, ბ. ცხადაძე (დ. ჩხაიძე 80)

*სათადარიგონი:* კოტრიკაძე, გედენიძე, ჩარგეიშვილი, მოსიაშვილი

მწვრთნელი: გოჩა ჩიქოვანი

სპარტაკი: კოდალაევი, გ. თურმანიძე, გ. კვახაძე, შ. ლონლაძე, ქორიძე, ჯანგიძე, შონია, ავალიანი (თ. თარხნიშვილი 79), მაისურაძე (ჩივაძე 79), შ. ჯიქია, სირბილაძე

*სათადარიგონი:* გ. იაშვილი, გ. გაბელაია, ოქროპირიძე, მგალობლიშვილი, კობახიძე

მწვრთნელი: სერგო გაბელაია

გაფრთხილება: გიგაური (56), ტყეშელაშვილი (59), ცხადაია (63)

მსაჯები: ვ. გუმბერიძე, ი. უკლება, ზ. ერქვანია, მ. ბეუქლიშვილი

---

18 აპრილი. 16.10 საათი

**ვიტ ჯორჯია თბილისი — სკ ზესტაფონი 2:1**

გორი. თ. ბურჯანაძე. 300 მაყურებელი

1:0 ბერიაშვილი (2), 2:0 ლომაია (64), 2:1 გელაშვილი (85პ)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ბექვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია (ყველაშვილი 78), ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე (ხურცილავა 62), ბერიაშვილი (კვალინიძე 88), ლიპარტია

*სათადარიგონი:* ა. მიქაბერიძე, ი. სვანიძე, მგელაძე, ზაქრაძე

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, უ. ლობჟანიძე, ს. თოდუა, კვესიეშვილი, გორგიაშვილი (მაკარიანი 73), შ. გრიგალაშვილი, ბენაშვილი, გ. ნუგ. ქელიძე, იონანიძე (ნ. კვასხვაძე 60), ლ. მელქაძე (კაკალაძე 83), გელაშვილი

*სათადარიგონი:* მამალაძე, გ. ხიდეშელი, ჭანკოტაძე, კაჭკაჭიშვილი

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: ბენაშვილი (43), გელაშვილი (52), ბერიაშვილი (53), რაზმაძე (64), ხურცილავა (85)

მსაჯები: მ. ურუშაძე; გ. ჩიგოგიძე, ზ. ბერულავა; თ. გვანცელაძე

---

18 აპრილი. 16 საათი

**დინამო თბილისი — მესხეთი ახალციხე 2:0**

თბილისი. ეროვნული. 300 მაყურებელი

1:0 გ. კაშია (22), 2:0 ხმალაძე (76)

დინამო: ოვონო, თომაშვილი, გ. კაშია, ნერგაძე, ჩარასი, ტომიჩი (შ. კაშია 71), ხმალაძე, ნემსაძე, კოშკაძე, გ. მერებაშვილი (ლომია 87), ჯიუსი (აკირემი 62)

მწვრთნელი: კახა კაჭარავა

მესხეთი: ბათიაშვილი, ლეკიშვილი, ფარულავა, ლ. მერებაშვილი, ზ. ჩხეტიანი, ლ. ვაშაკიძე, ლ. თედიაშვილი, პ. ხორგუაშვილი, გაბიდაური, ლ. ქებაძე (გონჩაროვი 71), სამადაშვილი

მწვრთნელი: კობა თედიაშვილი

გაფრთხილება: ქებაძე (39), ლ. მერებაშვილი (77), გ. კაშია (89), გ. მერებაშვილი (86), ხმალაძე (86), ფარულავა (88)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ი. კაკაბაძე, ი. მაჩიტიძე; ლ. სილაგავა

---

18 აპრილი. 16 საათი

**მგლები ზუგდიდი — ოლიმპი რუსთავი 1:2**

ზუგდიდი. გ. თუთბერიძე. 500 მაყურებელი

0:1 ხუბუა (13), 0:2 დობროვოლსკი (34), 1:2 თოდუა (65)

მგლები: სომხიშვილი, ქითანავა, აქუბარდია, ჟიშკარიანი, ა. ბაჯელიძე, გუჩუა, პ. დათუნაიშვილი, გულორდავა, ბ. ნოზაძე (ქირია 46), გ. თოდუა, ჭედია

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

ოლიმპი: მ. ალავიძე, გ. ონიანი, თ. ლონლაძე, მაჭავარიანი, ხუბუა, დობროვოლსკი, ჩიკვილაძე, ბაბუნაშვილი (ქუცურუა 78), გ. სეთურიძე, გ. ნოდ. ქელიძე (ფიფია 64), გ. ჩხეტიანი

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

გაფრთხილება: აქუბარდია (44), ბაბუნაშვილი (55), დობროვოლსკი (62), ბაჯელიძე (74), თოდუა (76)

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ზ. გურგენაძე, ო. მოლოდინაშვილი, ჯ. ბუიშვილი

---

18 აპრილი. 16 საათი

**სკ ბორჯომი — ლოკომოტივი თბილისი 1:1**

ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 200 მაყურებელი

0:1 დიაკვნიშვილი (69), 1:1 პავლიაშვილი (79)

ბორჯომი: შეყრილაძე, ხითარიშვილი, ხაჩიძე, ი. ლომიძე (ლაბაძე 90), ნ. ლომიძე, ი. კიკნაძე, დევიძე (ქათამაძე 83), გაჩეჩილაძე, როხვაძე (გოგოლაძე 57), პაელიაშვილი, ბაქრაძე

მწვრთნელი: ჯუნგლი ქართველიშვილი

ლოკომოტივი: ბელელური, ბებუა, მ. ლომიძე, დ. ფოფხაძე, სალარიძე, ი. გილაური (ჩირიკაშვილი 46), დიაკვნიშვილი, კ. მახარაძე (ნულაძე 63), კახელიშვილი, შ. კვანტალიანი, გ. მოდებაძე (დ. ჩაგელიშვილი 46)

მწვრთნელები: გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე

გაფრთხილება: დევიძე (67), ბაქრაძე (90)

მსაჯები: გ. დოგრაშვილი, დ. კვეტენაძე, დ. კურტანიძე, ო. ხეცაძე

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

28 ტური

## სვლა 10 მაისისკენ



დანილო ტომიჩის „დინამო" მოგებებს გაუშინაურდა

www.uefa.com

**დინამო 2:0 მესხეთი**

**თბილისის** „დინამომ" მორიგი სამი ქულა ჩაიწერა და კვლავაც კუდში მისდევს ლიდერ „ვიტ ჯორჯიას".

წინა მატჩებისგან განსხვავებით დინამოელთა თამაში იმდენად შთამბეჭდავი ვერ იყო, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მათთვის მოგებაში.

ამის თაობაზე ნამატჩევს მწვრთნელმა კახა კაჭარავამაც გააკეთა კომენტარი — ბოლო რამდენიმე დღეში ზედიზედ ოთხი მატჩი ჩავატარეთ და ბიჭებს გადაღლა ეტყობოდათო.

ასეა თუ ისე, „დინამოს" გადამწყვეტი პერიოდი უდგება და ალბათ მწვრთნელები შესაბამის ზომებს მიიღებენ ფეხბურთელთა მოსამზადებლად.

„მესხეთთან" შეხვედრაში კი მასპინძლებს პრობლემები მაინც არ შექმნიათ. გურამ კაშიას და ლევან ხმალაძის თავურები საკმარისი გამოდგა სამი ქულის ასაღებად და ამის გარდა თბილისელებს კიდევ შეეძლოთ გატანა — გიორგი მერებაშვილმა ხარიხასაც კი გაარტყა ბურთი.

გულხელდაკრეფილნი არც სტუმრები ყოფილან, მაგრამ თამაშის გადარჩენა შეეძლოთო, მაინც ვერ ვიტყვით.

შეიძლება ითქვას, რომ „დინამომ" დამსახურებულად მოიგო და დღითიდღე სულ უფრო და უფრო დიდ ინტერესს იძენს 10 მაისი, როცა კახა კაჭარავას გუნდი „ეროვნულზე" „ვიტ ჯორჯიას" დაუხვდება...

**კახა შალამბერიძე**

## აღდგომა და ხვალეო...

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგა „ოლიმპი" — „ვიტ ჯორჯიას" შეხვედრებით დაინტერესდა.

ალბათ შეხსენებაც არ გჭირდებათ, რომ ამ გუნდების თამაშმა დიდი ეჭვები დაბადა საფეხბურთო საქართველოში და აუცილებელიც გახდა ამ საკითხის განხილვა (იხილეთ მე-6 გვერდი).

როგორც შევიტყვეთ, პროფლიგას სურს, თემა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის უახლოეს სხდომაზე გაიტანოს და ვნახოთ, მოჰყვება თუ არა რაიმე რეაგირება ამას.

ყოველ შემთხვევაში, ის კი საკითხავია, როგორ უნდა დაადგინოს ალმასკომმა მტყუან-მართალი, როცა მისი წევრების 95 პროცენტი მაინც ნამყოფი არ არის ამ შეხვედრებზე, თუმცა რა იცი, დაველოდოთ...

## პირველი ლიგა

## ქუთაისს ორი თავი დაადგეს: ბზიკაძე და სუხიაშვილი

**პირველლიგელმა** ქუთაისის „ტორპედო 2008"-მ კახა კარანაძე გაათავისუფლა და მის ნაცვლად გუნდი მწვრთნელთა დუეტს ჩააბარა. ამიერიდან ქუთათურებს გიორგი სუხიაშვილი და იასონ ბზიკაძე გაწვრთნიან.

კარანაძეს პირველ წრეშიც შეექმნა პრობლემები, მაშინაც იყო მის გათავისუფლებაზე ლაპარაკი, თუმცა პოსტი აქამდე შეინარჩუნა.

საბოლოოდ მისი და „ტორპედო 2008"-ის გზები მაინც გაიყარა.

შეგახსენებთ, რომ სუხიაშვილი შარშან „ბორჯომს" თავკაცობდა, ბოლოს კი „ტორპედო 2008"-ის სარეზერვო გუნდში მუშაობდა.

რაც შეეხება ბზიკაძეს, მისი სამწვრთნელო კარიერა აქამდე მხოლოდ წყალტუბოს „სამგურალით" შემოიფარგლებოდა.

საინტერესოა, რომ სუხიაშვილიც და ბზიკაძეც ფეხბურთელობის დროს ქუთაისის „ტორპედოს" ლიდერები იყვნენ, ახლა კი მათ ამ ქალაქში ფეხბურთის გამოცოცხლება სხვა როლში მოუწევთ...

დუეტმა უკვე გამართა პირველი მატჩი — 2:3 სტუმრად ფოთის „კოლხეთთან"...

**კახა შალამბერიძე**

### აღმოსავლეთი

XXVI ტური

ჰერეთი 4:0 ნორჩი დინამო

თბილისი 3:1 გაგრა 2

ამერი 3:0 სიონი 2

კახეთი 1:7 დინამო 2

დილა 1:1 ჩიხურა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 24 | 17 | 5 | 2 | 44:11 | 56 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 23 | 15 | 5 | 3 | 39:8 | 50 |
| ჩიხურა | 23 | 14 | 6 | 3 | 41:14 | 48 |
| დინამო 2 | 23 | 12 | 8 | 3 | 41:17 | 44 |
| დილა | 24 | 9 | 8 | 7 | 32:22 | 35 |
| თბილისი | 24 | 10 | 3 | 11 | 38:36 | 33 |
| სიონი 2 | 24 | 7 | 5 | 12 | 27:51 | 26 |
| გაგრა 2 | 24 | 6 | 3 | 15 | 31:50 | 21 |
| ჰერეთი | 23 | 3 | 8 | 12 | 20:46 | 17 |
| კახეთი | 24 | 3 | 6 | 15 | 16:47 | 15 |
| ნ. დინამო | 24 | 2 | 7 | 15 | 23:50 | 13 |

XXVII ტური

23 აპრილი

ნორჩი დინამო – გაგრა 2

დინამო 2 – ჰერეთი

თბილისი – სიონი 2

ამერი – კახეთი

ჩიხურა – ვიტ ჯორჯია 2

### დასავლეთი

XXVI ტური

მერანი (მ) 2:1 ხობი

ბაია 3:0 ჭიათურა

სამტრედია 4:1 გურია

კოლხეთი 3:2 ტორპედო 2008

მეშახტე 3:1 ბათუმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 24 | 17 | 2 | 5 | 45:19 | 53 |
| ბაია | 24 | 16 | 5 | 3 | 45:14 | 53 |
| მერანი (მ) | 23 | 14 | 6 | 3 | 33:17 | 48 |
| კოლხეთი | 24 | 10 | 5 | 9 | 33:28 | 35 |
| ხობი | 24 | 10 | 3 | 11 | 26:37 | 33 |
| ტორპედო | 23 | 9 | 2 | 12 | 23:19 | 29 |
| ჭიათურა | 24 | 9 | 2 | 13 | 31:39 | 29 |
| გურია | 24 | 8 | 4 | 12 | 32:39 | 28 |
| ბათუმი | 23 | 8 | 4 | 11 | 26:35 | 28 |
| ზესტაფონი 2 | 23 | 6 | 5 | 12 | 22:31 | 23 |
| მეშახტე | 24 | 2 | 4 | 18 | 14:52 | 10 |

XXVII ტური

23 აპრილი

ტორპედო 2008 – მერანი (მ)

ბათუმი – ზესტაფონი 2

ხობი – ჭიათურა

ბაია – გურია

სამტრედია – კოლხეთი

## რუს-თავურები

### ოლიმპმა ზუგდიდიდან მესამე ადგილი წაიღო

**მგლები 1:2 ოლიმპი**

**ზუგდიდის** „მგლებმა" ვერაფერი მოუხერხა რუსთავის „ოლიმპს" და სამი ქულაც გაატანა.

სტუმართათვის ეს მატჩი მნიშვნელოვანი იყო, რადგან „ზესტაფონი" „ვიტ ჯორჯიასთან" თავიდანვე აგებდა და მესამე ადგილზე გადასვლაც რეალური ხდებოდა.

საბოლოოდ, ასეც მოხდა — „ოლიმპმა" ორი ქულით გაუსწრო ფეროელებს.

ვარლამ კილასონიას გუნდმა პირველივე ტაიმში შეძლო დაწინაურება და ორბურთიანი მარაგით გავიდა შესვენებაზე — ორივე გოლი თავურით გაიტანეს რუსთაველებმა. ჯერ გელა ხუბუამ იყოჩაღა, ცოტა ხანში კი დენის დობროვოლსკიმაც შეარხია გიორგი სომხიშვილის კარის ბადე.

ატალახებული მოედანი გუნდებს კომბინაციების გათამაშების საშუალებას არ აძლევდა და „ოლიმპის" წისქვილზე წყლის დასხმას ნიშნავდა — „მგლებმა" ვერ შეძლო მეტოქის კარზე შტურმის მიტანა და ოდენ მაღალი ჩაწოდებებით ცდილობდა ფონს გასვლას.

ერთ-ერთ ასეთ ჩაწოდებას ხერიც მოჰყვა — გია თოდუამ თავით ზუსტად შეუცვალა ბურთს მიმართულება.

ეს იყო და ეს. ზუგდიდელებმა მეტი ვერაფერი მოახერხეს, გარდა იმისა, რომ ორჯერ მსაჯისგან პენალტს ითხოვდნენ, თუმცა ვერ მიიღეს...

**ოთარ მხეიძე**

## უსახური ფრე

**ბორჯომი 1:1 ლოკომოტივი**

**ზედიზედ** შვიდმატჩიანი მარცხიანი სერია შეწყვიტა „ბორჯომმა" და ვერ ვიტყვით, რომ ეს შედეგი მაინცდამაინც მოულოდნელი იყო.

ყოველ შემთხვევაში, ბოლო ხანებია, „ლოკომოტივი" ველარ აჩვენებს ისეთ თამაშს, როგორც ამას ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ახერხებდა.

კურორტ-ქალაქში გაჩაღებულ ბურთაობას საინტერესო ნაღდად არ ეთქმოდა. გუნდებმა უსახური ფეხბურთი აჩვენეს და ქულებიც სამართლიანად გაიყვეს.

გიორგი დიაკვნიშვილის გოლით „ლოკომოტივი" კი იგებდა, მაგრამ „ბორჯომის" ლიდერმა პავლიაშვილმა 79-ე წუთზე შეძლო გამთანაბრებელის გატანა და საბოლოოდ, 1:1.

თბილისელებს ამ სეზონში „დინამოსთან" თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩიღა დარჩათ სანერვიულო, თორემ სხვა მოტივაცია უკვე აღარ არსებობს...

**ოთარ მხეიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ვიტ ჯორჯია | 26 | 17 | 8 | 1 | 45:15 | 30 | 59 | 13 | 8 | 4 | 1 | 23:9 | 14 | 28 | 13 | 9 | 4 | 0 | 22:6 | 16 | 31 |
| 2 დინამო | 26 | 18 | 4 | 4 | 56:18 | 38 | 58 | 13 | 11 | 2 | 0 | 36:10 | 26 | 35 | 13 | 7 | 2 | 4 | 20:8 | 12 | 23 |
| 3 ოლიმპი | 25 | 12 | 9 | 4 | 29:17 | 12 | 45 | 12 | 6 | 5 | 1 | 14:5 | 9 | 23 | 13 | 6 | 4 | 3 | 15:12 | 3 | 22 |
| 4 ზესტაფონი | 25 | 13 | 4 | 8 | 30:21 | 9 | 43 | 12 | 8 | 0 | 4 | 18:10 | 8 | 24 | 13 | 5 | 4 | 4 | 12:11 | 1 | 19 |
| 5 სიონი | 25 | 10 | 9 | 6 | 28:21 | 7 | 39 | 12 | 4 | 5 | 3 | 14:10 | 4 | 17 | 13 | 6 | 4 | 3 | 14:11 | 3 | 22 |
| 6 ლოკომოტივი | 25 | 8 | 7 | 10 | 27:26 | 1 | 31 | 13 | 5 | 3 | 5 | 13:9 | 4 | 18 | 12 | 3 | 4 | 5 | 14:17 | -3 | 13 |
| 7 მგლები | 26 | 8 | 6 | 12 | 30:33 | -3 | 30 | 14 | 7 | 1 | 6 | 20:12 | 8 | 22 | 12 | 1 | 5 | 6 | 10:21 | -11 | 8 |
| 8 მესხეთი | 25 | 5 | 8 | 12 | 15:33 | -18 | 23 | 11 | 4 | 3 | 4 | 10:11 | -1 | 13 | 14 | 2 | 4 | 8 | 5:22 | -17 | 10 |
| 9 გაგრა | 26 | 5 | 7 | 14 | 20:41 | -21 | 22 | 14 | 4 | 5 | 5 | 15:18 | -3 | 17 | 12 | 1 | 2 | 9 | 5:23 | -18 | 5 |
| 10 სპარტაკი | 25 | 4 | 7 | 14 | 24:50 | -16 | 19 | 12 | 2 | 4 | 6 | 12:18 | -6 | 10 | 13 | 2 | 3 | 8 | 12:22 | -10 | 9 |
| 11 ბორჯომი | 26 | 2 | 7 | 17 | 19:58 | -39 | 13 | 14 | 1 | 5 | 8 | 11:25 | -14 | 8 | 12 | 1 | 2 | 9 | 8:38 | -25 | 5 |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 14 | ნიკა გელაშვილი | ზესტაფონი |
| 13 | გიორგი მერებაშვილი | დინამო |
| 11 | გია თოდუა | მგლები |
| 10 | მათე ვაწაძე | დინამო |

### XXIX ტური

24 აპრილი. პარასკევი

ოლიმპი – ბორჯომი

სპარტაკი – სიონი

ზესტაფონი – მგლები

ლოკომოტივი – გაგრა

მესხეთი – ვიტ ჯორჯია

25 აპრილი. შაბათი

დინამო ისვენებს

www.pfl.ge

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

## დინამომ ორივეჯერ საინტერესოდ გაიტანა

14 აპრილი. 16 საათი
ლოკომოტივი თბილისი 0:2
დინამო თბილისი
თბილისი. მ. მესხი. 200 მაყურებელი

0:1 მერებაშვილი (73პ), 0:2 აკირემი (85)

ლოკომოტივი: გ. ლომაია, გუმარაშვილი, მ. ლომიძე, ელიავა, დ. ფოფხაძე, კ. მახარაძე, კახელიშვილი, ჩირიკაშვილი (შ. კვანტალიანი 60), სარალიძე (ი. გილაური 46), დიაკვნიშვილი, გ. მოდებაძე (დ. ჩაგელიშვილი 69)

*სათადარიგონი:* ბელელური, კაიშაური, ნულაძე, ბებუა

მწვრთნელები: გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე

დინამო: ოვონო, თომაშვილი, გ. კაშია, ნერგაძე, ხმალაძე, დილმელაშვილი, ტომიჩი (შ. კაშია 59), ნემსაძე, კოშკაძე (სპასოევიჩი 87), გ. მერებაშვილი , ჯიუსი (აკირემი 85)

*სათადარიგონი:* ლორია, კაკუბავა, გველესიანი, ლომია

მწვრთნელი: კახა კაჭარავა

გაფრთხილება: კახელიშვილი (39), დილმელაშვილი (57), კვანტალიანი (64)

გაძევება: ლომაია (72)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ზ. ჯვარიძე, ლ. თოდრია; მ. ბეუქლიშვილი

**მაინცდამაინც** ძნელი გამოსაცნობი არ იყო, ვინ იქნებოდა ამ წყვილის ფავორიტი, თუმცა თასს მაინც აქვს თავისი სპეციფიკა და არც ის იქნებოდა წარმოუდგენელი, „ლოკომოტივს" ფინალისტობაზე პრეტენზია გამოეთქვა.

გულის კუნჭულში ალბათ თითოეული ლოკომოტიველი ფიქრობდა კიდეც ამაზე, მაგრამ...

„დინამო" რომ უფრო მაღალი კლასის გუნდია, ეს ალბათ არ არის სადავო.

თამაში მასპინძელთა მცირე უპირატესობით დაიწყო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ „დინამო" რაღაცას ეძებდა და ეს „რაღაცა" ბურთის კონტროლი იყო. ფაქტია, საწყის წუთებში კახა კაჭარავას შეგირდებს ამის გაკეთება გაუჭირდათ და ამან ვაკელებს ერთი-ორი შეტევის განხორციელების შანსი მისცა.

დინამოელებმა ვითარება მალევე გამოასწორეს და მე-20 წუთზე პირველი რეალური ხიფათიც შექმნეს გიორგი ლომაიას კართან. გიორგი მერებაშვილისა და დონალდ ჯიუსის კომბინაცია ალექსანდრე კოშკაძემ არაზუსტი დარტყმით დაასრულა.

8 წუთში ისევ „დინამოს" მიეცა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ამჯერად მერებაშვილმა გააცუდა მომენტი.

ცოტაც და, ჯიუსის პასით კოშკაძე დარჩა მეკარესთან პირისპირ — ლომაიამ აშკარა გოლს გადაარჩინა თავისი გუნდი.

ერთადერთი, რაც „ლოკომოტივმა" პირველ ტაიმში მოახერხა, გიორგი კახელიშვილის არაზუსტი თავური იყო. ეს 45-ე წუთზე მოხდა.

მეორე ტაიმი უფრო ყინჩად დაიწყო „დინამომ" და 53-ე წუთზე გოლთანაც ახლოს იყო: გიორგი მერებაშვილმა ჯარიმიდან დაატრიალა ბურთი და... ხარიხას გაარტყა.

წუთში ჯიუსმაც ვერ გამოიყენა მომენტი და...

მოკლედ, საქმე იქით მიდიოდა, რომ მასპინძლებს მძიმე ბოლო წუთების გადატანა მოუწევდათ, რადგან „დინამოს" 0:0-ით დამკმაყოფილებლისა არაფერი ეტყობოდა.

დაწოლა გრძელდებოდა და 72-ე წუთზე საინტერესო ეპიზოდიც ვნახეთ. დავით დილმელაშვილის გრძელი პასით მერებაშვილი მეკარესთან პირისპირ დარჩა, ბურთი გაიგდო, მაგრამ ლომაიამ ფეხში გამოსდო და... პენალტი!

ამ ამბავში საინტერესო ის იყო, რომ მსაჯმა ბოლო იმედის ჯარიმისთვის ლომაიას წითელი აუფრიალა და რახან „ლოკომოტივს" სამივე ცვლილება გაკეთებული ჰქონდა, კარში მოედნის მოთამაშე უნდა ჩამდგარიყო. ეს მისია საკუთარ თავზე ნახევარმცველმა კახა მახარაძემ აიღო — ჯერ ლომაიას ხელთათმანები მოირგო, მერე მაისურა, თუმც მერებაშვილის პენალტს მაინც ვერაფერი მოუხერხა — 0:1.

ცხადია, როცა ასეთი ვითარება იქმნება, კარში ხშირად უნდა დაარტყა. დინამოელებმაც ამ ხერხს მიმართეს, თუმცა ან სიზუსტით ვერ გამოირჩეოდნენ, ან მეკარე-მახარაძეს ვერ ჯობნიდნენ.

ერთხელ ახალგამომცხვარმა გოლკიპერმა სულაც პირისპირ შეყრილ შოთა კაშიასაც დასწყვიტა გული — ახლოდან აული.

და კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდი: 85-ე წუთზე „დინამომ" კუთხურის ჩაწოდების უფლება მოიპოვა. კაჭარავა კი ამ დროს შეცვლას ამზადებდა და ჯიუსის ნაცვლად მოედანზე ახალგამოჯანმრთელებული ქორჯ აკირემი შეუშვა. ის იყო, აკირემი მოედნის ცენტრიდან საჯარიმოში ჩავიდა, კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს თავი შეუშვირა და 0:2.

ბოლოს როდის მომხდარა ასეთი იღბლიანი შეცვლა საქართველოში, ვერ ვიხსენებთ...

ამის შემდეგ, ფაქტობრივად, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, თუმცა სტუმრებს შეტევები მაინც არ შეუწყვეტიათ და ბოლო წუთებზე მერებაშვილს და შეცვლაზე შესულ ჩერნოგორიელ ილია სპასოევიჩს კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ...

**კახა ზალამბერიძე**



www.fcdinamo.ge

14 აპრილი. 16 საათი
ოლიმპი რუსთავი 4:2
ვიტ ჯორჯია თბილისი
რუსთავი. ფოლადი. 500 მაყურებელი

0:1 მაისაშვილი (9), 1:1 მეგრელაძე (12), 2:1 ჩიკვილაძე (33), 3:1 მეგრელაძე (36), 4:1 ჩხეტიანი (57), 4:2 ყველაშვილი (62)

ოლიმპი: მ. ალავიძე, თ. ღონღაძე, ჩიკვილაძე, მაჭავარიანი, აკუასაგა, გ. სეთურიძე, დობროვოლსკი (ქუცურუა 64), ბაბუნაშვილი, ხუბუა, გ. ნოდ. ქელიძე (გ. ჩხეტიანი 46), მეგრელაძე (ფიფია 46)

*სათადარიგონი:* სტურუა, გ. დეკანოსიძე, გორდეზიანი, კაკულია

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

ვიტ ჯორჯია: ა. მიქაბერიძე, ადამაძე, მგელაძე, ხურცილავა, ყველაშვილი, მაისაშვილი (ზ. დათუნაშვილი 29), ესაძე, გ. ჯანელიძე, როსტიაშვილი (ზაქრაძე 46), კვალიჩიძე, ი. სვანიძე

*სათადარიგონი:* ღურბელეიშვილი, კასრაძე

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; მ. ელიკაშვილი, ზ. ფიფია; პ. დოგრაშვილი



www.uefa.com

სამწუხაროდ, დიდი ეჭვებია, რამდენად ალალი იყო რუსთაველთა სიხარული „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩში...

## სად არის პასუხი?!

**ამ მატჩის რეპორტაჟს განგებ არ ვწერთ, რამეთუ ყველაფერი ჩვენ მიერ ნავარაუდევი სცენარით ვითარდება.**

**დავძენთ მხოლოდ იმას, რომ „ვიტ ჯორჯიას" ძირითადი შემადგენლობის არც ერთი (!) ფეხბურთელი არ ჰყავდა განაცხადში.**

**სხვა დანარჩენის გასაანალიზებლად კი გადაიკითხეთ 13 აპრილის „სარბიელი"...**

## რა უნდა ფინალს ყანაში?!

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგის გადაწყვეტილებით, დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალი 28 მაისის ნაცვლად, 30 მაისს გაიმართება.

პროფლიგის ცნობით, ასეთი თხოვნით გამგეობას ნახევარფინალისტმა გუნდებმა მიმართეს.

უმაღლესი ლიგა 23 მაისს მთავრდება და გუნდებმაც ფინალისთვის უკეთ მოსამზადებლად ერთკვირიანი ვადა ითხოვეს, რასაც პროფლიგა უყოყმანოდ დათანხმდა...

აქვე გეტყვით, რომ ფინალი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება, რაც, ცოტა არ იყოს, გაუგებარი გადაწყვეტილებაა. ვინც ამ სტადიონზე ბოლო ხანს ნამყოფია, მიხვდება, რასაც ვგულისხმობთ — ასეთ საფარზე ფინალის კი არა, უმაღლესი ლიგის რიგითი მატჩის ჩატარებაც კი არ შეიძლება!

და თუ პროფლიგა იმას ფიქრობს, რომ „ლოკომოტივი" ფინალში ვერ გავა (რაც სავსებით რეალურია) და ფინალისტებისთვის ნეიტრალური არენა შეარჩია, კეთილი, მაგრამ რაღა ეს ყანა?! არ შეიძლებოდა, ნეიტრალურობის მხრივ ზესტაფონის „ცენტრალური" გამოგვეყენებინა?!

*ნახევარფინალის საპასუხო მატჩები 29 აპრილს გაიმართება*



# ჩემი დროც დადგება...

## რატი წინამძღვრიშვილი ბელგიიდან დაბრუნდა

ორთვენახევრიანი მივლინების შემდეგ რატი წინამძღვრიშვილი საქართველოში დაბრუნდა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი ბელგიაში გახლდათ, სადაც ცნობილ პროფესორ მარკ მარტენსის კლინიკაში ჯვარედინი და გვერდითი იოგების ოპერაცია გაიკეთა და თან სარეაბილიტაციო კურსიც გაიარა. ეს ის პროფესორია, ორიოდ თვის წინ კახა კალაძეს რომ გაუკეთა ოპერაცია...

გეცოდინებათ, წინამძღვრიშვილი გასულ ზამთარს გადავიდა თბილისის „ამერიდან" „ზესტაფონში" და სწორედ იმერული კლუბის პრეზიდენტ ილია კოკაიას დახმარებით შეძლო ბელგიაში გამგზავრება. მოკლედ, 20 წლის წინამძღვრიშვილი უკვე საქართველოშია და ბელგიელი ექიმების რეკომენდაციით აქ გააგრძელებს მზადებას...

— ძალიან კმაყოფილი ვარ. ტკივილები დიდი ხანია, აღარ მაწუხებს და ნელ-ნელა დატვირთვებსაც ვზრდი. ბელგიაში ყოფნისას ბოლო დღეებში ბურთითაც გამაკეთებინეს რამდენიმე იოლი ვარჯიში. თავად მარკ მარტენსიც კმაყოფილი იყო ჩემი პროგრესით — გვითხრა რატი წინამძღვრიშვილმა, ვისაც ზესტაფონში გამგზავრებამდე ვესაუბრეთ.

— როგორც ვიცით, ოპერაცია ძალიან რთული იყო...

— რთული იყო, მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

— ალბათ სპეციალური პროგრამაც გამოგატანეს...

— რა თქმა უნდა. ახლა ამ პროგრამით უნდა გავაგრძელო ვარჯიში — ტრენაჟორები, აუზი, სირბილი... ამ ყველაფრის გაკეთება უკვე თავისუფლად შემიძლია.

— მაინც რა გითხრეს, დაახლოებით როდისთვის შეგეძლება სრული დატვირთვით ვარჯიში?

— წესით, ივლისისთვის უნდა შევძლო გუნდთან ერთად ვარჯიში. აგვისტოდან კი თამაშის უფლებაც მექნება. ძალიან მომენატრა ფეხბურთი და ერთი სული მაქვს, როდის დავუბრუნდები მოედანს. ამას სიტყვებით ვერც გადმოვცემ, ისე მინდა თამაში... ახლა მთავარია, ექიმების მითითებები ბოლომდე შევასრულო და მჯერა, რომ მალე ჩემი დროც დადგება...

**კახა შალამბერიძე**

# ორი მარცხი ბაქოდან



**საქართველოს** 19-წლამდელ გოგონათა ნაკრებმა ბაქოში ორი ამხანაგური მატჩი გამართა აზერბაიჯანის ნაკრებთან და ორივეში დამარცხდა.

პირველი შეხვედრაში ქართველმა გოგონებმა 0:2 წააგეს, მეორეში კი — 0:1.

ორივე მატჩი ტოფიკ ბახრამოვის სახელობის რესპუბლიკურ სტადიონზე ჩატარდა.

**კახა შალამბერიძე**

# ირაკლი შეყილაძე პერსპექტიულ სიაში



**იტალიურმა** „კალჩომერკატოm" 1992 წელს დაბადებულ პერსპექტიულ ჭაბუკთა 25-კაციანი სია გამოაქვეყნა და მასში ქართველი ირაკლი შეყილაძეც მოხვდა.

იტალიური „ემპოლის" სარეზერვო გუნდის თავდამსხმელი მე-14 ადგილზე გავიდა.

შეყილაძე საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების წევრია და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ არამარტო საქართველოში, არამედ იტალიაშიც, რაც ამ ცნობილი ვებგვერდის ავტორებმაც დაადასტურეს.

საინტერესოა, რომ სიაში პირველ-მეორე ადგილებზე „ჯენოას" ნახევარმცველი სტეფან ელ შარავი და „ინტერის" თავდამსხმელი მარკო ფოსატი გავიდნენ, რომლებიც იტალიის 17-წლამდელთა ნაკრების წევრები არიან და სწორედ მათ წინაალმდეგ მოუწია შეყილაძეს და ჩვენს ნაკრებს თამაში მარტში გამართულ ელიტ-რაუნდში.

**კახა შალამბერიძე**

# ცქიტიშვილი მოთამაშე

**გერმანული** „ვეენის" ქართველმა ნახევარმცველმა ლევან ცქიტიშვილმა ტრავმა მოირჩინა და გუნდს ობერლიგელ „ვურგსთან" მატჩში დაუბრუნდა.

ვისბადენელებმა მეტოქე 2:1 დაამარცხეს, ცქიტიშვილმა კი სრულად ითამაშა.

შეგახსენებთ, რომ აქამდე ლევანს „ვეენში" ოდენ ერთი თამაში ჰქონდა ჩატარებული — მეორე ბუნდესლიგაში, თუმცა მერე ტრავმა მიიღო და მკურნალობდა...

**კახა შალამბერიძე**

# ჰოლანდია, დანია, გერმანია: ფონდი კანდიდატებს არჩევს

„ფონდი არველაძე" უახლოეს მომავალში ახალ პროექტებს ამზადებს და ამის თაობაზე ფონდის ოფიციალური ვებგვერდი არჩილ არველაძეს ესაუბრა...



— დაახლოებით როდის ეყოლება „ფონდი არველაძეს" ახალი სტიპენდიანტები?

— სავარაუდოდ, მაისში. ვაპირებთ, კიდევ ორ-სამ მოზარდს დავუნიშნოთ სტიპენდია. ორი სტიპენდიანტი ალბათ ბორჯომიდან გვეყოლება.

— სტიპენდიას გამორჩეულ მოზარდებს უნიშნავთ. კონკრეტულად რა მიზანი აქვს სტიპენდიის გამოყოფას?

— უცხო ენის შესწავლა, დაზღვევა, საფეხბურთო სკოლაში გადასახდელი თანხის დაფარვა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის საფასურის გადახდა, სპორტული ინვენტარით და თუ საჭიროა, ბინით უზრუნველყოფა — ფონდის მიერ დანიშნული სტიპენდია ამ ხარჯებს უნდა მოხმარდეს. სტიპენდიანტების მშობლებთან ჯენტლმენური შეთანხმება გვაქვს იმაზე, რომ თანხა მიზნობრივად დაიხარჯოს. რაღაცას ჩვენც ვაკონტროლებთ...

— სტიპენდიანტებისთვის ასაკობრივი ცენზი არ მოქმედებს?

— სტიპენდიანტები ფონდისგან მანამდე მიიღებენ დახმარებას, სანამ პროფესიონალურ გუნდში მოხვდებიან.

— დაახლოებით რამდენი სტიპენდიანტის ყოლას აპირებთ? ამ მხრივ რა რესურსი გააჩნია „ფონდი არველაძეს"?

— თუ ფონდის ბიუჯეტი გაიზრდება, შესაბამისად, მოიმატებს სტიპენდიანტების რაოდენობაც. თუ ასე არ მოხდა, შეძლებისდაგვარად ვიმოქმედებთ.

— სასტიპენდიო თანხა ყველასათვის ერთიდაიგივეა?

— არა, თუმცა დიდი სხვაობა არ არის. ზოგს მეტი დახმარება სჭირდება. მაგალითად, ზოგიერთ სტიპენდიანტს ბინის ქირის თანხასაც ვაძლევთ.

— ახალგაზრდა ფეხბურთელების მივლინება უცხოეთში — ამ მხრივ თუ არის სიახლეები ფონდის საქმიანობაში?

— ზაქარია ბეგლარიშვილი ხელმეორედ უნდა მისულიყო „ტვენტეში", მაგრამ ეს გადაიდო. „ტვენტეს" ვარიანტი ძალაში კი რჩება, თუმცა შესაძლოა, მაისში ბეგლარიშვილი ჰოლანდიური ერედივიზიონის სხვა გუნდში გავუშვათ გასინჯვაზე. გვყავს რამდენიმე კანდიდატურა ერთ-ერთ დანიურ გუნდში გასაშვებად, თუმცა ჯერ არ აგვირჩევია, ეს ვინ იქნება. ასევე არ მიგვიღია საბოლოო გადაწყვეტილება იმაზე, თუ რომელი ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი მივავლინოთ „კარლსრუეში" ალექსანდრე იაშვილის დახმარებით. ერთი სიტყვით, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მომდევნო თვეს ჩვენი ფონდი კიდევ ერთ ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელს მაინც მისცემს შანსს ევროპულ გუნდში მოსაწყობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ქართული სიტყვა უცხო პრესაში

# ალექსანდრე გოგობერიშვილი: ჩვენ ბრინჯაო და ბაქის ოქრო



ბაქოს „ოლიმპიკის“ ქართველი ნახევარმცველი ალექსანდრე გოგობერიშვილი აღიარებს, რომ „ბაკის“ გულშემატკივარია. ამის თაობაზე მან „აზერისპორტს“ განუცხადა და თავისი გუნდის საევროთასო შანსებზეც ისაუბრა...

**— სეზონის ბოლომდე ბევრი აღარ დარჩა. როგორ აფასებთ „ოლიმპიკის“ ევროთასზე გასვლის შანსებს?**

— დარჩენილ შეხვედრებში ქულათა მაქსიმუმს თუ ავიღებთ, ევროთასზე გასვლა გარანტირებული გვექნება.

**— დარწმუნებული ხართ, რომ ყველა თამაშის მოგებას შეძლებთ?**

— მე ხომ არ მითქვამს, რომ ევროთასზე უეჭველად მოვხვდებით?! უბრალოდ, ეს თუ გვინდა, ყველა თამაში უნდა მოვიგოთ.

**— გეცოდინებათ, რომ უეფას თასზე გასვლას მე-4 ადგილის დაკავების შემთხვევაშიც შეძლებთ...**

— ვიცი, მაგრამ ჩვენ მაინც მე-3 ადგილს ვუმიზნებთ, ეს უფრო პრესტიჟულია.

**— ამ ადგილისთვის კი ბრძოლა „სიმურგთან“, „ხაზარ-ლენქორანთან“ და „ყარაბაღთან“ მოგიწევთ...**

— ჩვენ მხოლოდ მოგებები გვინდა და შანსებზე ნაკლებად ვფიქრობთ.

**— თქვენი აზრით, ოქროს მოპოვების შანსი ვის უფრო მეტი აქვს?**

— ყველაზე მეტად „ბაკი“ მომწონს. ჩემი აზრით, ჯოკიჩა ხაჯიევსკის გუნდი ჩემპიონობას აშკარად იმსახურებს.

**— არადა, ამ გუნდს ცოტა ხნის წინ თქვენმა „ოლიმპიკმა“ მოუგო სკანდალურ მატჩში...**

— ეს უკვე წარსულია. არასოდეს დამავიწყდება, რომ „ბაკიში“ ვთამაშობდი და ამ კლუბისადმი სიმპათია ყოველთვის მექნება. თან ამ გუნდში ჩემი თანამემამულეები და მეგობრები თამაშობენ. იმედია, სეზონის ბოლოს მათ ჩემპიონობას მივულოცავ.

**ქახა ზალამბერიძე**

# ნონა გაფრინდაშვილი და ნალჩიკელი ქართველობა







**ლეგენდარული** ქართველი მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი ფიდეს გრანპრიზე ექსპერტად მიიწვიეს და სწორედ ამ მიზნით ჩავიდა ტურნირის მასპინძელ ნალჩიკში.

ამ შემთხვევით კი ნალჩიკის ქართულმა დიასპორამ ისარგებლა და საპატიო სტუმარს საზეიმო მიღება გაუმართა.

ნალჩიკში ქართული დიასპორის ხელმძღვანელმა ანზორ ლობჟანიძემ საღამოზე „სპარტაკის“ წარმომადგენლები და, რა თქმა უნდა, ორი ქართველი ფეხბურთელიც მიიწვია.

ალექსანდრე ამისულაშვილმა და გოგიტა გოგუამ ნონა გაფრინდაშვილი ავტოგრაფებიანი ბურთით, საკლუბო შარფით, ქუდით და ლამაზი თაიგულით დაასაჩუქრეს...

ანზორ ლობჟანიძემ ნალჩიკელებს განუმარტა, რომ ნონა არა მხოლოდ მოჭადრაკე, არამედ ფეხბურთის დიდი გულშემატკივარიცაა, რასაც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონიც დაეთანხმა და ამისულაშვილ-გოგუას გუნდს წარმატებები უსურვა.

**ქახა ზალამბერიძე**

# დემეტრაძეს ორი და მეტი დაუთვალეს



**რუსულმა** „სპორტ-ექსპრესმა“ იმ ფეხბურთელების სია გამოაქვეყნა, რომლებსაც პრემიერლიგის ერთ მატჩში ორი და მეტი გოლი აქვთ გატანილი.

საუკეთესო თხუთმეტეულში მერვე ადგილზე გავიდა გიორგი დემეტრაძე, ვისაც ვლადიკავკაზის „ალანიაში“ თამაშისას 9 დუბლი და 3 ჰეთ თრიქი გაუკეთებია.

„დემეს“ სულ 42 გოლი აქვს გატანილი რუსულ პრემიერლიგაში.

ამ ნომინაციის ლიდერი კი ოლეგ ვერეტენნიკოვია, ვისაც 26 დუბლი და 2 ჰეთ თრიქი მიუთვლია კარიერაში.

**ქახა ზალამბერიძე**

# აშვეთია–აბრამიძე: მაინც ბარნაულში

**ბარნაულის** „დინამომ“ საჩემპიონატო განაცხადი შეიტანა რუსეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგაში და 22 ფეხბურთელს შორის ვალერი აბრამიძე და მიხეილ აშვეთიაც არიან.

ქართველი ფეხბურთელები ამ მეორელიგელ გუნდში რომ ვარჯიშობდნენ, ადრევე გამცნეთ, თუმცა მაშინ მათი დარჩენა გადაწყვეტილი არ იყო. ითქვა, რომ აბრამიძე-აშვეთია სხვა ვარიანტებს ელოდნენ და დროებით შეეკედლნენ ბარნაულელებს, მაგრამ...

საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ჩვენებურები დაბალ ლიგაში თამაშზე დათანხმდნენ.

ერთიც: მართალია, მეორე ლიგაში ლეგიონერების თამაში აკრძალულია, თუმცა აბრამიძე-აშვეთიას რუსული პასპორტები აქვთ.

შეგახსენებთ, რომ ასეთივე „შეღავათს“ ფლობს ასევე მეორელიგელი გუნდის, ბრიანსკის „დინამოს“ წევრი პაატა ჯინჭარაძე.

**ქახა ზალამბერიძე**

# ბოიომო სიონში?





**„ზესტაფონის“** კამერუნელი მცველი ბოიომო ფრიდოლინი ბოლნისის „სიონში“ ვარჯიშობს და, დიდი შანსია, საბოლოოდ ამ გუნდშივე დარჩეს.

ფრიდოლინის იმერულ კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და ახლა თავისუფალი აგენტია.

შეგახსენებთ, რომ მისი პირველი ქართული კლუბი სწორედ „სიონი“ იყო, საიდანაც გადავიდა „ზესტაფონში“, თუმც გია გეგუჩაძის გამწვრთნელების შემდეგ იქ თამაში აღარ უწევდა.

მოკლედ, ახლა ყველაფერი თავად ფრიდოლინიზეა: თუ ოთარ კორღალიძეს თავს მოაწონებს, ახალი სეზონიდან ქვემოქართლური გუნდის მაისურას მოირგებს.

**ოთარ მხეიძე**

# იური სიომინი: ასათიანი ბრწყინვალე იყო!



**ოდესის** „ჩერნომორეცთან“ 3:1 მოგებული მატჩი პირველი იყო წლეულს მალხაზ ასათიანისთვის. კიევის „დინამოში“ ხელმეორედ გადასულ ქართველ ფეხბურთელს აქამდე თავის გამოჩენის შანსი არ ეძლეოდა...

რამდენიმე დღის წინ კიეველთა თავკაცმა იური სიომინმა ინტერვიუ მისცა „უა-ფუტბოლს“ და იქ ასათიანზეც ისაუბრა...

„ვთვლი, რომ ასათიანმა ბრწყინვალედ ითამაშა, თავის პოზიციაზე არცერთი შეცდომა არ დაუშვია. ცენტრალურ ზონაში გადაცემები ისე კარგად ვერ გამოუვიდა, როგორც ფლანგებზე, თუმცა მთლიანობაში კმაყოფილი ვარ. მან დამაჯერებლად გადაკეტა საჯარიმოს მისადგომები და არ წაუგია არცერთი ორთაბრძოლა...

...სამწუხაროდ, უეფას თასის განაცხადში მისი შეყვანა ვერ მოვახერხეთ, არადა, ტარას მიხალიკის ტრავმის შემდეგ თავისუფლად შეეძლო, ძირითად შემადგენლობაში ეთამაშა და მხოლოდ უკრაინის ჩემპიონატით არ დაკმაყოფილებულიყო“.

ამ სიტყვების შემდეგ ალბათ არ უნდა იყოს ძნელი სავარაუდო, რომ მალხაზ ასათიანს უფრო ხშირად მისცემს სიომინი თამაშის შანსს და ევებ, ქართველმა ფეხბურთელმა ბოლომდე შეძლოს საუკეთესო ფორმის აკრეფა.

**ქახა ზალამბერიძე**

# ქართველები ფინალის წინ

**უნგრულმა** „დიორ ეტომ“ თასის ნახევარფინალის პირველ მატჩში 2:1 დაამარცხა მტკ.

ქართველ ლეგიონერთაგან, დავით ოდიკაძემ ბუდაპეშტელების წინააღმდეგ სრულად ითამაშა, რატი ალექსიძე კი 66-ე წუთიდან შევიდა მოედანზე.

**ოთარ მხეიძე**

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ყოფილმა თავკაცმა, გერმანელმა ჰერბერტ ცანკერმა ზუგდიდის „ბაია“ რომ დატოვა, უკვე გამცნეთ. პირველი ლიგის დასავლეთ ზონის ლიდერისგან მწვრთნელის დათხოვნის ამბავი, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი იყო ჩვენთვის, რადგან „ბაია“ უმაღლეს ლიგაში გადმოსასვლელად იბრძვის და ცანკერის ხელში პირველ ადგილზეც იყო, მაგრამ... ვითარებაში გასარკვევად გერმანელ სპეციალისტთან გასაუბრება უპრიანი იყო და ჩვენც მას ამიტომ შევხვდით...



# ჰერბერტ ცანკერი: ბაიადან წამოსვლა საპირველაპრილო ხუმრობა მეგონა

## ტოპმიოლერი საქართველომ გააოგნა

— თქვენზე მეტად მე გამიკვირდა, „ბაიადან“ რომ წამოვედი. ერთი ის ვიცი, რომ ამის მიზეზი სპორტული არ ყოფილა. 21 თამაშში 47 ქულა ავიღეთ და ჩემპიონატსაც ვლიდერობდით. კლუბმა ოფიციალური წერილიც მომცა, რომ გუნდის შედეგებით კმაყოფილია და ამისთვის მადლობას მიხდის.

— მაშ რა მოხდა?

— ფოთის „კოლხეთთან“ თამაშის მერე დაიწყო ფინანსურ პრობლემებზე ლაპარაკი. მერე ისიც გავიგე, რომ მწვრთნელებს 30 პროცენტით შეუმცირდათ ხელფასი, მოგვიანებით ფეხბურთელებმაც იგივე მითხრეს... მოკლედ, კლუბის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ პრობლემები აქვთ. რა უნდა მექნა? ვუთხარი, რომ თანავუგრძნობდი მათ და მეც დავთანხმდი ხელფასის 30 პროცენტით შემცირებაზე. ამის შემდეგ კიდევ შევხვდით ერთმანეთს და უკვე 75 პროცენტით ხელფასის შემცირებაზე დავთანხმდი. სეზონის ბოლომდე შემეძლო ასეთ დათმობაზე წასვლა, რადგან გუნდი კარგად თამაშობდა და არ მინდოდა, შრომა წყალში ჩაგვყარა. მოსკოვში ორი წერილიც მივწერე კლუბის პრეზიდენტს, მაგრამ სამწუხაროდ, პასუხი არ მიმიღია. შეიძლება, არც უნდოდა თავის პრობლემებზე ჩემთან ესაუბრა.

— ანუ დარჩენილ 25 პროცენტსაც ველარ გიხდიდნენ?

— ასე მითხრეს, რომ კლუბს აღარ შეეძლო ხელფასის გადახდა და წამოვედი. თავიდან ეს საპირველაპრილო ხუმრობა მეგონა და ყურადღებაც არ მიმიქცევია, მაგრამ ერთ-ორ დღეში მივხვდი, რომ საქმე თურმე მართლა სერიოზულად იყო.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ მხოლოდ ხელფასის ვერგადახდა არ იყო თქვენთან დაშორების მიზეზი? იქნებ სხვა რამეს გედავებოდნენ?**

— არა, ასე არ ვფიქრობ. პირველ ადგილზე ვიყავით, ჩვენი სარეზერვო გუნდიც კარგად თამაშობს მეორე ლიგაში, 17-წლამდელთა ნაკრების სამი და 16-წლამდელთა ნაკრების რვა კანდიდატი გვყავდა გუნდში... გარდა ამისა, მშვენივრად მუშაობდა სკოლა-ინტერნატი, სადაც შესანიშნავი ატმოსფერო და დისციპლინა გვქონდა დამყარებული... ყველაფერი კარგად მიდიოდა...

**— ცოტა არ იყოს, უცნაურია... ჩემპიონატის ბოლომდე ხომ ერთი თვეღა დარჩა...**

— უცნაური ის უფრო არის, რომ ეს ყველაფერი „სამტრედიასთან“ ერთ-ერთი გადამწყვეტი მატჩის წინ მოხდა. არ მესმის, ასეთ დროს მწვრთნელთან განშორება რა ლოგიკას ემსახურება. ეს გაუგებარი ნაბიჯი ხომ დიდი დარტყმა იქნებოდა გუნდისთვის?!

**— როგორ ფიქრობთ, შეძლებს „ბაია“ უმაღლეს ლიგაში გადასვლას?**

— ამის პოტენციალი გუნდს აქვს და მთელი გულითაც ვქომაგობ. „ბაიას“ ყველაფერი ხელს უწყობს — ინფრასტრუქტურა, ფეხბურთელები, სასიამოვნო გარემო... ასეთი კლუბი ბევრი რომ იყოს საქართველოში, საქმე გაცილებით კარგად გვექნებოდა... „ბაიაში“ ყველაფერი უმაღლეს დონეზეა გაკეთებული. სეზონის წინ 25 ათასი ევროს საფასურის მარტო ინვენტარი შევიძინეთ...

**— კი მაგრამ, თუ ფინანსური პრობლემები აქვთ, უნდათ კი უმაღლეს ლიგაში გადასვლა?**

— იმედია, ყველაფერი გამოსწორდება. მათ მაინც უნდათ გადასვლა და ღმერთმა ქნას, ასეც მოხდეს.

— ასეთი შთაბეჭდილება მრჩება: დაბრუნება რომ შემოგთავაზონ, დაბრუნდებით...

— რატომაც არა? ყველაფერი შეიძლება, მოხდეს. მით უმეტეს, მე „ბაიადან“ ნაწყენი არ წამოვსულვარ. ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს და მათ წარმატებებს ვუსურვებ. სამწუხაროა, რომ ასე მოხდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმეზე გაბრაზებული ვარ. პირიქით, ყველას მადლობას ვუხდი, ამ ხნის განმავლობაში გვერდში დგომისთვის და დახმარებისთვის. „ბაიაში“ გატარებული დრო ყოველთვის მემახსოვრება...

**— ახლა რას აპირებთ?**

— სამნახევარი წელია, საქართველოში ვარ და ვერ ვეღევი აქაურობას. ძალიან მიყვარს აქ ყოფნა, მომწონს ქართველების ცხოვრების სტილი და მენტალიტეტი. თქვენი ყველა პრობლემა ძალიან ნაცნობია ჩემთვის და ყველაფერს ისევე მტკივნეულად აღვიქვამ, როგორც თქვენ. ამიტომ ცოტა ხანი დაველოდები ვარიანტებს და თუ არაფერი გამოჩნდა, მაშინ სხვა რა გზა მექნება — დავბრუნდები გერმანიაში.

**— თქვენი მენტალიტეტი მომწონსო, თქვით. არადა, თითქმის ყველა უცხოელი იმას ამბობს, რომ ქართველებს რთული მენტალიტეტი აქვთ...**

— ვიცი, რასაც გულისხმობთ. აი, თქვენ უამრავი ნიჭიერი ბავშვი გყავთ, რომლებსაც მაღალ დონეზე შეუძლიათ თამაში, მაგრამ მათ სწორი აღზრდა სჭირდება, თავიდანვე უნდა ჩამოუყალიბდეთ სწორი ფსიქოლოგია და მერე გაუიოლდებათ წინსვლა. აი, 17-წლამდელებმა ხომ ითამაშეს ელიტ-რაუნდში? ამ გუნდის ნახევარს ჩემს ხელში გაუვლია და ვიცოდი, რომ სერიოზული შედეგის მიღწევა შეეძლოთ. მთავარია, გზაზე დაყენება და დისციპლინა. ქართველისგან რამეს მკაცრად თუ არ მოითხოვ, არაფერი გამოვა... მთავარია, რომ ქართველების თამაშის სტილი ძალიან მომწონს...

**— რახან ასეთ თემებს შევეხეთ, ბარემ აქვე გკითხავთ: საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერთან თუ გაქვთ კონტაქტი?**

— კი და საკმაოდ ხშირადაც. რალფ მინგესაც ვუკავშირდები ხოლმე. ტოპის ყოველთვის აინტერესებს საქართველოს ამბები.

**— ალბათ ნაკრებზეც საუბრობთ ხოლმე...**

— საქართველოში სწორედ ნაკრები ვიგულისხმე. ჩვენ ყოველთვის ფეხბურთზე ვლაპარაკობთ.

**— და რას გეუბნებათ?**

— გაოგნებულია. ის არ ელოდა, რომ საქართველოს ნაკრებს ასეთი ცუდი შედეგები ექნებოდა ამ შესარჩევ ციკლში. ერთი მოგებაც კი სანატრელი ჩანს... თუმცა იმასაც ამბობს, რომ მწვრთნელს დრო სჭირდება...

**— ამაში ალბათ თავის თავსაც გულისხმობდა, მაგრამ ის არ მუშაობდა ისე, როგორც საჭირო იყო...**

— ნაცნობი თემაა... ამაზე ხშირად გვიკამათია ხოლმე... რა გითხრათ, ყველა მწვრთნელი თავისებურია...

**კახა შალამბერიძე**

ქართული სიტყვა უცხოურ პრესაში

# ლაშა ჯაკობია: შახტარი არაფერს შეგვარჩენს!

## ასეთ ადგილზე ყოფნა სირცხვილია

კიევის „არსენალის“ ახალწვეული ლაშა ჯაკობია ჯერაც ვერ არის სასურველ ფორმაში და გუნდს ერთი-ორჯერ შეცვლაზე შესული თუ დაეხმარა. ბოლო ტურში კი, მარიუპოლის „ილიჩევეცთან“ 4:0 მოგებულ მატჩში, სათადარიგო იყო. ლაშას უკრაინელი ჟურნალისტები შეხვდნენ და ინტერვიუ ჩამოართვეს, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ...

**— რა ხდება „არსენალში“?**

— გუნდში საბრძოლო განწყობაა. იმედს არ ვკარგავთ, რომ უკეთესად თამაში შეგვიძლია და თავდაუზოგავად ვვარჯიშობთ. საბედნიეროდ, ტრავმირებულიც არავინ გვყავს...

**— დონეცკის „შახტართან“ წინა ტურის მატჩში „არსენალმა“ ორი განსხვავებული ტაიმი ჩაატარა. რატომ მოხდა ასე?**

— პირველ ნახევარში მწვრთნელის ყველა დავალება შევასრულეთ და „შახტარს“ არაფერი დავუთმეთ. თანაბარი თამაში იყო, „არსენალი“ კონტრშეტევებით ცდილობდა მეტოქის შევიწროვებას, მერე კი, როცა მოედანზე ფერნანდინიო გამოჩნდა, ვითარება კარდინალურად შეიცვალა. სამწუხაროდ, პირველი გაშვებული გოლის შემდეგ კონცენტრაცია დავკარგეთ და კიდევ ორი ბურთი მივიღეთ საკუთარ კარში. „შახტარმა“ უეფას თასზე გამოსვლითაც დაამტკიცა, რომ მასთან ასეთი შეცდომების დაშვება არ შეგრჩება.

**— შეცვლაზე შესულს მწვრთნელი რას გავალებს ხოლმე?**

— როგორც ნებისმიერი თავდამსხმელისთვის, მთავარი ჩემთვისაც გოლის გატანაა. სულ ორჯერ ვითამაშე „არსენალში“ და ორივეჯერ შეტევის გაძლიერებას ვცდილობდი.

**— რომელ თავდამსხმელთან ერთად გიადვილდება თამაში?**

— ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მით უმეტეს, ამ საკითხს მე კი არა, მწვრთნელი წყვეტს. მთავარია, ჩვენმა გარჯამ შედეგი მოიტანოს.

**— კიევში პირველად არ ხარ...**

— წელიწადნახევრის წინაც ვთამაშობდი „არსენალში“ იჯარის წესით. მაშინ ცხრილის ზედა ნაწილში ვიყავით, ჩემპიონატის მთავარ სენსაციადაც კი მოგვნათლეს. ეგაა, როგორც კი ოპტიმალური ფორმა აღვიდგინე, მაშინვე „მეტალისტში“ დამაბრუნეს. ამჯერად „არსენალთან“ ორწლიანი კონტრაქტი მაქვს და ძალიან კმაყოფილი ვარ ამ გუნდში დაბრუნებით.

**— როგორ მოეწყვე კიევში?**

— კიევი ლამაზი ქალაქია და ყოველთვის მიყვარდა. თან აქ ბევრი მეგობარი მყავს.

**— ახალ გუნდს მალე გაუშინაურდი? ვისთან მეგობრობ ყველაზე მეტად?**

— მიუხედავად იმისა, რომ „არსენალის“ შემადგენლობა ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა, გუნდში იგივე ატმოსფერო დამხვდა. ამიტომაც ადაპტაცია არ გამჭირვებია. მეგობრობას რაც შეეხება, ყველასთან ახლოს ვარ.

**— რას იტყვი „არსენალის“ ახალწვეულებზე?**

— ზამთარში გუნდში სერიოზული ფეხბურთელები მოვიდნენ. მაგალითად, როლან გუსევი, იონუც მაზილუ, ბოგდან შერშუნი. ასეთი შემადგენლობით სირცხვილიც კია „არსენალის“ დღევანდელი სატურნირო მდგომარეობა.

**— და რას უნდა ელოდნონ თქვენი ქომაგები?**

— ამ სეზონში რაიმე განსაკუთრებულის მოთხოვნა არასერიოზული იქნება. ვფიქრობ, მომდევნო ჩემპიონატში ხუთეულისთვის ვიბრძოლებთ. კარგი გუნდი და ნიჭიერი მწვრთნელი გვყავს. ასე რომ, ქომაგებს ცოტა მოთმინებას ვთხოვ. ხარკოვის „მეტალისტის“ მაგალითი რომ ავიღოთ — სამი წლის წინ მას სულაც არ ჰქონდა ისეთი პოტენციალი, როგორიც დღეს „არსენალს“ აქვს, თუმცა ახლა „მეტალისტი“ სხვა დონეზეა. ისეთზე, როგორსაც ყველა უკრაინული გუნდი ინატრებდა...



საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი და იტალიური „მილანის“ მცველი კახა კალაძე უზომო პოპულარობით სარგებლობს უკრაინაში. კიევის „დინამოს“ ყოფილმა ფეხბურთელმა ამ ქვეყანაში კარგი სახელი დატოვა და კახაც ხშირად ჩადის ხოლმე უკრაინელი მეგობრების მოსანახულებლად. ქართველი ფეხბურთელის ერთ-ერთი მორიგი ვიზიტი კი ჟურნალმა „მაქსმა“ სათავისოდ გამოიყენა და კახას მეუღლე ანუკა არეშიძესთან ერთად ფოტოსესია მოუწყო. უკრაინელი ფოტოხელოვნების ხელს, აი, ეს გემოვნებიანი სურათები გამოუვიდა... ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ „მაქსი“ კახა კალაძის საკუთრებაა და უკრაინაში უკვე დიდი პოპულარობით იკვეხნის...





# მოსიყვარულე ანუკახა










# ქართული წიხლი ძვირად შეაფასეს

**წინა** კვირაში რუმინეთის ჩემპიონატში მომხდარი ჩხუბის ამბავი მთელ ევროპას უმალ მოედო და საავენტო არ დარჩენილა, ეს ამბავი რომ არ მოეთხრო.

ამბავს მოკლედ შეგახსენებთ. „დინამოს“ და „ფარულის“ მატჩის მეშვიდე წუთზე შერკინებისას, დინამოელებმა შერკინების პირველ ხაზში მდგარ კონსტანცელ ქართველებს, ირაკლი ნატრიაშვილს და გიორგი ხოსიტაშვილს დაარტყეს, რამაც ისეთი ჩხუბი გამოიწვია, რომ თამაში ჩაიშალა.

ყველაზე მეტად „ფარულის“ ქართველები, ირაკლი ნატრიაშვილი, გიორგი ხოსიტაშვილი, ბიძინა სამხარაძე და კახა უჩავა დაზარალდნენ. ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ დინამოელებს ქართველები საგანგებოდ ჰყავდათ ამოღებული მიზანში. ირაკლი ნატრიაშვილს თითი აქვს მოტეხილი და თვალი ნატკენი, კახა უჩავას ყბა აქვს დაშავებული, გიორგი ხოსიტაშვილი და ბიძინა სამხარაძე უფრო იოლად გადარჩნენ. არცერთი სხვა ფარულელი ასე ძლიერ არ დაშავებულა. თავად ქართველმა მორაგბეებმაც თქვეს, დიდი ეჭვი გვაქვს, რომ დინამოელებმა ჩხუბი საგანგებოდ ჩვენს გამო წამოიწყეს, მწვრთნელი კი აქეზებდაო.

ისიც საფიქრებელია, რომ ეს ჩხუბი იმის გაგრძელება იყო, თბილისში საქართველოს და რუმინეთის ნაკრებთა მატჩისას რომ მოხდა და „დინამოს“ ნაკრებელებმა შური იძიეს.

საქართველოსა და რუმინეთის ბოლო მატჩში კი ფლორიან ტოსკა ჩვენს მამუკა გორგოძეს აუხირდა და ჩხუბი წამოიწყო. ცხადია, რომ მოჩხუბრებს თანაგუნდელები წაეშველნენ და ქართველთაგან ყველაზე მაგრად მუშტი ირაკლი ნატრიაშვლმა იქნია.

თუმცა რაგბის ისეთი დაუწერელი წესიც აქვს, რომ გასარკვევი მოედანზევე უნდა გაირკვეს და ოდესმე შურისძიების საშუალება თუ მოგეცემა, მცემელს უპასუხო, წესი არ არის.

დინამოელები კი სწორედ ასე მოიქცნენ.

მოკლედ, „დინამოსა“ და „ფარულის“ თამაში ჩაიშალა და ჯერი რუმინეთის რაგბის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის ვერდიქტზე მიდგა.

ესეც წესია, რომ ჩხუბის ამტეხი უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს, მით უმეტეს, რომ არც ერთ დინამოელს რაიმე სერიოზული ტრავმა არ მიუღია, „ფარულის“ ქართველების ამბავი კი მოგახსენეთ.

ფედერალებმა ამგვარად განსაჯეს:

ფარული

ჩაეთვალა წაგება;

პრეზიდენტი კრისტიან ზგაბერჩეა: 12 მატჩით აეკრძალა თამაშზე დასწრება. 3000 ლეი ჯარიმა;

მეორე მწვრთნელი ვირგინ ნასტასე: ბოლო გაფრთხილება;

ბიძინა სამხარაძე: 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 1000 ლეი ჯარიმა;

გიორგი ხოსიტაშვილი: 7-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 600 ლეი ჯარიმა.

დინამო

ჩაეთვალა მოგება;

სტადიონს მისცეს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია;

მთავრი მწვრთნელი დანიელ ნეაგა: ბოლო გაფრთხილება;

დარიე ცურეა: 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 1000 ლეი ჯარიმა;

ვალენტინ კალაფეტეანუ, კოსტიცა მერსოიუ, ნიკოლაე რუსი, კოზმინ რაციუ, სტელიან ბურჩეა, ფლავიუს დობრე: 7-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 600 ლეი ჯარიმა.

რატომ დაისაჯა გიორგი ხოსიტაშვილი ასე მკაცრად, ვერ მოგახსენებთ, თუმცალა ჩხუბის ჩანაწერი ბარე ათჯერ ვნახეთ, ბიძინა სამხარაძე კი ყველაზე მკაცრად კი იმიტომ დასაჯეს, რომ რომელიღაც დინამოელს მუცელში წიხლი ჩასცხო. იმ და სხვა დინამოელებს იმ ეპიზოდში ნატრიაშვილის გარშემო წრე ჰქონდათ შეკრული და ურტყამდნენ.

განაჩენის გამოტანის მერე კომენტარი საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემაც გააკეთა: თუ დადასტურდა, რომ ჩხუბი ეთნიკური ნიშნით მოხდა, IRB-ს მივმართავთო.

**ირაკლი ნინიძე**

საქართველოს ჩემპიონატი. I ტური

# ჩუმად და მოულოდნელად

**ლელო 59:19 ელიტი**

**ლელო:** აზალაძე, კოლელიშვილი, იორდანიშვილი, ხორბალაძე, დაუშვილი, სუჯაშვილი, ჭყონია, მირცხულავა, ყიასაშვილი, ზაალიშვილი, ქიზიყულაშვილი, მანჯავიძე, თოდუა, ხმალაძე, კაჭარავა

შეცვლაზე შევიდნენ: ახალაია, კვერნაძე, ყალიჩავა, კორჯალია, ლომინაძე, დემეტრაშვილი, ჭინჭარაული

მწვრთნელი: ლევან მაისაშვილი

9ლ: კორჯალია (2), ლომინაძე (2), კაჭარავა, ხმალაძე, თოდუა, ყალიჩავა, დემეტრაშვილი

4გ: ყიასაშვილი (4)

2ჯ: ყიასაშვილი (2)

**ელიტი:** სირბილაძე, თხილაიშვილი, ბუზუშვილი, ფხაკაძე, ყუბანეიშვილი, გოგობერიძე, აბესალაძე, ხოჭოლავა, ნინიძე, ევგენიძე, აშვეთია, ქონელიძე, ცისკარიშვილი, ვასაძე, აბაშიძე

შეცვლაზე შევიდნენ: მარამიძე, კუნჭულია, დუმბაძე, კუხიანიძე, გოგიტიძე

მწვრთნელი: ლევან მგელაძე

1ლ: ბუზუშვილი

1გ: ნინიძე

3ჯ: ვასაძე (3)

1ა: ვასაძე

**ვისოლი-ყოჩები 18:15 აია**

**აკადემია 29:17 უნივერსიტეტი**

**ლოკომოტივი 13:18 ხარები**

**პარბი** კი იქნებოდა, რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გახსნისას დროშა ალემართათ და ჰიმნი შეესრულებინათ, მაგრამ რაც არის, ესაა და დროს უკუღმა ვეღარ დაატრიალებ. იმედი კი გვაქვს, რომ ჩემპიონატის მიღებული ფორმით გახსნა გაისად მაინც მოხერხდება.

ჩემპიონატი კი შარშანდელი ვიცე-ჩემპიონის და თასის მფლობელი „ლელოს“ და უმაღლეს ლიგაში ახლა ალზევებული ბათუმის „ელიტის“ მატჩით გაიხსნა.

რაგბიში მოულოდნელობები, როგორც წესი, ძალიან იშვიათად ხდება ხოლმე და ამ თამაშშიც ასე იყო (თუმცა პირველი ტური მოულოდნელობის გარეშე მაინც არ ჩამთავრდა). „ლელომ“ დიდი ანგარიშით დაამარცხა დებიუტანტი, ოღონდ იმასაც ვერ ვიტყვით, ბათუმელებს ურიგო გუნდი ჰყავთო. დიდი შანსია, ზღვისპირელებმა ბარე ორ გუნდს შეუქმნან პრობლემები.

„ლელომ“ კი გამოცდილებისა და კლასის ხარჯზე მეტოქე იოლად დაამარცხა.

ჩემპიონატის პირველი ლელო თბილისელებმა იმ დროს დადეს, როცა ანგარიში 6:3 იყო და ამ პირველი ლელოს დამმიწებელი გიორგი კაჭარავა გახლდათ. ისიც ვთქვათ, რომ ამ ლელოს დადებაში დიდი წვლილი სტუმართა შეცდომასაც მიუძღვის.

პირველ ტაიმში აღსანიშნი კიდევ ის მოხდა, რომ ბათუმელთა ათმა ნომერმა ჯემალ ვასაძემ ჯარიმით ბურთი საკუთარი ნახევრიდან გაიტანა, რასაც, დაგვეთანხმებით, ყოველდღე ვერ ნახავთ.

„ლელომ“ ტაიმი 8-ქულიანი სხვაობით მოიგო, მეორეში კი გაილაღა. საბოლოოდ ლელოელებმა ცხრა ლელო დადეს, რასაც მატჩის მიწურულს ბათუმელებმა ერთით უპასუხეს.

აი, ასე გაიხსნა მე-20 ეროვნული ჩემპიონატი და პირველ ტურში ერთი მოულოდნელობაც გამოცხვა: ჩემპიონი „ლოკომოტივი“ უმაღლესი ლიგის დებიუტანტ რუსთავის „ხარებთან“ დამარცხდა — 13:18.

თუმცა, მეორე მხრივ, რუსთაველებს უმაღლეს ლიგაში გამოცდილებამიღებული მოთამაშეები საკმაოდ ჰყავთ და ამიტომაც მათი გამარჯვება მოულოდნელობად შევრაცხეთ და არა, სენსაციად. ისე, „ლოკომოტივს“ მეტოქის მეტი რიდი რომ ჰქონოდა, ეგებ, თამაში სათავისო შედეგით დაესრულებინა.

**ოთარ მხეიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლელო | 1 | 1 | 0 | 0 | 59:19 | 2 |
| აკადემია | 1 | 1 | 0 | 0 | 29:17 | 2 |
| რუსთავი | 1 | 1 | 0 | 0 | 18:13 | 2 |
| ყოჩები | 1 | 1 | 0 | 0 | 18:15 | 2 |
| აია | 1 | 0 | 0 | 1 | 15:18 | 0 |
| ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 1 | 13:18 | 0 |
| უნივერსიტეტი | 1 | 0 | 0 | 1 | 17:29 | 0 |
| ელიტი | 1 | 0 | 0 | 1 | 19:59 | 0 |

**მეორე ტური.** 25 აპრილი

**აკადემია — ხარები (სინათლე)**

**ელიტი — ლოკომოტივი**



ლელო — ელიტი

ძალოსნობა



ალბერტ კუზილოვი და ვანო გრიქუროვი

# საქართველომ შტანგა დაკარგა!

## ალბერტ კუზილოვი წავიდა, ვანო გრიქუროვი რიგში დგას?

**საქართველოს** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის არჩევნებზე, გამარჯვებულმა გია ნაცვლიშვილმა საპროგრამო სიტყვაში ესეც თქვა, ლონდონის ოლიმპიადისთვის ძალოსნობაში სულ ცოტა სამი ლიცენზია უნდა ავიღოთ და არსენ კასაბიევის შენარჩუნებაც უნდა მოვახერხოთ, რომელიც ამ ოლიმპიადაზე ოქროსთვის იბრძოლებსო.

ხვალ-ზეგ ეგებ გამოჩნდეს ვინმე ვუნდერკინდი, რომელიც ოქროს ვინ ჩივის, ლიცენზიის მოპოვებას მაინც მოახერხებს, სადღეისოდ კი ისეთი ვითარებაა, რომ პრეზიდენტის ამ დაპირებას ასრულება არ უწერია, ოღონდ ეს სულაც არ არის გია ნაცვლიშვილის ბრალი.

საქართველომ ვერ მოახერხა არსენ კასაბიევის შენარჩუნება, რაც უკვე ძველი ამბავია და ამის თაობაზე ადრე გვეწერა, წინა კვირაში კი გაირკვა, რომ ვერც ალბერტ კუზილოვი შევინარჩუნეთ.

კუზილოვი პეკინის ოლიმპიადაზე მეშვიდე იყო.

კასაბიევისა და კუზილოვის წასვლის მიზეზები ერთნაირია და აგვისტოს ომთან არის დაკავშირებული. ოსმა სპორტსმენებმა ქართული დროშის ქვეშ გამოსვლა იუარეს. ქართველი ჟურნალისტებისთვის კომენტარი არც ერთს არ გაუკეთებია, ოფიციოზი კი გვეუბნება, რომ სპორტსმენებმა სეპარატისტების მუქარის გამო ამჯობინეს გარიდება და ვერ გავამტყუნებთო.

მუქარის გამო თუ სხვა რამ მოსაზრებებით, ამას ახლა დიდი მნიშვნელობა აღარც აქვს, მთავარი ფაქტია, რომელიც სასიამოვნო სულაც არ არის.

და თუ ჩვენი ვარაუდი დადასტურდა, ხვალ-ზეგ კასაბიევის და კუზილოვის გზას საქართველოს ძალოსანთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვანო გრიქუროვიც დაადგება — უკვე თუ არ არის წასული.

დიახ, საქმე სამარცხვინოდ გვაქვს და ამ წუთას დაზუსტებით ვერ გეუბნებით, ტოვებს თუ არა საქართველოს გრიქუროვიც, რაკი ამ საკითხზე ლიად ლაპარაკს ყველა ერიდება. ფაქტი კი ესაა: ერთი კვირის წინ დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები მთავარი მწვრთნელის გარეშე გაემგზავრა. ოფიციალური ინფორმაციით, ვანო გრიქუროვი ბუდაპეშტში ოჯახური მიზეზების გამო ვერ ჩავიდა, მაგრამ ხომ კარგად ვიცით, რომ ოფიციალური მიზეზი რეალურს ყოველთვის არ ემთხვევა.

სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ვიცოდით: რუმინეთში გრიქუროვიც და კუზილოვიც ჩადიოდნენ. მხოლოდ მას მერე, რაც ჩემპიონატი დაიწყო და კუზილოვის გვარი ვერსად ამოვიკითხეთ, ქართული ძალოსნობის მესვეურები იძულებულნი გახდნენ, ეღიარებინათ, რომ კუზილოვი ვლადიკავკაზშია და საქართველოს სახელით გამოსვლას აღარ აპირებს.

სხვათა შორის, ალბერტ კუზილოვი ყმაწვილკაცობისას სწორედ რუსეთის სახელით წევდა შტანგას და როგორც პერსპექტიული ძალოსანი, 2005 წელს რუსეთის ოლიმპიელთა დახმარების ფონდის სპეციალურ პროგრამაშიც მოხვდა, რომლის მიზანიც პეკინის ოლიმპიადისთვის რუსი სპროტსმენების მომზადება გახლდათ. მის ადრეულ მონაცებმებს თუ გადავხედავთ, შეჯიბრებებზე ჩრდილოეთ ოსეთის სახელით გამომსვლელად მოიხსენიება.

ამის მერე კუზილოვი საქართველოში ჩამოვიდა და ქართული ძალოსნობის მამებმა ამის თაობაზე რიხით გვამცნეს. ხოლო ახლა, როცა კუზილოვი ისევ ვლადიკავკაზში დაბრუნდა, დუმილი ამჯობინეს და სანამ ევროპის ჩემპიონატის ოფიციალური შედეგები არ ვნახეთ, იქამდე არაფერი გვითხრეს.

**ოთარ მხეიძე**



არსენ კასაბიევი

ძიუდო

# გულნატკენი მასწავლებელი

## გმირო ხაჩიძე: ლიპარტელიანი ქუჩაზე გადამყავდა...

„სარბიელში" ახლახან დავასრულეთ პაატა ნაცვლიშვილის იაპონური შთაბეჭდილებების გამოქვეყნება, რომელშიც ჩვენი კოლეგა ლევან ცაგურიასთან (კოკაი) და ლევან გორგაძესთან (ტოჩინოშინი) შეხვედრებზე მოგვითხრობდა. წერილების ციკლში ასეთი ამბავიცაა მოთხრობილი: ტოჩინოშინი ბავშვობას და პირველ მწვრთნელს, გმირო ხაჩიძეს იხსენებს. ჩვენც გადავწყვიტეთ, გმირო ხაჩიძეს გავსაუბრებოდით, მით უფრო, რომ მწვრთნელობა ზოგადად უმადური პროფესიაა, რაკილა გამარჯვების მთელი პატივი სპორტსმენს ერგება-ხოლმე, მასწავლებელი კი ჩრდილში რჩება. ესეც ვთქვათ: სამბოსა და ძიუდოში დამსახურებული მწვთრნელი, მრავალ ორდენთა კავალერი გმირო ხაჩიძე ტოჩინოშინის გარდა 40-ზე მეტი სპორტის ოსტატის, საბჭოთა კავშირის და მსოფლიოს ჩემპიონატების ჩემპიონ-პრიზიორის აღმზრდელია...



— ლევან გორგაძე 12 წლის იყო, ჩემთან რომ მოვიდა. ძეგვში ცხოვრობდა, დედამ მოიყვანა.

ძიუდოშიც ვავარჯიშებდი და სამბოშიც. ძალიან ნიჭიერი ბავშვი იყო, მაგრამ სერიოზული პრობლემა ჰქონდა, მატერიალურად ოჯახს ძალიან უჭირდა და წარმოიდგინეთ, როგორი საქმე იყო ყოველდღე ძეგვიდან თბილისში სიარული.

მაგრამ მონდომებით ბევრს მიაღწია, ბავშვთა ოლიმპიადა მოიგო და სტიპენდია დაუნიშნეს — 100 ლარი. მერე მცირე ჩავარდნა ჰქონდა და სტიპენდია მოუხსნეს.

სუმოთი დაკავება და იაპონიაში წასვლა რომ გადაწყვიტა, ძალიან დამწყდა გული. ძიუდოში მსოფლიოს ჩემპიონი გახდებოდა, ამაში დარწმუნებული ვარ.

—ვარლამ ლიპარტელიანიც თქვენი აღზრდილია...

— დიახ, მისი პირველი მწვრთნელი ვიყავი. 8-9 წლის იყო, ჩემთან რომ მოვიდა. გორის ქუჩაზე ცხოვრობდა და ვარჯიშზე რომ მოდიოდა, სანამ პატარა იყო, ვხვდებოდი და ქუჩაზე გადმომყავდა.

ჩემთან ხუთი წელი ვარჯიშობდა და ამხელა პერსპექტივა რომ აქვს, ალბათ, ამაში ჩემი დამსახურებაცაა, მაგრამ მერე სხვაგან გადაიყვანეს და...

**— რამდენიმე დღეში ევროპის ჩემპიონატი იწყება და ჩვენი ძიუდოისტების შანსებს როგორ შეაფასებთ?**

— მგონია, რომ შემადგენლობა კარგად არის შერჩეული. შოთა ხაბარელი ძალიან ძლიერი, გამოცდილი მწვრთნელია და იცის, ვინ არის უკეთეს ფორმაში.

ამ ჩემპიონატზე ყველაზე მეტად ლიპარტელიანის იმედი მაქვს, სამეულში მოხვედრა კი შვიდივეს შეუძლია. ისიც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩემპიონატი თბილისში ტარდება.

ამათგან ნესტორ ხერგიანი ყველაზე გამოცდილია, ერთადერთი, ასაკმა შეიძლება შეუქმნას პრობლემა. როგორც გითხარით, სამეულში შვიდივეს შეუძლია შესვლა, ყველას ჩემპიონობა, კი ნაკლებად რეალურია. აი, ლევან გორგაძე რომ ყოფილიყო, ერთი წამით არ შემეპარებოდა ეჭვი...

**გიორგი დარჯანია**

ძიუდო

# რაგბი სან სიროზე

**84-წლიანი** ისტორიის მანძილზე მილანის „სან სირო" მეორედ უმასპინძლებს სარაგბო მატჩს. ნოემბერში, ახალ ზელანდიას ევროპულ ტურნეში იტალიის ნაკრებთანაც აქვს ტესტი დაგეგმილი და გადაწყდა, რომ ეს თამაში „მილანისა" და „ინტერის" საზიარო სტადიონზე ჩატარდება.

აქამდე „სან სიროს" მხოლოდ ერთხელ უმასპინძლია რაგბისთვის. ეს ამბავი 1988 წელს მოხდა, როცა „სკუადრა ატურამ" რუმინეთს უმასპინძლა და 3:12 დამარცხდა.

**ოთარ მხეიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 7 ქართველი კონტინენტს თბილისში დაეჭიდება

## ევროპის ჩემპიონატს უპასუხო კითხვებით ვხვდებით






ეს ნესტორ ხერგიანის ათენური ფოტოა, სადაც ქართველი ძიუდოისტი ვიცე-ჩემპიონი გახდა. მისი მონაგარი კი ასეთია: ოლიმპიადა — 2004 ათენი: ვერცხლი; მსოფლიოს ჩემპიონატი — 1999 ბირმინგემი: ბრინჯაო; 2007 რიო დე ჟანეირო: ვერცხლი; ევროპის ჩემპიონატი — 1998 ოვიედო: ოქრო; 1999 ბრატისლავა: ბრინჯაო; 2000 ვროცლავი: ბრინჯაო; 2001 პარიზი: ბრინჯაო; 2002 მარიბორი: ბრინჯაო; 2003 დიუსელდორფი: ოქრო; 2007 ბელგრადი: ბრინჯაო; 2008 ლისაბონი: ბრინჯაო

**როგორც** იქნა! საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრესსამსახურმა წინა კვირაში განცხადება გააკეთა — აი, ასეთი რეაქცია გვქონდა, სანამ განცხადების შინაარსს გავეცნობოდით, მაგრამ...

„აკრედიტაციის მისაღებად, საჭიროა, განაცხადის წარდგენა ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის სახელზე, ფოტოსურათთან ერთად. ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში, რომელიც საერთაშორისო მედიის უდიდეს ინტერესს იწვევს, თბილისის სპორტის სასახლეში 24-26 აპრილს ჩატარდება...“

ვაი, რომ სულ ტყუილად გვქონდა იმედი, ეგებ ძიუდოს ფედერაციამ ბუნტის მოწყობიდან სამი კვირის თავზე მაინც თქვას, რა მოხდა საქართველოს ნაკრების ბაკურიანული შეკრებისასო, მაგრამ რა დროს ეგ ყოფილა, როცა, ნუ იტყვით და, „ევროპის ჩემპიონატი უცხოური მედიის უდიდეს ინტერესს იწვევს“...

ძიუდოისტთა ბაკურიანული შეკრება, რომელიც პარასკევს დასაწყები ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ეტაპი იყო, სპორტსმენთა ერთმა ნაწილმა (რომელთა ვინაობა ოფიციალურად არც თქმულა), მარტის ბოლო რიცხვებში მიატოვა.

რა მოხდა და როგორ შეიცვლებოდა ამ ბუნტის გამო ჩვენი ნაკრების შემადგენლობა, ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი კარგა ხანს ვერ ამბობდა.

1 აპრილს კი თქვა, შემადგენლობაში ცვლილებებზე ორ დღეში მოგახსენებთო, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე 7 დღით ადრე შემადგენლობა ჯერაც უცნობი იყო. ხოლო რამ გამოიწვია ბუნტი, ამის ოფიციალური პასუხი უკვე მოგახსენეთ: „ევროპის ჩემპიონატი უცხოური მედიის უდიდეს ინტერესს იწვევს...“

შემადგენლობის გამოცხადების მორიგ თარიღად 12 აპრილი დაითქვა, მაგრამ შემადგენლობის დასახელება შოთა ხაბარელმა 17 აპრილისთვის გადადო.

სხვათა შორის, ევროპის ჩემპიონატისთვის განაცხადების წარდგენის ბოლო თარიღად 13 აპრილი იყო დათქმული, მაგრამ ბოლო წამს ითქვა, ქართველებს, როგორც ევროპის ჩემპიონატის მასპინძლებს, შემადგენლობის გამოცხადების უფლება სხვებზე გვიან გვქონია...

მაგრამ ეს მნიშვნელოვანი არ არის. მთავარია, რომ „ევროპის ჩემპიონატმა უცხოური მედიის უდიდესი ინტერესი გამოიწვია...“

ხოლო სანამ ქართველები ფიქრობდნენ, ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი განაცხადის დათქმულ ვადაში წარდგენით ამ ქვეყნებმა გამოხატეს:

ალბანეთი, სომხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, ისრაელი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მოლდოვა, ჰოლანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი, უკრაინა.

ამ ქვეყნების ძიუდოს ფედერაციებმა დათქმულ ვადაში ისიც დაადასტურეს, რომ თბილისში ჩამოვიდოდნენ ოლიმპიური ჩემპიონები — გერმანელი ოლე ბიშოფი, საბერძნეთის მოქალაქე ქართველი ილიას ილიადისი, ბელარუსი იგორ მაკარაუ; მსოფლიოს ჩემპიონები — ჰოლანდიელები რუბენ ჰუქსი და ჯილემ ელმონი, ფრანგი ტედი რინერი და რუსი ალექსანდრ მიხაილინი; ევროპის ჩემპიონები — ავსტრიელი ლუდვიგ პაიშერი, ბელგიელი დირკ ვან ტიშელტი, პორტუგალიელი ჟოაო ნეტუ, ჰოლანდიელი ჰენკ კროლი, პოლონელი რობერტ კრავჩიკი, უნგრელი დანიელ ჰადფი, რუსი ივან პერშინი, ვინაც ირაკლი ცირეკიძე პეკინში ბეჭებზე გააკრა, გერმანელი ანდრეას ტოლცერი, სომეხი არმენ ნაზარიანი, ესპანელი დავიდ ალარსა, ებრაელი არიელ ზეევი.

ამასობაში კი 17 აპრილიც მოვიდა და შოთა ხაბარელმა საქართველოს ნაკრების შვიდეული დაასახელა:

ნესტორ ხერგიანი 60 კგ
მინდია ხომიზური 66 კგ
თენგიზ პაპოშვილი 73 კგ
ლევან წიკლაური 81 კგ
ვარლამ ლიპარტელიანი 90 კგ
ლომერ ფორჩოლიანი 100 კგ
ადამ ოქრუაშვილი +100 კგ

როგორც ხედავთ, ნაკრებში არც ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძეა და არც ევროპის სამგზის ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი, რომლებიც შეკრების მიმტოვებელთა შორის იყვნენ.

მეტი რა გითხრათ... ძიუდო რომ გუნდური სახეობა იყოს, ვიტყოდით, სკანდალის გამო წარმატების იმედი არ უნდა გვქონდესო, მაგრამ გვჯერა, რომ ჩვენი ბიჭები მარე ორს გააკრავენ ბეჭებზე და გაგვახარებენ.

ევროპის ჩემპიონატის განრიგი კი ასეთია: 24 აპრილს დილის 10 საათიდან 60 და 66 კგ-ში დაიწყება შეჯიბრი, ფინალები კი 17 საათიდან გაიმართება.

25 აპრილს იგივე დროს 73 და 81 კგ-ში ჩატარდება შეჯიბრი, 26 აპრილს კი საბრძოლველად დარჩენილი სამი წონის ამბები გაირკვევა.

სპორტის სასახლეში ჩემპიონატზე დასწრება დღეში 10-15 ლარი დაგიჯდებათ.

**ირაკლი ნინიძე**



შოთა ხაბარელს შემადგენლობის დასახელება კი დაუგვიანდა, მაგრამ გუნდი რომ ყოველთვის მომზადებული ჰყავს, თქმა რად უნდა



ადამ ოქრუაშვილი ყველაზე მძიმე ქართველია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რეგულარული ჩემპიონატი


აკაკი დვალიშვილი

## 16-წლამდელთა ჩემპიონატი

16-წლამდელებმა რეგულარული სეზონი სხვა ასაკობრივ ჯგუფებზე ადრე დაასრულეს, პლეი ოფს კი 23 აპრილს დაიწყებენ.

ფინალში გასვლა ორ მოგებამდეა.

ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**მართვე-3 — 51-ე სკოლა**

**ქუთაისი — მართვე-4**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მართვე-3 | 14 | 11 | 3 | 25 |
| ქუთაისი | 14 | 11 | 3 | 25 |
| მართვე-4 | 14 | 10 | 4 | 24 |
| 51-ე სკოლა | 14 | 10 | 4 | 24 |
| მართვე-1 | 14 | 8 | 6 | 22 |
| რუსთავი | 14 | 3 | 11 | 17 |
| ბათუმი | 14 | 3 | 11 | 17 |
| აფხაზეთი | 14 | 0 | 14 | 14 |

## 18-წლამდელთა ჩემპიონატი

**1 ექსპ. სკოლა 92:99 რუსთავი**

27:12 31:22 18:21 16:44

1 ექსპ. სკოლა: წიკლაური (28), მაისურაძე (25), ჩქარეული (19), ბექაური (14 ქულა, 15 მოხსნა)

რუსთავი: დვალიშვილი (58 ქულა, 28 მოხსნა), ფ. გურული (12)

**ნაკრები-93 81:72 ენერჯი**

16:22 19:18 18:14 28:18

ნაკრები-93: ბურჯანაძე (20 ქულა, 12 მოხსნა), ფხაკაძე (12), გულმაგარაშვილი (11), მესხი (11)

ენერჯი: ჩერქეზიშვილი (20), მაღრაძე (18), ელანიძე (15)

**მართვე-1 78:87 დინამო**

20:32 26:12 16:14 16:38

მართვე-1: ოკროიბელაშვილი (25 ქულა, 9 მოხსნა), კუპატაძე (16 ქულა, 11 მოხსნა), ტეტელაშვილი (16)

დინამო: ალხანაიძე (24 ქულა, 10 მოხსნა), ბაქრაძე (21), კოლუაშვილი (13), დეკანოიძე (10)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დინამო | 16 | 12 | 4 | 28 |
| აკადემია | 16 | 11 | 5 | 27 |
| ენერჯი | 16 | 11 | 5 | 27 |
| რუსთავი | 16 | 10 | 6 | 26 |
| მართვე 2 | 16 | 8 | 8 | 24 |
| მართვე 1 | 16 | 7 | 9 | 23 |
| 1 ექსპ. სკოლა | 16 | 7 | 9 | 23 |
| ქუთაისი | 16 | 4 | 12 | 20 |
| ნაკრები 93 | 16 | 2 | 14 | 18 |

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში რუსთაველმა კალათბურთელმა აკაკი დვალიშვილმა ამ სეზონის რეკორდი დაამყარა: ერთ მატჩში 58 ქულა მოინაგრა, რასაც 28 მოხსნაც მიაყოლა.

ნახევარფინალში კი გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**დინამო — რუსთავი**

**აკადემია — ენერჯი**

## 20-წლამდელთა ჩემპიონატი

**აკადემია 76:92 მაკაბი**

21:20 19:21 16:21 20:30

აკადემია: ბოქოლიშვილი (22), ჯავახიშვილი (16)

მაკაბი: ჯანგველაძე (47 ქულა, 18 მოხსნა), ლონდარიძე (25 ქულა, 21 მოხსნა)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუსთავი | 15 | 12 | 3 | 27 |
| აკადემია | 15 | 10 | 5 | 25 |
| მართვე | 15 | 10 | 5 | 25 |
| მაკაბი | 15 | 7 | 8 | 22 |
| სამედიცინო | 15 | 6 | 9 | 21 |
| ქუთაისი | 15 | 0 | 15 | 15 |

20-წლამდელთა ჩემპიონატში პლეი ოფი 23 აპრილს დაიწყება და ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**რუსთავი — მაკაბი**

**აკადემია — მართვე**

ფინალში გასვლა ორ მოგებამდეა.

## კალათბურთი ვებგვერდით გამდიდრდა

**ქართულ** სპორტში თუ რომელიმე ვებგვერდი უნაკლოდ თუ არა, უნაკლოსთან მაქსიმალურად მიახლოვებულად მუშაობს, ეს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდია.

რამდენიმე დღის წინ კი ფედერაციამ ერთი სიახლეც შემოგვთავაზა: საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატს თავისი ვებგვერდი აქვს, რომელზე შესვლაც ფედერაციის ვებ-გვერდიდან არის შესაძლებელი (www.gbf.ge).

ახლო მომავალში საკუთარი ვებგვერდები 18 და 20-წლამდელთა ჩემპიონატებსაც ექნება.

**ოთარ მხეიძე**

# ქართული ლეგიონი დაქულიანდა

**წინა** კვირაში საქართველოს ნაკრების გამთამაშებლის, ტაირონ ელისის „კახასოლმა" ესპანეთის ჩემპიონატში „სარაგოსას" 80:73 მოუგო და, ფაქტობრივად, შეინარჩუნა ადგილი პრიმერადივიზიონში, რაც მთელი სეზონი სათუო ჰქონდა.

„სარაგოსასთან" მატჩში ელისმა ყველაზე მეტი, 17 ქულა ჩააგდო, რასაც 3 მოხსნა, 1 პასი და 2 ჩაჭრა მიამატა. სულ კი გაქართველებულმა ამერიკელმა მოედანზე 33 წუთი დაჰყო.

17-გუნდა დივიზიონში ელისის „კახასოლი" მე-11 ადგილზეა.

ამავე ტურში თორნიკე შენგელიას „პამესამ" „ბილბაო" დაამარცხა, ოღონდაც ქართველს არ უთამაშია.

„ფუენლაბრადა" საკუთარ მოედანზე დაძაბულ ბრძოლაში ოთხი ქულით დამარცხდა მადრიდის „რეალთან" — 84:88, თუმცა მასპინძელთა ქართველმა ნიკოლოზ ცქიტიშვილმა კარგად ითამაშა, 19 ქულა მიითვალა და ამ მხრივ თავის გუნდში საუკეთესო იყო. ისიც ვთქვათ, რომ პირველ წრეში ნიკამ „რეალს" 15 ქულა ჩაუგდო.

29-ე ტურში კი ელსის და ცქიტიშვილის გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ და ცქიტიშვილისამ 90:81 მოიგო. ნიკამ 16 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა, ელისმა კი — 9 ქულა. ცქიტიშვილის გუნდი ახლა მე-9 ადგილზეა და საპლეიოფო მერვე ადგილზე მყოფს ერთი მოგებით ჩამორჩება.

ამასობაში ერთ გალისიურ გაზეთში წერილი დაიბეჭდა „პეიშეგალეგოს" ახალგაზრდული გუნდის კალათბურთელ ბექა ჩიკვილაძეზე: 18 წლის ჩიკვილაძე ბოლო ტურებია, თამაშში 20 ქულაზე ნაკლებს არ აგროვებს და მისი დახმარებით „პეიშეგალეგო" გალისიის რეგიონის ჩემპიოიონატის ოთხთა ფინალში გავიდაო.

საბერძნეთში გიორგი შერმადინი „პანათინაიკოსს" 13 ქულით შეეწია „კავალასთან" მოგებულ მატჩში — 96:69. გიორგიმ 11 წუთი ითამაშა და ნახსენებ 13 ქულასთან ერთად 3 მოხსნა და 2 დაფარებაც მიითვალა.

25 ტურის მერე „პანათინაიკოსი" მეორე ადგილზეა და ლიდერ „ოლიმპიაკოსს" 3 მოგებით ჩამორჩება.

ხორვატიაში კი ჩემპიონატი ახლადა გახურდა და მეშვიდე ტურში ვლადიმერ ბოისას „ზადარმა" „შიბენკას" 122:75 მოუგო. ბოისამ მოედანზე 21 წუთი დაჰყო და 5 ქულასა და 3 მოხსნას მოუყარა თავი.



ვლადიმერ ბოისა

უკრაინაში პლეი ოფი დაიწყო, სადაც მეოთხედფინალში „კიევი" „პულსარს" ხვდება. კიეველებმა რეგულარული ჩემპიონატი მე-2 ადგილზე დაასრულეს, „პულსარი" კი მეშვიდე იყო. ნახევარფინალში გასვლა სამ მოგებამდეა და პირველ მატჩში კიეველებმა 81:68 იმარჯვეს. ამ თამაშში მანუჩარ მარკოიშვილმა 35 წუთი ითამაშა და „პულსარს" 15 ქულა ჩაუგდო, რასაც 4-4 პასი და მოხსნაც დაამატა.



# ნაპოლეონის პასუხი და ქართული ხელბურთი



**მსოფლიოს** ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე გამგზავრების წინ საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელები ამბობდნენ, თავს არ დავზოგავთ და გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, თუმცაღა ვიცით, რომ ძალიან ძნელი იქნებაო.

საქართველოს ნაკრებმა პორტუგალიაში ყველა თამაში წააგო.

მწვრთნელების გამტყუნებას არ ვაპირებთ, რაკი შეჯიბრის წინ იმის ძახილი, უშანსოდ ვართ და იოტისოდენა იმედიც არ უნდა გვქონდესო, გამართლებული არ უნდა იყოს და სპორტსმენებზე დამთრგუნველად იმოქმედებს, მაგრამ არაფრის იმედი რომ არ უნდა გვქონოდა, ხომ ფაქტი იყო.

რატომ არ უნდა გვქონოდა იმედი, უამრავი მიზეზის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ ნაპოლეონისა არ იყოს, ერთი მიზეზის დასახელებაც კმარა.

ნაპოლეონის ამბავი კი ასეთია: კორსიკელი მთავარსარდლის არმიამ რომელიღაც ბროლის ხაზიდან უკან დაიხია. ბონაპარტმა გენერლები შეკრიბა და მიზეზი ჰკითხა. უპასუხეს, სამი მიზეზი იყოო. პირველი ის, რომ ფრონტის იმ ხაზზე ზარბაზნები არ გვქონდაო. ნაპოლეონმა გენერალი გააჩერა, ყველაფერი გასაგებია, დანარჩენი მიზეზების ჩამოთვლა აღარ მჭირდებაო.

ჰოდა, იმას მოგახსენებდით, რომ საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების წარუმატებლობის უამრავი მიზეზი შეგვიძლია დავასახელოთ, მაგრამ ჩვენც ნაპოლეონივით მოვიქცეთ და პირველივეზე შევჩერდეთ: საქართველოში ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას ვერ აბამენ თავს...

შემოდგომაზე დასაწყები ჩემპიონატი მარტის ბოლოს რის ვაივაგლახით დაიწყო, რაკი გუნდებმა ლამის ნახევარი წლის განმავლობაში სამონაწილეო ათას-ათასი ლარი ვერ შეაგროვეს.

ისე, თუ ვინმეს დაენიძლავებით, ვინ გახდება საქართველოს ჩემპიონი, წაუგებელ ვარიანტს გირჩევთ: ჩემპიონატს „თბილისი" მოიგებს, რომელსაც რეალური კონკურენტი არ ჰყავს. ხოლო ახალგაზრდულ ჩემპიონატში პრაქტიკულად გუნდი არ არის, დებულების დარღვევაში რომ არ იყოს შემჩნეული.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპი კი ასეთი შედეგებით დასრულდა:

**თურქეთი 32:19 საქართველო**

**პორტუგალია 34:19 ბელგია**

**ბელგია 24:23 თურქეთი**

**საქართველო 17:39 პორტუგალია**

**პორტუგალია 40:17 თურქეთი**

**ბელგია 34:24 საქართველო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 3 | 0 | 0 | +60 | 6 |
| ბელგია | 3 | 2 | 0 | 1 | -4 | 4 |
| თურქეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -11 | 2 |
| საქართველო | 3 | 0 | 9 | 3 | -45 | 0 |

მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც ეგვიპტეში 6 აგვისტოს დაიწყება, ევროპიდან 12 ნაკრები ითამაშებს. ესენია: დანია, გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ისლანდია, შვედეთი, პორტუგალია, ესპანეთი, სლოვენია, ესტონეთი, ჩეხეთი, ბელარუსი.

**ოთარ მხეიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ორმაგი სიხარული: ზაზას გამარჯვება ორმაგი დუბლით

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**16 აპრილს** რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა და ორი დღის თავზე პლეი ოფი დაიწყო.

ზაზა ფაჩულიას „ატლანტა“ 16 საუკეთესო გუნდს შორის რომ მოხვდა, რამდენიმე კვირის წინ გაირკვა, აღმოსავლეთ კონფერენციის მეოთხედფინალში კი მეტოქედ „მაიამი“ ერგო.

პლეი ოფზე ქვემოთ მოგახსენებთ, აქ კი „ატლანტაში“ ზაზა ფაჩულიასა და მისი თანაგუნდელების მაჩვენებლებს შევადარებთ რეგულარულ ჩემპიონატში.

ზაზამ რეგულარულის 77 მატჩში ითამაშა, რაც მეხუთე შედეგია მის გუნდში. ყველაზე მეტი, 80 მატჩი კი ფილ მერფის და მორის ევანსს დაუგროვდათ.

ზაზა ქულებით ვერ დაიკვეხნის — საშუალო მაჩვენებელი 6,3 აქვს, რაც მერვე შედეგია, ყველაზე მეტი კი ჯოი ჯონსონმა ჩააგდო — 21,4ქულა საშუალოდ ერთ მატჩში.

მოხსნებში ზაზას მეოთხე მაჩვენებელი აქვს (5,7), ლიდერი კი ელ ჰორფორდი გახლავთ — 9,3.

**13 აპრილი**

ლეიკერსი 92:75 მემფისი
საკრამენტო 92:95 სან ანტონიო
ტორონტო 111:104 ფილადელფია
მაიამი 122:105 ნიუ იორკი

**14 აპრილი**

გოლდენ სტეიტი 72:101 სან ანტონიო
პორტლენდი 113:83 ოკლაჰომა
ფინიქსი 119:110 მემფისი
იუტა 106:85 კლიპერსი
დენვერი 118:98 საკრამენტო
ჰიუსტონი 86:66 ნიუ ორლეანი
დალასი 96:94 მინესოტა
მილუოკი 98:80 ორლანდო
ნიუ ჯერსი 91:87 შარლოტი
დეტროიტი 88:91 ჩიკაგო
ვაშინგტონი 96:97 ტორონტო
ინდიანა 109:117 კლივლენდი

**15 აპრილი**

ლეიკერსი 125:112 იუტა
ფილადელფია 98:100 ბოსტონი
ატლანტა 81:79 მაიამი

**16 აპრილი**

მაიამი 102:96 დეტროიტი
ბოსტონი 115:107 ვაშინგტონი
ორლანდო 98:73 შარლოტი
ინდიანა 115:108 მილუოკი
კლივლენდი 110:111 ფილადელფია
*ძირითადი დრო 98:98*
პორტლენდი 104:76 დენვერი
კლიპერსი 85:126 ოკლაჰომა
ფინიქსი 117:113 გოლდენ სტეიტი
სან ანტონიო 105:98 ნიუ ორლეანი
ჩიკაგო 98:109 ტორონტო
მინესოტა 90:97 საკრამენტო
მემფისი 98:90 ატლანტა
დალასი 95:84 ჰიუსტონი
ნიუ იორკი 102:73 ნიუ ჯერსი



**ზაზა ფაჩულიას კვირის მონაგარი რეგულარულ ჩემპიონატში**

მაიამისთან: განაცხადში არ იყო.

მემფისთან (სასტარტო ხუთეულში ითამაშა): 23,01 წუთი, 4 ქულა, 0 პასი, 5 პერსონალური ჯარიმა, 9 მოხსნა.

**ამ სეზონის საშუალო მონაგარი რეგულარულ ჩემპიონატში**

77 მატჩი, 19,06 წუთი, 6,3 ქულა, 0,7 პასი, 2,7 პერსონალური ჯარიმა, 5,7 მოხსნა.

**საშუალო მონაგარი კარიერაში**

422 მატჩი, 21,11 წუთი, 7,7 ქულა, 1,0 პასი, 2,7 პერსონალური ჯარიმა, 5,6 მოხსნა.

| ალმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 62 | 20 | 75,6 |
| ფილადელფია | 41 | 41 | 50,0 |
| ნიუ ჯერსი | 34 | 48 | 41,5 |
| ტორონტო | 33 | 49 | 40,2 |
| ნიუ იორკი | 32 | 50 | 39,0 |
| **ცენტრალური** | | | |
| კლივლენდი | 66 | 16 | 80,5 |
| ჩიკაგო | 41 | 41 | 50,0 |
| დეტროიტი | 39 | 43 | 47,6 |
| ინდიანა | 36 | 46 | 43,9 |
| მილუოკი | 34 | 48 | 41,5 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 59 | 23 | 72,0 |
| ატლანტა | 47 | 35 | 57,3 |
| მაიამი | 43 | 39 | 52,4 |
| შარლოტი | 35 | 47 | 42,7 |
| ვაშინგტონი | 19 | 63 | 23,2 |
| **დასავლეთი** | | | |
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 54 | 28 | 65,9 |
| ჰიუსტონი | 53 | 29 | 64,6 |
| დალასი | 50 | 32 | 61,0 |
| ნიუ ორლეანი | 49 | 33 | 59,8 |
| მემფისი | 24 | 58 | 29,3 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| დენვერი | 54 | 28 | 65,9 |
| პორტლენდი | 55 | 28 | 65,9 |
| იუტა | 48 | 34 | 58,5 |
| მინესოტა | 24 | 58 | 29,3 |
| ოკლაჰომა | 23 | 59 | 28,0 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 65 | 17 | 79,3 |
| ფინიქსი | 46 | 36 | 56,1 |
| გოლდენ სტეიტი | 29 | 53 | 35,4 |
| კლიპერსი | 19 | 63 | 23,2 |
| საკრამენტო | 17 | 65 | 20,7 |

## რეგულარული ჩემპიონატის რეკორდები



**საუკეთესო მექულეები**

| | | |
|---|---|---|
| დუეინ ვეიდი | მაიამი | 30,2 |
| ლებრონ ჯეიმსი | კლივლენდი | 28,4 |
| კობი ბრაიანტი | ლეიკერსი | 26,8 |



**საუკეთესო მომხსნელები**

| | | |
|---|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი | ორლანდო | 13,8 |
| ტროი მერფი | ინდიანა | 11,8 |
| დევიდ ლი | ნიუ იორკი | 11,7 |



**საუკეთესო მპასები**

| | | |
|---|---|---|
| კრის პოლი | ნიუ ორლეანი | 11,0 |
| დერონ უილიამსი | იუტა | 10,7 |
| სტივ ნეში | ფინიქსი | 9,7 |

## NBA. პლეი ოფი. კონფედერაციათა მეოთხედფინალი. ოთხ მოგებამდე

**აღმოსავლეთი**

**კლივლენდი 102:84 დეტროიტი**
*რეგულარულ ჩემპიონატში 3:1*
*კლივლენდის სასარგებლოდ*
**ბოსტონი 103:105 ჩიკაგო**
*ძირითადი დრო 97:97*
*რეგულარულ ჩემპიონატში 2:1*
*ბოსტონის სასარგებლოდ*
**ორლანდო 98:100 ფილადელფია**
*რეგულარულ ჩემპიონატში 3:0*
*ორლანდოს სასარგებლოდ*
**ატლანტა 90:64 მაიამი**
*რეგულარულ ჩემპიონატში 3:1*
*ატლანტას სასარგებლოდ*

**დასავლეთი**

**ლეიკერსი 113:110 იუტა**
*რეგულარულ ჩემპიონატში 2:1*
*ლეიკერსის სასარგებლოდ*
**დენვერი 113:84 ნიუ ორლეანი**
*რეგულარულ ჩემპიონატში 2:2*
**სან ანტონიო 97:105 დალასი**
*რეგულარულ ჩემპიონატში 2:2*
**პორტლენდი 81:108 ჰიუსტონი**
*რეგულარულ ჩემპიონატში 2:1*
*ჰიუსტონის სასარგებლოდ*

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტამ“ აღმოსავლეთ კონფერენციის მეოთხედფინალი კარგად დაიწყო. „მაიამის“ პირველ თამაშში 26 ქულით მოუგო და გვარიანი იმედიც გააჩინა, ნახევარფინალში გასვლისა.

ჩვენთვის კი განსაკუთრებით სასიამოვნო ზაზას შედეგიანი თამაშია, რომელმაც ორმაგი დუბლი შეასრულა, რაც პლეი ოფში აქამდე ვერ მოეხერხებინა.

ორი წლის წინ „ატლანტამ“ პლეი ოფს ვერ უწია, შარშან კი მეოთხედფინალში 4:3 წააგო „ბოსტონთან“, ზაზამ მაშინ შვიდივე მატჩში ითამაშა, მაგრამ ასეთი შედეგი არ ჰქონია.

ახლა კი, „მაიამისთან“ პირველ მატჩში ქართველმა კალათბურთელმა 10 ქულა და ამდენივე მოხსნა მოაგროვა მისთვის ბოძებულ 19 წუთში.

ამ ათი ქულიდან რვა ზაზამ 2-ქულიანი ტყორცნებით შეაგროვა და ორიც საჯარიმო ჩააგდო.

დამარცხებულთა ლიდერმა დუეინ ვეიდმა, ვინაც რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო მექულე გახდა, თქვა: „უამრავი სროლა გავაფუჭეთ და ასეთ დროს მოგებაზე ფიქრიც ზედმეტია. მეტოქე კი ძალიან სწრაფად გადმოდიოდა შეტევაზე და მთლიანად, დარბაზში ისეთი განწყობა სუფევდა, რომ თამაშის აწყობა გაგვიჭირდა.“

მაიამელებმა მართლაც საარაკოდ ცოტა ქულა ჩააგდეს და 1998 წლის ანტირეკორდი გააუმჯობესეს. მაშინ პლეი ოფში „მაიამიმ“ „შარლოტს“ 68 ქულა ჩაუგდო.

„ატლანტას“ და „მაიამის“ მომდევნო მატჩი, ისევ ატლანტაში, 23 აპრილს გაიმართება.

პლეი ოფის პირველი მატჩების მთავარი მოულოდნელობა კი მოქმედი ჩემპიონის, „ბოსტონის“ საშინაო მარცხი იყო „ჩიკაგოსთან“. არადა, შარშან სწორედ ამ დარბაზში ბოსტონელებს ერთი საპლეიოფო თამაშიც არ წაუგიათ.

ამ სენსაციის მთავარი შემოქმედი კი გახდა ჩიკაგოელთა ახალბელა დერიკ როუზი, ვინაც 36 ქულა მოინაგრა და ამით ლეგენდარული ქარიმ აბდულ ჯაბარის რეკორდი მოხსნა პლეი ოფში დებიუტანტების მიერ ჩაგდებული ქულებისა.

**ირაკლი ნინიძე**



ატლანტელმა მარვინ უილიამსმა თავის გუნდს, ზაზა ფაჩულიას დარად, 10 ქულა შემატა

2009 IIHF WORLD CHAMPIONSHIP SWITZERLAND Berne • Zurich-Kloten

# მსოფლიო შაიბას დაატრიალებს

**24 აპრილს** შვეიცარიაში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება, ფინალი კი 10 მაისსაა.

პირველ ეტაპზე ჩემპიონატში 16 გუნდი ჩაებმება, რომლებიც ასე არიან განაწილებული:

A ჯგუფი: ბელარუსი, უნგრეთი, კანადა, სლოვაკეთი;

B ჯგუფი: გერმანია, რუსეთი, საფრანგეთი, შვეიცარია;

C ჯგუფი: ავსტრია, ლატვია, აშშ, შვედეთი;

D ჯგუფი: დანია, ნორვეგია, ფინეთი, ჩეხეთი.

ახლა ჩემპიონატის არცთუ მარტივ ფორმატში გავერკვეთ.

პირველი ჯგუფური ეტაპიდან მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე 3-3 საუკეთესო გუნდი გადის და E და F ჯგუფებში გადანაწილდებიან. E ჯგუფში A და D ჯგუფების სამეულები მოიყრიან თავს, F ჯგუფში კი — B და C ჯგუფების სამეულები.

ამ ეტაპზე გუნდებს პირველ ეტაპზე დაგროვილი ქულები გადაჰყვებათ, გარდა ბოლოადგილოსნებთან ალებული ქულებისა. ამასთანავე, პირველ ეტაპზე თანაჯგუფელებს აღარ შეხვდებიან.

ამის მერე ოთხ-ოთხი საუკეთესო ნაკრები მეოთხედფინალში გადის, საიდანაც კლასიკური პლეი ოფის სისტემით გააგრძელებენ საჩემპიონო ბრძოლას.

პირველ ეტაპზე ბოლო ადგილზე გასული ოთხი ნაკრები კი ერთმანეთს გაეჯიბრება და ორი უარესი მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატზე დაბალ დივიზიონში ითამაშებს.

**თეიმურაზ უშაკოვი**

# პლეი ოფი. კონფედერაციათა 1/4 ფინალი

*ჰოკეის ნაციონალურ ლიგაში წინა ორშაბათს რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა და პლეი ოფი დაიწყო. კონფედერაციათა მეოთხედფინალში გამარჯვება ოთხ მოგებამდეა.*

## აღმოსავლეთი

17 აპრილი
**ბოსტონი 4:2 მონრეალი**
19 აპრილი
**ბოსტონი 5:1 მონრეალი**
*სერიაში : 2:0 ბოსტონის სასარგებლოდ*

16 აპრილი
**ვაშინგტონი 3:4 რეინჯერსი**
18 აპრილი
**ვაშინგტონი 0:1 რეინჯერსი**
*სერიაში 2:0 რეინჯერსის სასარგებლოდ*

16 აპრილი
**ნიუ ჯერსი 4:1 კაროლინა**
18 აპრილი
**ნიუ ჯერსი 1:2 (ოტ) კაროლინა**
20 აპრილი
**კაროლინა 2:3 (ოტ) ნიუ ჯერსი**
*სერიაში 2:1 ნიუ ჯერსის სასარგებლოდ*

16 აპრილი
**პიტსბურგი 4:1 ფილადელფია**
18 აპრილი
**პიტსბურგი 32 (ოტ) ფილადელფია**
19 აპრილი
**ფილადელფია 6:3 პიტსბურგი**
*სერიაში 2:1 პიტსბურგის სასარგებლოდ*

## დასავლეთი

17 აპრილი
**სან ხოსე 0:2 ანაჰაიმი**
20 აპრილი
**ანაჰაიმი 3:2 სან ხოსე**
*სერიაში 2:0 ანაჰაიმის სასარგებლოდ*

17 აპრილი
**დეტროიტი 4:1 კოლამბუსი**
19 აპრილი
**დეტროიტი 4:0 კოლამბუსი**
*სერიაში : 2:0 დეტროიტის სასარგებლოდ*

16 აპრილი
**ვანკუვერი 2:1 სენტ ლუისი**
18 აპრილი
**ვანკუვერი 3:0 სენტ ლუისი**
20 აპრილი
**სენტ ლუისი 2:3 ვანკუვერი**
*სერიაში 3:0 ვანკუვერის სასარგებლოდ*

17 აპრილი
**ჩიკაგო 3:2 (ოტ) კალგარი**
19 აპრილი
**ჩიკაგო 3:2 კალგარი**
*სერიაში 2:0 ჩიკაგოს სასარგებლოდ*

# რეგულარული ჩემპიონატი

13 აპრილი
**კოლორადო 0:1 სენტ ლუისი**
**აილენდერსი 2:6 ბოსტონი**
**ფილადელფია 3:4 რეინჯერსი**

## აღმოსავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 82 | 51 | 4 | 27 | 244:209 | 106 |
| პიტსბურგი | 82 | 45 | 9 | 28 | 264:239 | 99 |
| ფილადელფია | 82 | 44 | 11 | 27 | 264:238 | 99 |
| რეინჯერსი | 82 | 43 | 9 | 30 | 210:218 | 95 |
| აილენდერსი | 82 | 26 | 9 | 47 | 201:279 | 61 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ბოსტონი | 82 | 53 | 10 | 19 | 274:196 | 116 |
| მონრეალი | 82 | 41 | 11 | 30 | 249:247 | 93 |
| ბუფალო | 82 | 41 | 9 | 32 | 250:234 | 91 |
| ოტავა | 82 | 36 | 11 | 35 | 117:237 | 83 |
| ტორონტო | 82 | 34 | 13 | 35 | 250:293 | 81 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ვაშინგტონი | 82 | 50 | 8 | 24 | 272:245 | 108 |
| კაროლინა | 82 | 45 | 7 | 30 | 239:226 | 97 |
| ფლორიდა | 82 | 41 | 11 | 30 | 234:231 | 93 |
| ატლანტა | 82 | 35 | 6 | 41 | 257:280 | 76 |
| ტამპა | 82 | 24 | 18 | 40 | 210:279 | 66 |

## დასავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 82 | 51 | 10 | 21 | 295:244 | 112 |
| ჩიკაგო | 82 | 46 | 12 | 24 | 264:216 | 104 |
| სენტ ლუისი | 82 | 41 | 10 | 31 | 233:233 | 92 |
| კოლამბუსი | 82 | 41 | 10 | 31 | 226:230 | 92 |
| ნეშვილი | 82 | 40 | 8 | 34 | 213:233 | 88 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ვანკუვერი | 82 | 45 | 10 | 27 | 246:220 | 100 |
| კალგარი | 82 | 46 | 6 | 30 | 254:248 | 98 |
| მინესოტა | 82 | 40 | 9 | 33 | 219:200 | 89 |
| ედმონტონი | 82 | 38 | 9 | 35 | 234:248 | 85 |
| კოლორადო | 82 | 32 | 5 | 45 | 199:257 | 69 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| სან ხოსე | 82 | 53 | 11 | 18 | 257:204 | 117 |
| ანაჰაიმი | 82 | 42 | 7 | 33 | 245:238 | 91 |
| დალასი | 82 | 36 | 11 | 35 | 230:257 | 83 |
| ფინიქსი | 82 | 36 | 7 | 39 | 208:252 | 97 |
| ლოს ანჯელესი | 82 | 34 | 11 | 37 | 207:234 | 79 |

*I გრაფა — თამაში; II — მოგება; III — ოვერტაიმში წაგება; IV — წაგება; V — შაიბების ხხარბა; VI — ქულა*



# ჩხუბი გოგოსთვის



**რამდენიმე** დღის წინ გახმაურდა, რომ ფორმულა 1-ის ამ სეზონის ლიდერს, ჯენსონ ბატონს გოგოს გამო უჩხუბია.

ეს ამბავი ავსტრალიის გრან პრის მოგების მერე ბანკეტზე მომხდარა, რომელზეც „ბრაუნის“ სპონსორის, „ვირჯინ გრუპის“ ბოსს, რიჩარდ ბრენსონს ბატონის მეგობარ გოგოსთან ფლირტი დაუწყია. ეს გოგო 24 წლის ჯესიკა მიჩიბატა გახლავთ.

მავანმა თვითმხილველმა ამბავი ასე მოყვა: ბრენსონი მაგრად დათვრა და ჯესიკას მეტისმეტ ყურადღებას უთმობდა, რაც ბატონმა იწყინა და დასაკავებელი შეიქნაო.

**კოტე კეკელია**

# სასამართლომ ორმაგი გაამართლა

**საერთაშორისო** საავტომობილო ფედერაციის სააპელაციო სასამართლომ „ორმაგი დიფუზორის“ საქმესთან დაკავშირებით ვერდიქტი გამოიტანა: ამგვარი ინოვაცია სავსებით კანონიერად მიიჩნია.

ამ თემას წინა „სარბიელში“ მთელი გვერდი დავუთმეთ და ამლენად აქ დეტალურად აღარ შევეხებით. მოკლედ კი შეგახსენებთ, რომ დიფუზორი ბოლიდის დეტალია, რომელიც აეროდინამიკასთან არის დაკავშირებული და ბორბლების მოჭიდების ძალას ზრდის. შესაბამისად, იზრდება ბოლიდის სისწრაფეც.

სამმა საჯინიბომ, „ბრაუნმა“, „ტოიოტამ“ და „უილიამსმა“ თავიანთ ბოლიდებს ორმაგი დიფუზორები გაუკეთეს, რითაც სხვა საჯინიბოების ბოლიდებთან შედარებით, აეროდინამიკური პარამეტრები 14 პროცენტით გაიუმჯობესეს.

ორმაგი დიფუზორების წინააღმდეგ სარჩელი BMW-მ, „რენომ“, „ფერარიმ“ და „რედ ბულმა“ შეიტანეს.

სასამართლოს ვერდიქტი ასე ჟღერს: „სასამართლომ განიხილა აპელაცია ორმაგი დიფუზორების გამოყენების მართლზომიერებასთან დაკავშირებით და დაადგინა, რომ ავსტრალიის და მალაიზიის გრან პრის სტიუარტებს ყველა საფუძველი ჰქონდათ, განსხვავებული კონსტრუქციის დიფუზორის მქონე ბოლიდები რბოლაზე დაეშვათ.“

ვერდიქტის გამოტანის მერე „ბრაუნის“ ბოსმა როს ბრაუნმა განაცხადა: „სულაც არ ვთვლით ჩვენს დიფუზორებს ბოლიდის კონსტრუქციაში რადიკალურ სიახლედ. რაც ჩვენ გავაკეთეთ, უბრალოდ ახლებური მიდგომაა დიფუზორის გამოყენების იდეისადმი. სპორტის არსიც ხომ ინოვაციებისადმი ამგვარ მიდგომაში მდგომარეობს.

„ფერარის“ პილოტმა კიმი რაიკონენმა კი თავის გუნდს ურჩია, ჩვენც უნდა მოვიფიქროთ მსგავსი რამ, თორემ ვგრძნობ, რომ დიდი სიჩქარისას ჩემი ბოლიდი მაღლა იწევს და სისწრაფეს ვკარგავო.

**გიორგი დარჯანია**

# გადაიხადეთ და ჩაუჯექით

**ფორმულა 1-ის** ყოფილი პილოტი და შარშან ლე მანის 24-საათიანი რბოლის მომგები ფინელი მიკა სალო რალი-მარათონისთვის ემზადება, რომელიც ლოს ანჯელესიდან მაიამიმდე ჩასვლას გულისხმობს. ამ ამბავში ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ სალოს მეწყვილეს ინტერნეტ-აუქციონით შეარჩევენ — ვინც მეტს გადაიხდის, მანქანაშიც ის ჩაუჯდება.




საპრიზო ფონდიდან გვარიანი თანხა კი პოლ ნიუმენის დაარსებულ ბავშვთა ფონდს გადაერიცხება.

**ირაკლი ნინიძე**



# ოქროს ბიჭუნას დასასრული



**პროფესიული** კრივის „ოქროს ბიჭუნამ“, 36 წლის ამერიკელმა ოსკარ დე ლა ჰოიამ ლოს ანჯელესში პრესკონფერენცია მოაწყო და კარიერის დასრულების თაობაზე გამოაცხადა. თქვა, ამ გადაწყვეტილების მიღებამდე რამდენიმე თვე ვფიქრობდიო.

დე ლა ჰოია ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონია და მას მერე პროფესიულ კრივში გადავიდა, სადაც ექვს სხვადასხვა წონაში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. სულ 45 ბრძოლა გამართა და ამათგან 39 მოიგო (30 ნოკაუტით).

მისი ბოლო ბრძოლა შარშან 6 დეკემბერს გაიმართა, რომელშიც ფილიპინელმა მენი პაკიაომ სასტიკად სცემა და დაანოკაუტა. ისეთი ნაცემი იყო, ნევადის საკრივო კომისიამ ორი თვით რინგზე გასვლა აუკრძალა.

თუმცა აკრძალვა საჭირო აღარც იყო, ოსკარ დე ლა ჰოიამ კარიერა დაასრულა.

ახლა ის პრომოუტერობით დაკავდება და საკუთარი საპრომოუტერო ორგანიზაციაც აქვს, რომელსაც „გოლდენ ბოი პრომოუშენ“ ჰქვია.

**თეიმურაზ უშაკოვი**



# ტრავმიანი ველორბოლა

**პარიზი**-რუბეს ველორბოლისას ორგანიზატორთა მოტოციკლი აუხსნელ მიზეზთა გამო სრული სისწრაფით მაყურებლებში შევარდა, რის შედეგადაც 10 კაცი დაშავდა. ამათგან სამმა მძიმე ტრავმები მიიღო და ვერტმფრენით გადაიყვანეს საავადმყოფოში.

რბოლა კი ბელგიელმა ტომ ბოონენმა მოიგო.

**ირაკლი ნინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ასე იწერება ისტორია

**სებასტიან ფეტელმა** კარიერაში მეორე გრან პრი მოიგო, ხოლო „რედ ბულისთვის" ეს დაარსებიდან პირველი და ამდენად, ისტორიული გამარჯვება გახლდათ. თუმცაღა საერთო ჩათვლაში კვლავაც ჯენსონ ბატონი ლიდერობს, რომელიც შანხაიში ფინიშთან მესამე მივიდა, წინა ორი ეტაპი კი, შეგახსენებთ, მოიგო.

რბოლის მოგებამდე ფეტელმა კვალიფიკაციაში გაიმარჯვა და პელეტონს თავში ჩაუდგა. მის უკან, მეორე პოზიციაზე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფერნანდო ალონსო იდგა.

წინა, მალაიზიის გრან პრისა არ იყოს, ამინდი შანხაიშიც უემური იყო და რბოლის დაწყება პეის-კარის თანხლებით მოხდა, რომელიც მთელი რვა წრის განმავლობაში მიდიოდა პელეტონის წინ, ამ დროს კი, მოგეხსენებათ, გასწრება აკრძალულია. ჰოდა, ცხადია, რომ ერთადერთი პილოტი, ვისაც ეს ამბავი აწყობდა, პოულ-პოზიციის მქონე სებასტიან ფეტელი გახლდათ, რომელმაც სასტარტო პირველი პოზიცია ამ რვა წრის გავლისას უბრძოლველად შეინარჩუნა.

შესაბამისად, რვა წრის გავლისას საინტერესო არაფერი მომხდარა გარდა იმისა, რომ ადრიან სუტილმა ბოქსში შეუხვია და საბურავები გამოცვალა.

რვა წრის გავლის მერე ორგანიზატორებმა პეის-კარის ტრასაზე ყოფნა საჭიროდ აღარ ჩათვალეს და გაიყვანეს. ნამდვილი ბრძოლაც ამის მერე დაიწყო და პირველი ინციდენტი მე-18 წრეზე მოხდა. რობერტ კუბიცას და იარნო ტრულის ბოლიდები ერთმანეთს შეასკდნენ.

დაჯახება საბედისწერო არ ყოფილა. პოლონელმა რბოლის გაგრძელება ბოქსში შევლისა და მცირე რემონტის მერე შეძლო, აი, ტრულის კი განსაკუთრებით არ გაუმართლა და რბოლას გამოეთიშა.

რბოლა დრამატული გამოდგა „ფერარისთვისაც". ფელიპე მასას, ვინაც ოცი წრის მერე მესამე იყო, ბოლიდი გაუჩერდა და რბოლა მანაც შეწყვიტა. ბოლიდს ტრანსმისიამ უმტყუნა.

საერთოდაც, შანხაიში „ფერარის" ასე ცუდად 1981 წლის მერე არ ურბოლია. მასა ხომ გამოეთიშა რბოლას და „სკუდერიის" მეორე პილოტი კიმი რაიკონენი ფინიშთან მეათე მივიდა.

რბოლა „ფორს ინდიას" პილოტმა ადრიან სუტილმაც ვერ დაასრულა — 51-ე წრეზე მის ბოლიდს ბორბალი მოძვრა. თავად პილოტი არ დაშავებულა.

„რედ ბულისთვის" კი, როგორც ვთქვით, ეს ისტორიული რბოლა იყო. ფეტელმა მთელი დისტანცია პელეტონის თავში განვლო, გარდა იმ მცირე მონაკვეთისა, როცა ის ბოქსში შევიდა, მდევარ ჯენსონ ბატონს კი მექანიკოსთა დახმარებისთვის ჯერ არ მიემართა.

მეორე ადგილზეც „რედ ბულის" პილოტი გავიდა, ოღონდაც მარკ ვებერს მეორეობა და შესაბამისად 8 ქულა არ დარჩებოდა, მეორე სასტარტო პოზიციის მქონე ფერნანდო ალონსოს ტაქტიკური შეცდომა რომ არ დაეშვა — ესპანელს ბოლიდის საწვავით გასამართად იმ დროს მოუხდა ბოქსში შევლა, როცა ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა იყო გამოსული.

**კოტე კეკელია**



სებასტიან ფეტელი მეგობრებმა ავტოდრომიდან ხელში აყვანილი გაიყვანეს






Formula 1

მესამე ეტაპი — ჩინეთის დიდი პრიზი

შანხაი, 19 აპრილი



## ფორმულა 1. 60-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მესამე ეტაპი

### რბოლის შედეგები

**ჩინეთის დიდი პრიზი**

19 აპრილი. შანხაი

დისტანცია 56 წრე — 305,066 კმ

| | |
|---|---|
| 1 (1). სებასტიან ფეტელი (გერმანია, „რედ ბული") | 1:57:43.485 |
| 2 (3). მარკ ვებერი (ავსტრალია, „რედ ბული") | +10,9 წამი |
| 3 (5). ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, „ბრაუნი") | +44,9 |
| 4 (4). რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, „ბრაუნი") | +63,7 |
| 5 (12). ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, „მაკლარენი") | +65,1 |
| 6 (9). ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, „მაკლარენი") | +71,8 |
| 7 (19). ტიმო გლოკი (გერმანია, „ტოიოტა") | +74,4 |
| 8 (10). სებასტიენ ბუემი (შვეიცარია, „ტორო როსო") | +76,4 |
| 9 (2). ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, „რენო") | +84,3 |
| 10 (8). კიმი რაიკონენი (ფინეთი, „ფერარი") | +91,7 |
| 11 (15). სებასტიან ბურდე (საფრანგეთი, „ტორო როსო") | +94,1 |
| 12 (11). ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, „BMW-ზაუბერი") | +95,8 |
| 13 (17). რობერტ კუბიცა (პოლონეთი, „BMW-ზაუბერი") | +106,8 |
| 14 (20). ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, „ფორს ინდია") | +1 წრე |
| 15 (7). ნიკო როსბერგი (გერმანია, „უილიამსი") | +1 წრე |
| 16 (16). ნელსინიო პიკე (ბრაზილია, „რენო") | +2 წრე |
| **რბოლას გამოეთიშნენ** | |
| 17 (18). ადრიან სუტილი (გერმანია, „ფორს ინდია") | გაიარა 50 წრე |
| 18 (14). კაზუკი ნაკაჯიმა (იაპონია, „უილიამსი") | 43 წრე |
| 19 (13). ფელიპე მასა (ბრაზილია, „ფერარი") | 20 წრე |
| 20 (6). იარნო ტრული (იტალია, „ტოიოტა") | 18 წრე |

*ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი*

| პოული | |
|---|---|
| სებასტიან ფეტელი | 1 წთ 35,130 წმ |

| საუკეთესო წრე | |
|---|---|
| რუბენს ბარიკელო | 1 წთ 52,592 წმ (საშ. სიჩქარე 174,289 კმ/სთ) |

Formula 1

| | ავსტრალია 29 მარტი | მალაიზია 5 აპრილი | ჩინეთი 19 აპრილი | ბაჰრეინი 26 აპრილი | ესპანეთი 11 მაისი | მონაკო 24 მაისი | თურქეთი 7 ივნისი | ბრიტანეთი 21 ივნისი | გერმანია 17 ივლისი | უნგრეთი 26 ივლისი | ევროპა 23 აგვისტო | ბელგია 30 აგვისტო | იტალია 13 სექტემბერი | სინგაპური 13 სექტემბერი | იაპონია 4 ოქტომბერი | ბრაზილია 18 ოქტომბერი | აბუ-დაბი 1 ნოემბერი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბატონი | 10 | 5 | 6 | | | | | | | | | | | | | | | 21 |
| 2 ბარიკელო | 8 | 2 | 5 | | | | | | | | | | | | | | | 15 |
| 3 ფეტელი | - | - | 10 | | | | | | | | | | | | | | | 10 |
| 4 გლოკი | 5 | 3 | 2 | | | | | | | | | | | | | | | 10 |
| 5 ვებერი | - | 1.5 | 8 | | | | | | | | | | | | | | | 9.5 |
| 6 ტრული | 6 | 2.5 | - | | | | | | | | | | | | | | | 8.5 |
| 7 ჰაიდფელდი | - | 4 | - | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 8 ალონსო | 4 | - | - | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 9 კოვალაინენი | - | - | 4 | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 10 ჰემილტონი | - | 1 | 3 | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| როსბერგი — 3,5 ქულა; ბუემი — 3 ქულა; ბურდე — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ბრაუნი | 18 | 7 | 11 | | | | | | | | | | | | | | | 36 |
| 4 რენო | - | 1,5 | 18 | | | | | | | | | | | | | | | 19,5 |
| 2 ტოიოტა | 11 | 5,5 | 2 | | | | | | | | | | | | | | | 18,5 |
| 3 მაკლარენი | - | 1 | 7 | | | | | | | | | | | | | | | 8 |
| 3 BMW-ზაუბერი | - | 4 | - | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| რენო — 4 ქულა; ტორო როსო — 4 ქულა; უილიამსი — 3,5 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# რაფაელ ნადალმა რეკორდები მიჩოგნა



მონტე კარლოს მასტერსი რაფაელ ნადალმა (მარცხნივ) მეხუთედ მოიგო, ნოვაკ ჯოკოვიჩმა კი 510 სარეიტინგო ქულა შეიმატა

**როგორც** წინა „სარბიელში" მოგახსენეთ, 20 აპრილიდან მსოფლიოს ქალთა რეიტინგს ახალი ლიდერი უნდა ჰყოლოდა და ასეც მოხდა — რუსი დინარა საფინა, ისე რომ ბოლო რამდენიმე კვირაა, ღირებული არაფერი გაუკეთებია, მსოფლიოს მე-19 პირველი ჩოგანი გახდა, რაც სერენა უილიამსის ერთმა ჩაგდებულმა ტურნირმა განაპირობა. საერთოდ კი, ქალთა რეიტინგი მეტისმეტად გარუსდა — ათეულში ხუთი რუსი გოგოა.

წინა კვირა კი იმით დაიწყო, რომ ორშაბათს გამთენიისას მსოფლიოს ოდინდელმა პირველმა ჩოგანმა ლეიტონ ჰიუიტმა ბოლო ორ წელიწადში პირველი ტურნირი (ჰიუსტონი) მოიგო და 88-ე ადგილიდან 56-ეზე ისკუპა.

მთავარი ამბავი კი მონტე კარლოს მასტერსი და იქ რაფაელ ნადალის გამარჯვება გახლდათ. ესპანელმა ფინალში 2 საათი და 44 წუთი მოანდომა ნოვაკ ჯოკოვიჩის მიჩოგნვას და ამით მეხუთედ ხომ მოიგო ეს პრესტიჟული ტურნირი, მიჯრით 27-ე გამარჯვებაც მოიპოვა ATP-ს ტურნირებზე. ჰოდა, ახლა რეიტინგს თუ ჩახედავთ, ნადალსა და მეორეადგილოსან ფედერერს შორის იმხელა სხვაობას აღმოაჩენთ, რომ ეჭვი აღარ შეგეპარებათ — ნადალის ლიდერობა კიდევ კარგა ხანს გასტანს.

მონტე კარლოში გამარჯვებით, ნადალი ფედერერს გაუსწორდა ამ რანგის ტურნირთა მოგებების რაოდენობით — 14. ახლა მათ წინ ოდენ ანდრე აგასია — 17 გამარჯვება. ერთიც: ივან ლენდლის მერე მონტე კარლოს ტურნირი მსოფლიოს პირველ ჩოგნებს არასოდეს მოეგოთ და 1988 წლის მერე ნადალმა ეს პირველმა მოახერხა. მონტე კარლოში წინა ოთხი გამარჯვებისას ნადალს რეიტინგში პირველობა არ ეპყრა.

ამავე ტურნირზე როჯერ ფედერერი მეოთხედფინალიდან გავარდა სტანისლას ვავრინკასთან მარცხის მერე. სხვა დროს ამ ამბავს მოულოდნელობადაც მივიჩნევდით, რომ არა ერთი გარემოება. და თუ რა, ამას „სარბიელის" ამავე გვერდზე ცალკე წერილიდან შეიტყობთ.

წინა კვირაში ქალთა ორი მნიშვნელოვანი ტურნირიც გაიმართა. ჩარლსტონის მილიონიანი შეჯიბრი გერმანელმა თინეიჯერმა საბინა ლისიცკიმ მოიგო, რაც მისი პირველი მოგებული ტურნირი გახლავთ კარიერაში.

**ირაკლი ნინიძე**

## კაცები

მონტე კარლოს მასტერსი

თიხნარი. 2 750 000 ევრო

მონაკო

### II წრე

რაფაელ ნადალი (ესპანეთი) — ხუან ჩელა (არგენტინა) 6:2 6:3; ნიკოლა ლაპენტი (ეკვადორი) — მარატ საფინი (რუსეთი) 7:6 2:6 7:6; სიმონე ბოლელი (იტალია) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 7:5 6:3; ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 4:6 6:1 6:4; ენდი მიურეი (ბრიტანეთი) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:3 6:2; ფაბიო ფონინი (იტალია) — მარინ ჩილიჩი (ხორვატია) 6:2 6:0; დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) — მარსელ გრანოლიერსი (ესპანეთი) 4:6 6:3 6:1; ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 6:4 6:3; ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:3 6:4; დავიდ ფერერი (ესპანეთი) — მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) 6:1 6:0; ალბერტ მონტანიესი (ესპანეთი) — ჟან რენე ლისნარი (მონაკო) 6:2 6:4; ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 6:1 6:2; ანდრეას ზეპი (გერმანია) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 7:5 6:1; ხუან მონაკო (არგენტინა) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:2 6:4; სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) — მარტინ ვასალიო არგელიო (არგენტინა) 2:6 7:5 6:2; როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — ანდრეას სეპი (იტალია) 6:4 6:4

### III წრე

რაფაელ ნადალი — ნიკოლას ლაპენტი 6:3 6:0; ივან ლიუბიჩიჩი — სიმონე ბოლელი 7:5 7:6; ენდი მიურეი — ფაბიო ფოლინი 7:6 6:4; ნიკოლაი დავიდენკო — დავიდ ნალბანდიანი 6:4 5:7 6:3; ფერნანდო ვერდასკო — დავიდ ფერერი 6:2 6:1; ნოვაკ ჯოკოვიჩი — ალბერტ მონტანიესი 6:1 6:7 6:0; ანდრეას ზეპი — ხუან მონაკო 3:6 6:2 7:5; სტანისლას ვავრინკა — როჯერ ფედერერი 6:4 7:5

### მეოთხედფინალი

რაფაელ ნადალი — ივან ლუბიჩიჩი 6:3 6:3; ენდი მიურეი — ნიკოლაი დავიდენკო 7:6 6:4; ნოვაკ ჯოკოვიჩი — ფერნანდო ვერდასკო 6:2 4:6 6:3; სტანისლას ვავრინკა — ანდრეას ბეკი 6:2 6:4

### ნახევარფინალი

რაფაელ ნადალი — ენდი მიურეი 6:2 7:6; ნოვაკ ჯოკოვიჩი — სტანისლას ვავრინკა 4:6 6:1 6:3

### ფინალი

რაფაელ ნადალი — ნოვაკ ჯოკოვიჩი 6:3 2:6 6:1

## ქალები

სერკლ ქაფი

თიხნარი. 1 000 000 დოლარი

ჩარლსტონი, აშშ

### II წრე

ელენა დემენტიევა (რუსეთი) — ჯული დიტი (აშშ) 6:0 6:2; ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) — შენაი პერი (აშშ) 6:2 6:3; ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) — ბეტანი მატეკ-სენდზი (აშშ) 6:2 6:4; დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) — ტამირა პაშეკი (ავსტრია) 6:4 6:0; ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) — როსანა დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 6:3 6:2; ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) — სტეფანი დიუბუა (კანადა) 6:3 7:6; შუაი პენი (ჩინეთი) — აკგულ ამანმურადოვა (უზბეკეთი) 7:5 6:7 7:5; კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 6:3 6:3; მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) — ანასტასია სევასტოვა (ლატვია) 6:1 6:3; მელანი ოდინი (აშშ) — ალექსანდრა ვოზნიაკი (კანადა) 7:5 6:0; მელინა ჟინკი (უნგრეთი) — ვანია კინგი (აშშ) 6:4 6:2; ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) — პატრიცია მაირი (ავსტრია) 6:1 2:6 6:2; ელენა ვესნინა (რუსეთი) — პატი შნიდერი (შვეიცარია) 6:2 6:7 7:5; ვიქტორია კუტუზოვა (უკრაინა) — ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) 6:4 7:5; საბინა ლისიცკი (გერმანია) — ლენა ვიენეროვა (სლოვაკეთი) 6:4 6:3; ვინუს უილიამსი (აშშ) — სანია მირზა (ინდოეთი) 6:1 3:6 6:2

### III წრე

ელენა დემენტიევა — ვარვარა ლეპჩენკო 6:1 6:1; დომინიკა ციბულკოვა — ანასტასია როდიონოვა 6:7 6:2 6:3; ვირჟინი რაზანო — ვერა ზვონარიოვა 1:1 უარი; კაროლინ ვოზნიაცკი — შუაი პენი 6:3 6:4; მარიონ ბარტოლი — მელანი ოდინი 6:4 6:1; მელინდა ჟინკი — ნადეჟდა პეტროვა 3:6 6:4 7:5; ელენა ვესნინა — ვიქტორია კუტუზოვა 7:5 7:5; საბინა ლისიცკი — ვინუს უილიამსი 6:4 7:6

### მეოთხედფინალი

ელენა დემენტიევა — დომინიკა ციბულკოვა 6:4 1:0 უარი; კაროლინ ვოზნიაცკი — ვირჟინი რაზანო 6:2 6:0; მარიონ ბარტოლი — მელინდა ჟინკი 6:4 6:1; საბინა ლისიცკი — ელენა ვესნინა 6:4 6:0

### ნახევარფინალი

კაროლინ ვოზნიაცკი — ელენა დემენტიევა 6:4 5:7 7:5; საბინა ლისიცკი — მარიონ ბარტოლი 6:3 6:1

### ფინალი

საბინა ლისიცკი— კაროლინ ვოზნიაცკი 6:2 6:4

## ბარსელონა ოუფენი

თიხნარი. 220 000 დოლარი

ბარსელონა, ესპანეთი

### II წრე

ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) — ნიკოლ ვოიდიშოვა (ჩეხეთი) 6:2 6:3; ანასტასია იაკიმოვა (ბელარუსი) — მაგდალენა რიბალიკოვა (სლოვაკეთი) 3:6 6:3 6:0; რობერტა ვინჩი (იტალია) — ფლავია პენეტა (იტალია) 6:1 6:2; ტატიანა მალეკი (გერმანია) — სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) 5:0 უარი; კარლა სუარეს ნავარო (ესპანეთი) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 6:2 7:5; მარია ხოსე მარტინეს-სანჩესი (ესპანეთი) — მაზა ჩეზ-პეხკარიჩი (სლოვენია) 7:5 5:7 6:2; მარია კირილენკო (რუსეთი) — სევერინ ბრემონი (საფრანგეთი) 7:5 6:2; ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) — სარა ერანი (იტალია) 6:3 6:3

### მეოთხედფინალი

კარლა სუარეს-ნავარო — ტატიანა მალეკი 6:4 6:0; მარია კირილენკო — მარია ხოსე მარტინეს-სანჩესი 6:1 3:6 6:0; ფრანჩესკა სკიავონე — ლუსი შაფაროვა 6:3 7:5; რობერტა ვინჩი — ანასტასია იაკიმოვა 6:3 6:3

### ნახევარფინალი

მარია კირილენკო — კარლა სუარეს-ნავარო 4:6 6:1 6:2; რობერტა ვინჩი — ფრანჩესკა სკიავონე 0:6 7:6 6:4

### ფინალი

რობერტა ვინჩი — მარია კირილენკო 6:0 6:4

# რეიტინგები

## კაცები

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 15390 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 10760 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 9520 |
| 4. ენდი მიურეი (დ. ბრიტანეთი) | 8950 |
| 5. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 4580 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 4340 |
| 7. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 3790 |
| 8. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3675 |
| 9. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 3670 |
| 10. გაელ მონფილსი (საფრანგეთი) | 3460 |
| 11. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი) | 3305 |
| 12. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 2980 |
| 13. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2865 |
| 14. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2825 |
| 15. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 2625 |
| 16. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2570 |
| 17. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2460 |
| 18. მარინ ჩილიჩი (ხორვატია) | 2415 |
| 19. რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) | 2370 |
| 20. მარატ საფინი (რუსეთი) | 2105 |

## ქალები

| | |
|---|---|
| 1. დინარა საფინა (რუსეთი) | 8951 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 8272 |
| 3. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 7391 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 7350 |
| 5. ვინუს უილიამსი (აშშ) | 7102 |
| 6. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 6270 |
| 7. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 5174 |
| 8. ვიქტორია აზარენკო (ბელარუსი) | 4646 |
| 9. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 4308 |
| 10. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 3840 |
| 11. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 3790 |
| 12. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 3606 |
| 13. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 3304 |
| 14. ფლავია პენეტა (იტალია) | 3040 |
| 15. ალიზე კორნე (საფრანგეთი) | 2665 |
| 16. ციე ჟენი (ჩინეთი) | 2501 |
| 17. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 2415 |
| 18. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) | 2385 |
| 19. კაია კანეპი (ესტონეთი) | 2310 |
| 20. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 2269 |

# ქორწილების ორკვირეული



როჯერი და მიროსლავა



ბრუკლინ დეკერი

**ამ უქმეებზე** ენდი როდიკმა ცოლი მოიყვანა. მსოფლიოს მეექვსე ჩოგნის რჩეული გახლავთ მოდელი ბრუკლინ დეკერი, ვისაც 2007 წლიდან ხვდება და ერთი წლის წინ ნიშნობაც ჰქონდათ. მეგობარი ჩოგბურთელების გარდა ქორწილში ელტონ ჯონიც ჰყავდათ მიწვეული.

წინა უქმეებზე კი მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ახლა კი მეორე ნომერი როჯერ ფედერერი დაოჯახდა.

მისი ცოლი, სლოვაკი მიროსლავა ვავრინეცაც ჩოგბურთელია, ოღონდ ყოფილი. ტრავმის გამო კარიერა 2002 წელს დაასრულა.

როჯერს და მიროსლავას ერთმანეთი ჯერ კიდევ სიდნეის ოლიმპიადაზე გაუცნიათ და მას მერე ერთად ცხოვრობენ. ამ ზაფხულს კი შვილსაც ელოდებიან.

ქორწილი ფედერერის მშობლიურ ქალაქ ბაზელში, მეგობართა ვიწრო წრეში გადაიხადეს.

**კოტე კეკელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## XX საუკუნის უდიდესი სპორტსმენები

# KING CARL

ათი წლის კარლი რომელიღაც შეჯიბრზე გამოდიოდა და ერთი ნახტომი განსაკუთრებით კარგად გამოუვიდა. ბიჭი კმაყოფილი იყო. მამამაც შეაქო და მამასთან ერთად მისულმა ასაკიანმა კაცმაც. ყოჩაღ შვილო, ასე გააგრძელე და ჩემპიონი გახდები — უთხრა უცნობმა და ხელი გაუწოდა. ბიჭმა ხელი ჩამოართვა და იმწამსვე უცნობი ჟურნალისტებმა „გაიტაცეს". კარლმა მამას გაკვირვებულმა შეხედა, ვინ არისო. ჯესი ოუენი — ამაყად უპასუხა მამამ. ბიჭზე ამ სახელს გავლენა არ მოუხდენია და ამიტომ მამას განმარტება დასჭირდა: ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონია და ცოცხალი ლეგენდა.

შეჯიბრის მერე სახლში წავიდნენ და მამის თხოვნით, ჯესი ოუენიც მათ დაემგზავრა. მთელი გზა კარლს თავის ამბებს უყვებოდა და ბიჭიც პირდაღებული უსმენდა. დამშვიდობებისას ჯესი ოუენმა ერთხელაც უსურვა ბიჭს წარმატება, მაგრამ ცხადი იყო, რომ ეს უბრალოდ ზრდილობიანი ადმიანის საქციელი გახლდათ — ნებისმიერ სხვა ბიჭსაც ასევე უსურვებდა ჩემპიონობას. თუმცა კარლმა იმ დღეს გადაწყვიტა, დიდ ჯესი ოუენს დამსგავსებოდა.

ასე შეხვდა ერთმანეთს ორი ლეგენდა — ჯესი ოუენი და ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონი კარლ ლუისი...



ფრედერიკ კარლ ლუისი 1961 წლის 1 ივლისს დაიბადა ბირმინგემში, ალაბამას შტატი. მამა მძლეოსნობის მწვრთნელი იყო იქაურ უნივერსიტეტში. დედა თავის დროზე ძალიან ცნობილი მორბენალი იყო და 1951 წელს პანამერიკულ თამაშებზე მეექვსე ადგილი დაიკავა. ერთი სიტყვით, მძლეოსნობისკენ მიდრეკილება კარლს გენებში ჰქონდა.

ბავშვობაში დასთან, კეროლთან ერთად ვარჯიშობდა. მძლეოსნობის დისციპლინებიდან ყველაზე მეტად სირბილი და სიგრძეზე ხტომა მოსწონდა.

1968 წელი იყო: ტელევიზორში გამოაცხადეს, რომ მეხიკოს ოლიმპიადაზე ბობ ბიმონმა სრულიად ფანტასტიკური მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. კარლი ქუჩაში გავიდა. ფეხით გადაზომა იგივე მანძილი — 8,90 მეტრი და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, მანძილი თვალით გადაზომა და... თავი სინანულით გააქნია. ამ სიგრძეზე გადახტომა წარმოუდგენლად მიიჩნია.

მშობლები ყველანაირად ხელს უწყობდნენ კარლის სპორტით გატაცებას, თუმცა ისიც სურდათ, რომ ბიჭს რომელიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა ესწავლა. საქმე ის იყო, რომ კარლი შედეგებით მაინცდამაინც ვერ იკვეხნიდა და თვლიდნენ, რომ თუ დიდი სპორტსმენი ვერ გამოვიდოდა, ჯობდა, თავიდანვე რაიმე სხვა საქმისთვის მოეკიდა ხელი. თავად კარლიც არ იყო კმაყოფილი და იმასაც ფიქრობდა, ამერიკული ფეხბურთით ან წყალში ხტომით ხომ არ დავკავდეო. მაგრამ ბიმონის ნახტომი ვერ დაივიწყა და ბურთისადმი და ტრამპლინისადმიც მალევე გაუქრა ინტერესი.

მძლეოსნობას ისევ დაუბრუნდა, მაგრამ კინაღამ სპორტთან დამშვიდობება მოუხდა. ბიჭებთან თამაშისას ფეხი გაიჭრა და მყესი დაიზიანა. ექიმთან რომ მიიყვანეს, პირველი ეს იკითხა, ვარჯიშს როდის შევძლებო. ექიმს გაუკვირდა, მაგრამ გული არ დაწყვიტა და ვადად რამდენიმე კვირა დაუთქვა.

კარლი არ ყოფილა ისეთი ნიჭიერი, როგორც ზოგადად დიადი სპორტსმენები არიან ხოლმე. ცხადია, უნიჭოც არ ყოფილა, მაგრამ მისი მთავარი ღირსება გასაოცარი შრომისმოყვარეობა გახლდათ. სწორედ ამ თვისებამ დააბრუნა ის სტადიონზე, თორემ, ექიმებს მისი სპორტსმენობისა ეეჭვებოდათ.

იმ ამბიდან ერთ წელიწადში მისი პროგრესი უკვე თვალსაჩინო გახდა. 13 წლისა უკვე ხუთნახევარ მეტრზე ხტებოდა და ნაკრების მწვრთნელებმაც თვალი დაადგეს. 1979 წელს კარლ ლუისი ნაკრებშიც აიყვანეს და პუერტო რიკოშიც გაუშვეს პანამერიკულ თამაშებზე. ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ მომდევნო წლისთვის ამერიკის ოლიმპიური ნაკრებშიც ჩარიცხეს, ოღონდაც ცნობილ მიზეზთა გამო კარლის ოლიმპიური დებიუტი გადაიდო — ამერიკელი სპორტსმენები მოსკოვში არ ჩავიდნენ.

ჰიუსტონში დასახლდა და იქაურ უნივერსიტეტში ტელეკომუნიკაციების შესწავლა დაიწყო. უმეტეს დროს, ცხადია, სპორტს უთმობდა. თუმცა მაშინაც კი, როცა ის ამერიკის ჩემპიონი გახდა 100 მეტრზე სირბილსა და სიგრძეზე ხტომაში, მწვრთნელები გამუდმებით უმტკიცებდნენ, რომ დიდ სპორტში ორი დისციპლინის შეთავსება სისულელე იყო დაწარმატების მიღწევას ვერ შეძლებდა. არჩევანი რომელიმე ერთ დისციპლინაზე უნდა შეეჩერებინა.

ეს დავა 1982 წლამდე გაგრძელდა. ამ წელს კი კარლი 8,76 მეტრზე გადახტა და სირბილშიც ჩინებული შედეგები ჰქონდა — მწვრთნელები დანებდნენ.

1983 წელს კი ის პირველად გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატზე და აი, შედეგიც: სამი ოქროს მედალი მოიგო, 100 მეტრზე, სიგრძეზე ხტომასა და ესტაფეტაში! ამის მერე ალარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ კარლი სიტყვას შეასრულებდა და ლოს ანჯელესის ოლიმპიადაზე ოთხ ოქროს მედალს მოიგებდა. ასეც მოხდა: 100 და 200 მეტრები მოიგო, სიგრძეზე ხტომაც და ესტაფეტაც.

ის უმალ მონათლეს „ქარის შვილად" და „მეფე კარლად", თუმცა ისტორიისთვის უცნობია, მეოთხე ოლიმპიური ოქროს მოგების მერე გაახსენდა თუ არა, როგორ დაულოცა გზა ჯესი ოუენმა...

უზარმაზარმა წარმატებამ მძლეოსნობისადმი ინტერესი, ცოტა არ იყოს, გაუნელა. თითქოს ლოგიკურიც იყო — მოსაგები ხომ აღარაფერი დარჩა. მომდევნო ორი წელი აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა და დიდ დროს წიგნზე მუშაობას უთმობდა. წიგნს „სარბენ ბილიკზე" ერქვა და ამის გარდა, სიმღერაც კი სცადა.

მისი სპორტისკენ შემობრუნებას მსოფლიო ბენ ჯონსონს უნდა უმადლოდეს, რომლის მიღწევებმაც კარლს პირველობისკენ სწრაფვის ძველი ჟინი დაუბუნა. 1986 წელს არა ბენს, არამედ კარლს ჰქონდა დასამტკიცებელი, რომ ის იყო პლანეტის უსწრაფესი ადამიანი.

მათი პირველი შეხვედრა კარლის დამარცხებით დასრულდა. 87-ში რომში, მსოფლიოს ჩემპიონატზე კარლმა სიგრძეზე ხტომაში ოქრო კი მოიგო, მაგრამ 100 მეტრი ისევ ჯონსონს დაუთმო, არადა, მძლეოსნობაში ხომ ყველაზე პრესტიჟულ დისციპლინად სწორედ 100 მეტრზე სირბილი ითვლება. ყველაფერს პირადი ტრაგედიც დაემატა — მამა გარდაეცვალა.

კარლს იმან უშველა, რომ მარცხს ქვეყნიერების აღსასრულად არ მიიჩნევდა და ამით საკუთარ ნერვულ სისტემას ზიანს არ აყენებდა, რაც დამღუპველი იქნებოდა. ამასთანავე ყოველთვის კორექტული იყო და მოწინააღმდეგეებს, მათ შორის ბენ ჯონსონს, აუგად არ მოიხსენიებდა. კარლი ვერც იმან გატეხა, რომ მისი საოცნებო ბობ ბიმონის საარაკო რეკორდი მაიკ პაუერმა დაამხო და არა მან.

მერე ასეთი რამ მოხდა: ბენ ჯონსონი დოპინგის ხმარებაში ამხილეს და სპორტიდან მოკვეთეს. კარლი ამჯერადაც კორექტული დარჩა და როცა ამის თაობაზე ჰკითხეს, თქვა: „ადამიანი საკუთარ ბედს თავად განსაზღვრავს და ეს ძალია პირადულია." განსაკუთრებული რეაქცია არც მაშინ ჰქონია, მასზეც რომ თქვეს, აკრძალულ პრეპარატებს თუ არ იღებს, როგორ აქვს ასეთი უნიკალური შედეგებიო.

როგორც კარლ ლუისის ბიოგრაფები ამბობენ, სხვათა აზრის შემწყნარებლობა მას ოჯახიდან და აღზრდიდან მოსდგამდა — მისი მშობლები მარტინ ლუთერ კინგის აქტიური მომხრეები იყვნენ და მის დემონსტრაციებში მუდამ მონაწილეობდნენ.

ხალხი კი მოუთმენლად ელოდა კარლის და ბენ ჯონსონის მორიგ დუელს სეულის ოლიმპიადაზე. ბენმა 100 მეტრზე იქაც აჯობა, მაგრამ ზემოთ მონათხრობი ამბავი დოპინგის თაობაზე სწორედ იმ ოლიმპიადისას მოხდა, ჯონსონს ოქრო ჩამოართვეს და კარლს გადაულოცეს. სეულში კარლმა სიგრძეზე ხტომაშიც მოიგო ოლიმპიური ოქრო.

არანაკლები იყო მომდევნო, ბარსელონის ოლიმპიადაც, სადაც კარლმა კიდევ ორი ოქრო მოიგო სიგრძეზე ხტომასა და ესტაფეტაში, თავის ბოლო, მეცხრე ოლიმპიურ ოქროს კი ათენის ოლიმპიადაზე დაეუფლა.

დრო დაუნდობელია და მის კარიერაშიც დაღმასვლა დაიწყო. კიდევ ცოტა ხანი გამოდიოდა შეჯიბრებებზე, მაგრამ უმეტესად იმისთვის, რომ გულშემატკივრებს მისალმებოდა. 1997 წელს კი კარიერის დასრულების თაობაზე განაცხადა.

მისი კოლექცია 17 ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლისგან შედგება, თავად კი ამბობს, რომ მათგან ყველაზე ძვირფასი პირველი და ბოლო ოლიმპიური ოქროს მედლებია.

და ორი პატარა ამბავიც:

კარლ ლუისმა მაინც შეძლო ბობ ბიმონზე შორს გადახტომა. 1991 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ის 8,91 მეტრზე გადახტა, მაგრამ ზურგქარი ეხმარებოდა და შედეგი არ ჩაუთვალეს.

2003 წელს, ამერიკის ოლიმპიური კომიტეტის ანტიდოპინგური კომისიის ყოფილმა დირექტორმა დოქტორმა ვეიდ ექსამმა განაცხადა, რომ თავის დროზე კარლ ლუისი დოპინგს მაინც იღებდა...

**გიორგი დარჯანია**

| | | |
|---|---|---|
| **ოლიმპიური თამაშები** | | |
| 1984 | 100 მ | ოქრო |
| 1984 | 200 მ | ოქრო |
| 1984 | 4x100 მ | ოქრო |
| 1984 | ხტომა | ოქრო |
| 1988 | 100 მ | ოქრო |
| 1988 | ხტომა | ოქრო |
| 1988 | 200 მ | ვერცხლი |
| 1992 | 4x100 მ | ოქრო |
| 1992 | ხტომა | ოქრო |
| 1996 | ხტომა | ოქრო |
| **მსოფლიოს ჩემპიონატები** | | |
| 1983 | 100 მ | ოქრო |
| 1983 | 4x100 მ | ოქრო |
| 1983 | ხტომა | ოქრო |
| 1987 | 100 მ | ოქრო |
| 1987 | 4x100 მ | ოქრო |
| 1987 | ხტომა | ოქრო |
| 1991 | 100 მ | ოქრო |
| 1991 | 4x100 მ | ოქრო |
| 1991 | ხტომა | ვერცხლი |
| **პანამერიკული თამაშები** | | |
| 1987 | ხტომა | ოქრო |

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 1 | ლივერპული-არსენალი | 2.05 | 3.20 | 3.85 | 1.24 | 1.33 | 1.74 |
| | | 22 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 3 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1.35 | 4.80 | 9.00 | 1.05 | 1.17 | 3.13 |
| 23:00 | 5 | ჩელსი-ევერტონი | 1.50 | 3.70 | 8.00 | 1.06 | 1.26 | 2.52 |
| | | 25 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 7 | ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 9 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 5.85 | 3.45 | 1.55 | 2.17 | 1.22 | 1.06 |
| 18:00 | 11 | ფულემი-სტოკი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 18:00 | 13 | ევერტონი-სიტი | 1.80 | 3.30 | 4.25 | 1.16 | 1.26 | 1.85 |
| 18:00 | 15 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 18:00 | 17 | ჰალი-ლივერპული | 8.00 | 3.90 | 1.40 | 2.62 | 1.19 | 1.03 |
| 20:30 | 19 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| | | 26 აპრილი | | | | | | |
| 16:30 | 21 | არსენალი-მიდლსბრო | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 19:00 | 23 | ბლექბერნი-უიგანი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| | | 27 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 25 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 29 | ჩარლტონი-კარდიფი | 3.35 | 3.30 | 1.95 | 1.66 | 1.23 | 1.22 |
| 18:00 | 31 | დერბი-რედინგი | 2.65 | 3.30 | 2.40 | 1.46 | 1.25 | 1.38 |
| 18:00 | 33 | ქოვენთრი-ბარნსლი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 60 | როვერსი-ბრაიტონი | 1.70 | 3.40 | 5.00 | 1.13 | 1.26 | 2.02 |
| 22:45 | 61 | იოვილი-ჰერეფორდი | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 21 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 75 | როთერჰემი-მორქეიმბი | 1.90 | 3.25 | 3.75 | 1.19 | 1.26 | 1.74 |
| | | 22 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 76 | დაგენემი-ბრენტფორდი | 2.55 | 3.25 | 2.55 | 1.42 | 1.27 | 1.42 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 24 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 173 | ჰოფენჰაიმი-ჰერტა | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| | | 25 აპრილი | | | | | | |
| 17:30 | 175 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 2.45 | 3.20 | 2.75 | 1.38 | 1.29 | 1.47 |
| 17:30 | 177 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1.45 | 3.80 | 6.90 | 1.04 | 1.19 | 2.45 |
| 17:30 | 179 | ლევერკუზენი-კარლსრუე | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| 17:30 | 181 | ვერდერი-ბოხუმი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| 17:30 | 183 | ჰანოვერი-კიოლნი | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 17:30 | 185 | ბაიერნი-შალკე | 1.60 | 3.55 | 5.20 | 1.10 | 1.22 | 2.10 |
| | | 26 აპრილი | | | | | | |
| 17:30 | 187 | კოტბუსი-ვოლფსბურგი | 4.50 | 3.30 | 1.75 | 1.90 | 1.25 | 1.14 |
| 17:30 | 189 | მიონხენგლადბახი-არმინია | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 25 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 302 | კიევო-უდინეზე | 2.20 | 2.90 | 3.35 | 1.25 | 1.32 | 1.55 |
| | | 26 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 304 | ბოლონია-ჯენოა | 3.10 | 3.00 | 2.30 | 1.52 | 1.32 | 1.30 |
| 17:00 | 306 | ტორინო-სიენა | 2.05 | 3.00 | 3.55 | 1.21 | 1.29 | 1.62 |
| 17:00 | 308 | ლეჩე-კატანია | 2.20 | 2.70 | 3.70 | 1.21 | 1.37 | 1.56 |
| | | 25 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 310 | ფიორენტინა-რომა | 2.30 | 2.95 | 3.10 | 1.29 | 1.32 | 1.51 |
| | | 26 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 312 | სამპდორია-კალიარი | 2.20 | 2.90 | 3.50 | 1.25 | 1.35 | 1.58 |
| 17:00 | 314 | მილანი-პალერმო | 1.50 | 3.50 | 6.80 | 1.04 | 1.22 | 2.31 |
| 17:00 | 316 | ლაციო-ატალანტა | 1.90 | 3.00 | 4.10 | 1.16 | 1.29 | 1.73 |
| 17:00 | 318 | რეჯინა-იუვენტუსი | 7.10 | 3.60 | 1.45 | 2.38 | 1.20 | 1.03 |
| 17:00 | 320 | ნაპოლი-ინტერი | 4.15 | 3.00 | 1.90 | 1.74 | 1.30 | 1.16 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 22 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 382 | ბარსელონა-სევილია | 1.47 | 3.70 | 6.10 | 1.05 | 1.18 | 2.30 |
| 22:45 | 384 | დეპორტივო-ალმერია | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 22:45 | 386 | ოსასუნა-მალაგა | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 22:45 | 388 | ბეტისი-ვალენსია | 2.75 | 2.90 | 2.55 | 1.41 | 1.32 | 1.35 |
| | | 26 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 396 | უელვა-მალიორკა | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 398 | ატლეტიკო-ხიხონი | 1.40 | 4.30 | 6.50 | 1.05 | 1.15 | 2.58 |
| 19:00 | 400 | ხეტაფე-ვილიარეალი | 2.50 | 3.00 | 2.70 | 1.36 | 1.29 | 1.42 |
| 19:00 | 402 | ბილბაო-რასინგი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 404 | სევილია-რეალი | 2.65 | 3.30 | 2.35 | 1.46 | 1.24 | 1.37 |
| 19:00 | 406 | ალმერია-ნუმანსია | 1.70 | 3.40 | 4.55 | 1.13 | 1.23 | 1.94 |
| 19:00 | 408 | ვალენსია-ბარსელონა | 3.60 | 3.30 | 1.90 | 1.72 | 1.24 | 1.20 |
| 19:00 | 410 | მალაგა-დეპორტივო | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 19:00 | 412 | ვალიადოლიდი-ოსასუნა | 2.00 | 3.25 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.66 |
| 19:00 | 414 | ესპანიოლი-ბეტისი | 2.45 | 3.10 | 2.70 | 1.36 | 1.28 | 1.44 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 25 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 469 | ოსერი-კაენი | 1.95 | 3.00 | 3.90 | 1.18 | 1.29 | 1.69 |
| 21:00 | 471 | ლე ავრი-გრენობლი | 3.10 | 3.00 | 2.25 | 1.52 | 1.30 | 1.28 |
| 21:00 | 473 | ტულუზი-ლორიანი | 1.65 | 3.20 | 5.50 | 1.08 | 1.26 | 2.02 |
| 21:00 | 475 | ლილი-მარსელი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 21:00 | 477 | ლე მანი-მონაკო | 2.20 | 2.80 | 3.50 | 1.23 | 1.35 | 1.55 |
| 21:00 | 479 | ნანსი-ნანტი | 2.20 | 2.90 | 3.35 | 1.25 | 1.32 | 1.55 |
| | | 24 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 481 | ლიონი-პსჟ | 1.75 | 3.20 | 4.70 | 1.13 | 1.27 | 1.90 |
| | | 25 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 483 | ნიცა-სტ.ეტიენი | 2.15 | 3.00 | 3.40 | 1.25 | 1.31 | 1.59 |
| 21:00 | 485 | სოშო-ვალენსიენი | 2.05 | 2.90 | 3.70 | 1.20 | 1.31 | 1.62 |
| | | უეფა. ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 28 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 858 | ბარსელონა-ჩელსი | 1.75 | 3.35 | 4.85 | 1.14 | 1.28 | 1.98 |
| | | 29 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 859 | მანჩესტერი-არსენალი | 1.85 | 3.25 | 4.30 | 1.17 | 1.29 | 1.85 |
| | | უეფა. უეფას თასი | | | | | | |
| | | 30 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 860 | დინამო კ-შახტარი | 2.05 | 3.20 | 3.60 | 1.24 | 1.30 | 1.69 |
| 22:45 | 861 | ვერდერი-ჰამბურგი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |

**I ტაიმის შედეგი**

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ლივერპული-არსენალი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10029 | ჩარლტონი-კარდიფი | 3.75 | 2.00 | 2.40 | 1.30 | 1.46 | 1.09 |
| 10031 | დერბი-რედინგი | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |
| 10033 | ქოვენთრი-ბარნსლი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10060 | როვერსი-ბრაიტონი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10061 | იოვილი-ჰერეფორდი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10075 | როთერჰემი-მორქეიმბი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10003 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10005 | ჩელსი-ევერტონი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10076 | დაგენემი-ბრენტფორდი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10858 | ბარსელონა-ჩელსი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10859 | მანჩესტერი-არსენალი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10860 | დინამო კ-შახტარი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10861 | ვერდერი-ჰამბურგი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |

**II ტაიმის შედეგი**

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19001 | ლივერპული-არსენალი | 2.45 | 2.30 | 3.50 | 1.18 | 1.44 | 1.38 |
| 19029 | ჩარლტონი-კარდიფი | 3.75 | 2.30 | 2.25 | 1.42 | 1.40 | 1.13 |
| 19031 | დერბი-რედინგი | 2.90 | 2.40 | 2.80 | 1.31 | 1.42 | 1.29 |
| 19033 | ქოვენთრი-ბარნსლი | 2.30 | 2.80 | 3.20 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| 19060 | როვერსი-ბრაიტონი | 2.20 | 2.40 | 3.70 | 1.14 | 1.37 | 1.45 |
| 19061 | იოვილი-ჰერეფორდი | 2.35 | 2.50 | 3.50 | 1.21 | 1.40 | 1.45 |
| 19075 | როთერჰემი-მორქეიმბი | 2.30 | 2.50 | 3.70 | 1.19 | 1.41 | 1.49 |
| 19003 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1.65 | 2.50 | 6.50 | 1.00 | 1.31 | 1.80 |
| 19005 | ჩელსი-ევერტონი | 1.85 | 2.50 | 5.20 | 1.06 | 1.36 | 1.68 |
| 19076 | დაგენემი-ბრენტფორდი | 2.90 | 2.30 | 2.70 | 1.28 | 1.39 | 1.24 |
| 19858 | ბარსელონა-ჩელსი | 2.15 | 2.50 | 3.90 | 1.15 | 1.38 | 1.52 |
| 19859 | მანჩესტერი-არსენალი | 2.25 | 2.30 | 4.20 | 1.13 | 1.46 | 1.48 |
| 19860 | დინამო კ-შახტარი | 2.45 | 2.30 | 3.50 | 1.18 | 1.44 | 1.38 |
| 19861 | ვერდერი-ჰამბურგი | 2.45 | 2.30 | 3.50 | 1.18 | 1.44 | 1.38 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| ფრეს გარეშე(ძირ დრო) | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ლივერპული-არსენალი | 1.50 | 2.45 |
| 16029 | ჩარლტონი-კარდიფი | 2.30 | 1.45 |
| 16031 | დერბი-რედინგი | 1.85 | 1.80 |
| 16033 | ქოვენთრი-ბარნსლი | 1.55 | 2.20 |
| 16060 | როვერსი-ბრაიტონი | 1.24 | 3.60 |
| 16061 | იოვილი-ჰერეფორდი | 1.50 | 2.30 |
| 16075 | როთერჰემი-მორქეიმბი | 1.35 | 2.80 |
| 16003 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1.10 | 5.50 |
| 16005 | ჩელსი-ევერტონი | 1.14 | 4.70 |
| 16076 | დაგენემი-ბრენტფორდი | 1.80 | 1.85 |
| 16858 | ბარსელონა-ჩელსი | 1.25 | 3.40 |
| 16859 | მანჩესტერი-არსენალი | 1.32 | 3.00 |
| 16860 | დინამო კ-შახტარი | 1.50 | 2.45 |
| 16861 | ვერდერი-ჰამბურგი | 1.50 | 2.45 |

| რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირ. დრო) | | | |
|---|---|---|---|
| *14001 | ლივერპული-არსენალი | 1.75 | 2.10 |
| *14029 | ჩარლტონი-კარდიფი | 2.20 | 1.70 |
| *14031 | დერბი-რედინგი | 1.95 | 1.85 |
| *14033 | ქოვენთრი-ბარნსლი | 1.80 | 2.00 |
| *14060 | როვერსი-ბრაიტონი | 1.45 | 2.40 |
| *14061 | იოვილი-ჰერეფორდი | 1.75 | 2.10 |
| *14075 | როთერჰემი-მორქეიმბი | 1.70 | 2.20 |
| *14003 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1.20 | 2.60 |
| *14005 | ჩელსი-ევერტონი | 1.30 | 2.50 |
| *14076 | დაგენემი-ბრენტფორდი | 1.90 | 1.90 |
| *14858 | ბარსელონა-ჩელსი | 1.45 | 2.40 |
| *14859 | მანჩესტერი-არსენალი | 1.65 | 2.30 |
| *14860 | დინამო კ-შახტარი | 1.75 | 2.10 |
| *14861 | ვერდერი-ჰამბურგი | 1.75 | 2.10 |

| გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირ. დრო) | | | |
|---|---|---|---|
| 13001 | ლივერპული-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13029 | ჩარლტონი-კარდიფი | 1.70 | 1.90 |
| 13031 | დერბი-რედინგი | 1.70 | 1.90 |
| 13033 | ქოვენთრი-ბარნსლი | 1.70 | 1.90 |
| 13060 | როვერსი-ბრაიტონი | 1.70 | 1.90 |
| 13061 | იოვილი-ჰერეფორდი | 1.70 | 1.90 |
| 13075 | როთერჰემი-მორქეიმბი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1.90 | 1.70 |
| 13005 | ჩელსი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13076 | დაგენემი-ბრენტფორდი | 1.70 | 1.90 |
| 13858 | ბარსელონა-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13859 | მანჩესტერი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13860 | დინამო კ-შახტარი | 1.70 | 1.90 |
| 13861 | ვერდერი-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |

| გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2.(0:0 ითვლება წყვილად) | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ლივერპული-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17029 | ჩარლტონი-კარდიფი | 1.85 | 1.95 |
| 17031 | დერბი-რედინგი | 1.85 | 1.95 |
| 17033 | ქოვენთრი-ბარნსლი | 1.85 | 1.95 |
| 17060 | როვერსი-ბრაიტონი | 1.85 | 1.95 |
| 17061 | იოვილი-ჰერეფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17075 | როთერჰემი-მორქეიმბი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ჩელსი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17076 | დაგენემი-ბრენტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17858 | ბარსელონა-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17859 | მანჩესტერი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17860 | დინამო კ-შახტარი | 1.85 | 1.95 |
| 17861 | ვერდერი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |

| პირველი ტაიმი ფრეს გარეშე | | | |
|---|---|---|---|
| 23029 | ჩარლტონი-კარდიფი | 1.75 | 1.24 |
| 23031 | დერბი-რედინგი | 1.47 | 1.48 |
| 23033 | ქოვენთრი-ბარნსლი | 1.30 | 1.70 |
| 23060 | როვერსი-ბრაიტონი | 1.10 | 2.55 |
| 23061 | იოვილი-ჰერეფორდი | 1.25 | 1.80 |
| 23075 | როთერჰემი-მორქეიმბი | 1.15 | 2.15 |
| 23003 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1.00 | 3.80 |
| 23005 | ჩელსი-ევერტონი | 1.03 | 3.00 |
| 23076 | დაგენემი-ბრენტფორდი | 1.51 | 1.46 |
| 23858 | ბარსელონა-ჩელსი | 1.12 | 2.40 |
| 23859 | მანჩესტერი-არსენალი | 1.14 | 2.25 |
| 23860 | დინამო კ-შახტარი | 1.20 | 1.80 |
| 23861 | ვერდერი-ჰამბურგი | 1.20 | 1.80 |

| რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირ. დრო) | | | | |
|---|---|---|---|---|
| *12001 | ლივერპული-არსენალი | 2,5 | 1.60 | 2.00 |
| *12003 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| *12005 | ჩელსი-ევერტონი | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| *12858 | ბარსელონა-ჩელსი | 2,5 | 1.90 | 1.80 |
| *12859 | მანჩესტერი-არსენალი | 2,5 | 1.60 | 2.10 |
| *12860 | დინამო კ-შახტარი | 2,5 | 1.60 | 2.00 |
| *12861 | ვერდერი-ჰამბურგი | 2,5 | 2.00 | 1.60 |

| რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი (ძირ. დრო) | | | | |
|---|---|---|---|---|
| *15001 | ლივერპული-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15029 | ჩარლტონი-კარდიფი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15031 | დერბი-რედინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15033 | ქოვენთრი-ბარნსლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15060 | როვერსი-ბრაიტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15061 | იოვილი-ჰერეფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15075 | როთერჰემი-მორქეიმბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15003 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15005 | ჩელსი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15076 | დაგენემი-ბრენტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15858 | ბარსელონა-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15859 | მანჩესტერი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15860 | დინამო კ-შახტარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15861 | ვერდერი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ლივერპული-არსენალი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11029 | ჩარლტონი-კარდიფი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11031 | დერბი-რედინგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11033 | ქოვენთრი-ბარნსლი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11060 | როვერსი-ბრაიტონი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11061 | იოვილი-ჰერეფორდი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11075 | როთერჰემი-მორქეიმბი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11003 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11005 | ჩელსი-ევერტონი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11076 | დაგენემი-ბრენტფორდი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11858 | ბარსელონა-ჩელსი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11859 | მანჩესტერი-არსენალი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11860 | დინამო კ-შახტარი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11861 | ვერდერი-ჰამბურგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |



მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მეტი მაყურებელი 1950 წლის 16 ივლისს მსოფლიოს ჩემპიონობისთვის გადამწყვეტ მატჩს ჰყავდა. იმ დღეს რიო დე ჟანეიროს „მარაკანაზე" ბრაზილიისა და ურუგვაის ნაკრებთა მატჩს 199 854 მაყურებელი დაესწრო. თამაში ურუგვაელებმა 2:1 მოიგეს.

ევროთასებზე ყველაზე დიდი დასწრება კი 1970 წლის 15 აპრილით თარიღდება. გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე" „სელტიკის" და „ლიდს იუნაიტედის" თამაშს 136 505 მაყურებელი დაესწრო. ეს ჩემპიონთა თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩი იყო, რომელიც გლაზგოელებმა მოიგეს, თუმცა მერე ფინალში „ფეიენოორდთან" დამატებით დროში დამარცხდნენ.

## ანეკდოტები

ფიგურისტი გოგონა მწვრთნელთან მიდის:

— მე ყინულზე რვიანების ხაზვა შემიძლია.

— ეგ ყველას შეუძლია.

— მაგრამ მე რომაული ციფრებით ვხაზავ.

ცხენის პატრონი ჟოკეის უწყრება:

— უფრო სწრაფად სირბილი არ შეგეძლო?

— როგორ არ შემეძლო, მაგრამ დოლის დროს ცხენიდან ჩამოსვლა აკრძალულია.

— რა არის ფეხბურთი?

— 22 კაცი, რომლებიც არ ეწევიან, არ სვამენ და ჯანმრთელი ცხოვრების წესს მისდევენ, გულს უხეთქავენ მილიონობით მწეველებს.

— რა არის აუღებელი დარტყმა?

— როდესაც ბურთი 40 მეტრით სცდება კარს.

## სახალისო ფოტო



ჩემპიონთა ლიგა 2008–2009
მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

# მანჩესტერს ეს არ ეკადრებაო

## ჰიდინკი: ბიჭებო, ასე არ შეიძლება



კრიშტიანუ რონალდუს გოლი, რომლის მსგავსსაც ალექს ფერგიუსონი ვერ იხსენებს

**ბაიერნი 1:1 ბარსელონა (0:4)**
1:0 რიბერი (47), 1:1 კეიტა (73)
**ბაიერნი:** ბუტი, ლუსიო, დემიკელისი, ლამი, ლელი, ოტლი, ვან ბომელი, ზე რობერტო (ბოროვსკი 78), სოსა (ალთინთოფი 78), რიბერი, ტონი
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
**ბარსელონა:** ვალდესი, პიკე, პუიოლი, ალვეში, აბიდალი, კეიტა, ტურე, ინიესტა (გლები 78), ხავი, ეტოო, მესი
მწვრთნელი: ხოსეპ გვარდიოლა
გაფრთხილება: ალვეში, პუიოლი, ლუსიო, დემიკელისი, ბოროვსკი, ლელი
მსაჯი: რობერტო როზეტი
2 კარში დარტყმა 1
10 კარისკენ დარტყმა 10
19 ჯარიმა 9
4 კუთხური 4
10 თამაშგარე 3
38 ბურთის ფლობა 62
4 გაფრთხილება 2

**იურგენ კლინსმანი:** „ბარსელონური მარცხის შემდეგ სწორი დასკვნები გამოვიტანე და ამჯერად ჩემმა გუნდმა კარგად ითამაშა ჩემპიონთა ლიგის მთავარ ფავორიტთან.

პირველ მატჩში ოთხბურთიანი სხვაობით მარცხის მიუხედავად, მაინც მქონდა იმედი, რომ გოლს მალე გავიტანდით და „ბარსელონა“ მოირყეოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ვერ მოვახერხეთ.

რიბერის გოლის მერე პენალტიც გვეკუთვნოდა და მსაჯს თვალი რომ არ დაეხუჭა იმ ეპიზოდზე, ვებ მეორე გაგვეტანა და მაშინ სხვა თამაში წვიდოდა.“

ხოსეპ გვარდიოლას (დისკვალიფიცირებული იყო) თანაშემწე **ტიტო ვილანოვა:** „თავიდანვე ვიცოდით, რომ ამ მატჩში ბურთის ფლობა იქნებოდა მთავარი. ვცდილობდით, უკანმოუხედავად არ შეგვეტია და დაცვაში ყურადღებით გვეთამაშა. გვარდიოლასთან ყველა შესაძლო ვარიანტზე ვისაუბრე მატჩამდე და არ გამჭირვებია გუნდის მართვა“.

**ჩელსი 4:4 ლივერპული (3:1)**
0:1 აურელიო (19), 0:2 ხაბი ალონსო (28პ), 1:2 დროგბა (51), 2:2 ალექსი (57), 3:2 ლამპარდი (76), 3:3 ლუკასი (81), 3:4 კუიტი (83), 4:4 ლამპარდი (89)
**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი, კარვალიუ, ალექსი, ეშლი კოული, ესიენი, ლამპარდი, ბალაკი, კალუ (ანელკა 36), მალუდა, დროგბა (დი სანტო 90)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, შკრტელი, არბელოა (ბაბელი 85), ლუკასი, აურელიო, მასკერანო (რიერა 69), ხაბი ალონსო, ბენაიუნი, კუიტი, ტორესი (ნგოგი 80)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ივანოვიჩი, ბენაიუნი, კარვალიუ, კოული, არბელოა
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო
6 კარში დარტყმა 7
9 კარისკენ დარტყმა 10
14 ჯარიმა 29
4 კუთხური 4
3 თამაშგარე 5
40 ბურთის ფლობა 60
3 გაფრთხილება 2

**გუს ჰიდინკი:** „შესვენებისას ძალიან გაბრაზებული ვიყავი, რადგან ჩემი გუნდი ღრმად ჩაჯდა დაცვაში და მეტოქეს მოედნის ცენტრთან არ ხვდებოდა. ამის შედეგად ორი გოლი გავუშვით. „ბიჭებო, ასე თამაში არ შეიძლება“ — ვუთხარი გასახდელში და მათ ყველაფერი გაიგეს. ამიტომაც მსიამოვნებს ამ გუნდთან მუშაობა. ისინი მალე რეაგირებენ, შეცდომებს ხვდებიან და ასწორებენ.“

**რაფაელ ბენიტესი:** „საუცხოოდ დავიწყეთ, მაგრამ „ჩელსის“ დარი მეტოქე შეცდომებს არ პატიობს. ჯერარდის იმედი მქონდა, თუმც ბოლო მომენტში ტკივილმა ისევ შეაწუხა და მოედანზე ვერ გავიდა. მისით გაცილებით უკეთ ვითამაშებდით“.

**პორტუ 0:1 მანჩესტერი (2:2)**
0:1 რონალდუ (6)
**პორტუ:** ელტონი, ალვეში, სისოხო, სეპუნარუ (კოშტა 80), რონალდუ, გონსალესი (მარიანო 31), კრისტიან როდრიგესი (ფარიასი 64), მეირელეში, ფერნანდო, ჰალკი, ლოპესი,
მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა
**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ოში, ევრა, კარიკი, გიგზი, ანდერსონი (სქოულზი 78), რონალდუ, რუნი, ბერბატოვი (ნანი 68)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ვიდიჩი, ევრა
მსაჯი: მასიმო ბუსაკა
3 კარში დარტყმა 4
14 კარისკენ დარტყმა 7
12 ჯარიმა 17
3 კუთხური 9
0 თამაშგარე 3
47 ბურთის ფლობა 53
0 გაფრთხილება 2

ჟესუალდუ ფერეირას (დისკვალიფიცირებული იყო) თანაშემწე **ჟოზე გომეში:** „იმის შემხედვარეს, რაც ორ მატჩში ვაჩვენეთ „მანჩესტერთან“, უსამართლობის გრძნობა მიჩნდება. ჩვენ ნამდვილად ვიმსახურებდით ნახევარფინალში გასვლას, რადგან „ოლდ ტრაფორდზე“ ისე ვითამაშეთ, რომ საუკეთესო ინგლისურ კლუბებსაც შეშურდებოდათ. აქაც ცდა არ დავაკელით, მაგრამ ბურთი კარში არ შევიდა. „მანჩესტერი“ მეორე ტაიმში აშკარად ცდილობდა დროის გაყვანას, რაც პრემიერლიგელებს არ ეკადრებათ.“

**ალექს ფერგიუსონი:** „ჩვენ პორტუში უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე შინ, რადგან რამდენიმე მთავარი ფეხბურთელი დაგვიბრუნდა და პირველი მატჩისგან განსხვავებით, პრემიერლიგის ტურიდან ოთხი დღე გვქონდა დასასვენებლად.

რონალდუმ საოცარი გოლი შეაგდო. კარგად დაფიქრება დამჭირდება, რათა ამ გოლზე უკეთესი გავიხსენო, რომელიც „მანჩესტერში“ ჩემი მწვრთნელობისას მინახავს.“

**არსენალი 3:0 ვილიარეალი (1:1)**
1:0 უოლკოტი(10), 2:0 ადებაიორი (60), 3:0 ვან პერსი (69პ)
**არსენალი:** ფაბიანსკი, ტურე, სილვესტრი, ებუე, გიბსი, ნასრი, სონგი, ფაბრეგასი, უოლკოტი (დენილსონი 77), ვან პერსი (დიაბი 77), ადებაიორი (ბენდტნერი 83)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, გონსალო, გოდინი, კაპდევილია, ეგურენი, პირესი, კანი (რიპოლიესი 70), ფერნანდესი (იბაგასა 64), ანხელ ლოპესი, ბრუნო (ნიჰათი 64), როსი
მწვრთნელი: მანუელ ფერნანდესი
გაფრთხილება: სილვესტრი, ეგურენი, კანი, გოდინი
გაძევება: ეგურენი (67)
მსაჯი: ვოლფგან სტარკი
7 კარში დარტყმა 3
10 კარისკენ დარტყმა 6
15 ჯარიმა 8
3 კუთხური 3
6 თამაშგარე 2
48 ბურთის ფლობა 52
1 გაფრთხილება 3

**არსენ ვენგერი:** „ვილიარეალს“ სისწრაფეში აშკარად ვაჯობეთ და ეს იყო გადამწყვეტი. ამ მომენტისთვის გუნდს გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს, რაკი მატჩიდან მატჩამდე უმატებს და პროგრესი სახეზეა. გუნდში ახალგაზრდა ბიჭები მყავს, მაგრამ ისინი უკვე მაღალი დონის პროფესიონალები და თავდაჯერებული ფეხბურთელები არიან.“

**მანუელ პელეგრინი:** „1:0-ზე კიდევ გვქონდა მატჩის გადარჩენის შანსი, მაგრამ მეორის გაშვების შემდეგ ამოცანა ძალიან გართულდა. თან „არსენალმა“ შეხვედრის ბოლოს შესამჩნევად მოუმატა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ნახევარფინალი**

**ბარსელონა — ჩელსი**
*28 აპრილი და 6 მაისი*

**მანჩესტერი — არსენალი**
*29 აპრილი და 5 მაისი*



ფრენკ ლამპარდმა (შუაში) „ლივერპულს“ ნახევარფინალში გასვლის იმედი გადაუწურა



ბარსელონელი ერიკ აბიდალი და ბაიერნელი ლუსიო

## უეფას თასი 2008-09. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები



ბრემენელთა მეკარე ტიმ ვიზემ სამი კი გაუშვა, მაგრამ ნახევარფინალში მაინც გავიდა



„სიტის“ კაისედოს გოლმა ვერ უშველა

# ჭყლეტვა და ღრიალი მანჩესტერში
# უდინეში მოგებული აერიათ

**სიტი 2:1 ჰამბურგი**

0:1 გერერო (12), 1:1 ელანო (17პ), 2:1 კაისედო (50)
სიტი: გივენი, რიჩარდსი, ონუოხა, საბალეტა (ფერნანდესი 77), აირლენდი, ბრიჯი, კომპანი, კაისედო, დანი, ელანო (სტარიჯი 85), რობინიო
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
ჰამბურგი: როსტი, მატიისენი, იანსენი, ბოატენგი, პიტროიპა, აოგო, გრავგორი, იაროლიმი, ტროხოვსკი (პეტრიჩი 73), ოლიჩი, გერერო
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: დანი, კომპანი
გაძევება: დანი (75)
მსაჯი: .ნიკოლა რიცოლი

8 კარში დარტყმა 9
10 კარისკენ დარტყმა 7
20 ჯარიმა 9
7 კუთხური 6
11 თამაშგარე 3
52 ბურთის ფლობა 48
2 გაფრთხილება 0

**მარკ ჰიუზი:** „მიუხედავად იმისა, რომ კაცნაკლულები დავრჩით, „ჰამბურგი“ კარს მივაჭყლიტეთ და საკმაოდ ძლიერი მეტოქე დავქანცეთ. სამწუხაროდ, მესამე გოლი ვერ შევაგდეთ, რათა მატჩი დამატებით დროში გადაგვეყვანა“.

**მარტინ იოლი:** „ძალიან დაძაბულ და ნერვიულ თამაშს ველოდი, რადგან აქაური ფანების ღრიალს ბევრი გუნდი ვერ უძლებს.

რამდენიმე წლის წინ „ტოტენჰემი“ გავიყვანე მეოთხედფინალში, ახლა კი „ჰამბურგით“ ნახევარფინალში ვარ, რაც უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია ჩემს საქმიანობაში“.

**უდინეზე 3:3 ვერდერი**

1:0 ინლერი (15), 1:1 დიეგო (26), 2:1, 3:1 კვალიარელა (30, 38), 3:2 დიეგო (60), 3:3 პიზარო (73)
უდინეზე: ჰანდაროვიჩი, საპატა (ისლა 84), დომიცი, სანჩესი (პეპე 33), ფელიპე, ასამოა, დაგოსტინო (ობოდო 84), პასკუალე, კალიარელა, ფლორესი, ინლერი
მწვრთნელი: პასკუალე მარინო
ვერდერი: ვიზე, პასანენი (ბოონიში 66), ნალდო, ფრიცი, ციოლისი, ოზილი, ფრინგსი, მერტესაკერი, დიეგო (ნიმეიერი 83), ალმეიდა (86), პიზარო
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: დომიცი, საპატა, ჰანდაროვიჩი, ინლერი, ალმეიდა, ასამოა
მსაჯი: მარტინ ჰანსონი

6 კარში დარტყმა 4
5 კარისკენ დარტყმა 3
9 ჯარიმა 9
8 კუთხური 5
2 თამაშგარე 0
57 ბურთის ფლობა 43
4 გაფრთხილება 2

**პასკუალე მარინო:** „ქომაგები ისე აცილებდნენ გუნდს სტადიონიდან, თითქოს ჩვენ გავედით ნახევარფინალში და არა „ვერდერი“, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი. ჩვენ ბრემენშიც მეტოქეზე უკეთ ვითამაშეთ და ბევრად მეტი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. იღბალი „უდინეზეს“ მხარეს არ იყო.“

**თომას შააფი:** „ჩვენ თვითონ გავირთულეთ საქმე თავიდანვე და მერე ვინერვიულეთ, მაგრამ მეორე ტაიმში კარგად ვითამაშეთ. ისეთი მძიმე მატჩი იყო, დასრულების შემდეგ საზეიმოდაც აღარ გვეცალა.

მე არ ვთაღლითობდი, როცა მატჩამდე ვამბობდი, დიეგო ტრავმირებულია-მეთქი. მან ტრავმიანმა ითამაშა და თავი არ დაუზოგავს“.

**მარსელი 1:2 შახტარი**

0:1 ფერნანდინიო (30), 1:1 ბენ არფა (43), 1:2 ლუის ადრიანო (90)
მარსელი: მანდანდა, ჩიველი, ტაივო (ზენდენი 46), ილტონი, შეირუ, კანა, ვალბუენა (სამასა 66), კაბორე, კონე, ბენ არფა, ნიანგი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
შახტარი: პიატოვი, ჰუბშმანი, დულიაი (გაი 45), კუჩერი, ლუის ადრიანო, რაცი, ჩიგრინსკი, სრნა, ჟადსონი, ილსინიო (ვილიანი 46), ფერნანდინიო (ლევანდოვსკი 75)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
გაფრთხილება: კანა, ლუის ადრიანო, შეირუ, ვილიანი, ნიანგი
მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი

5 კარში დარტყმა 3
12 კარისკენ დარტყმა 3
9 ჯარიმა 10
4 კუთხური 1
1 თამაშგარე 0
62 ბურთის ფლობა 38
3 გაფრთხილება 2

**ერიკ გერეტსი:** „ჩემი გუნდი გულიანად გაისარჯა, მაგრამ მარტო გული არ ყოფილა საკმარისი, თავიც საჭიროა. აურაცხელი მომენტი გავანიავეთ და მე-60 წუთიდან გუნდს დაღლა რომ დაეტყო, „შახტარმაც“ მაშინ დაგვჯაბნა“.

**მირჩა ლუჩესკუ:** „დაცვაში კარგად ვითამაშეთ და „მარსელის“ შეტევებს გავუმკლავდით. ახლა უკვე კიევის „დინამოსთან“ ნახევარფინალურ მატჩებზე ვფიქრობ. „დინამო“ ხომ ჩვენთვის განსაკუთრებული მეტოქეა და მით უფრო განსაკუთრებული იქნება ორმატჩიანი დუელი უეფას თასის ფინალში გასასვლელად“.

**დინამო 3:0 პსჟ**

1:0 ბანგურა (4), 2:0 ლანდრო (ს.კ. 16), 3:0 ვუკოევიჩი (61)
დინამო: ბოგუში, ბეტაო, იუსუფი (ნესმაჩნი 81), საბლიჩი, ნინკოვიჩი (გიოანე 83), ელ კადური, ერიომენკო, მილევსკი, ალიევი, ვუკოევიჩი, ბანგურა (კორეა 69)
მწვრთნელი: იური სიომინი
პსჟ: ლანდრო, სეარა, კლემანი (როტენი 46), არმანი, შანტომი, მაკელელე, სასენიონი, ტრაორე (ბუილონი 16), კამარა, ლუინდულა, ოარო (ჟიული 67)
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერე

6 კარში დარტყმა 5
10 კარისკენ დარტყმა 10
11 ჯარიმა 9
3 კუთხური 6
3 თამაშგარე 6
51 ბურთის ფლობა 49
0 გაფრთხილება 0

**იური სიომინი:** „მთელი გუნდი უსაზღვროდ მონდომებული და მოტივირებული იყო. ქომაგებმაც დიდებული ატმოსფერო და განწყობა შეგვიქმნეს. მაღალი კლასის ფეხბურთი ვაჩვენეთ და ნახევარფინალსაც დიდი იმედით ვხვდები“

პსჟ-ს მეკარე **მიკაელ ლანდრო:** „ბურთი მაღლიდან დიდი სიჩქარით დაეშვა და ძალიან სწრაფად ბზრიალებდა. მე მუშტებით მოგერიება ვცადე და საკუთარ კარში კი შევაგდე. ამ შეცდომას ვერ ავხსნი, მსგავსი რამ ჩემ კარიერაში არასოდეს მომსვლია. ამ გოლმა განსაზღვრა კიდეც ჩვენი მარცხი“.

**რომან თურძია**

**ნახევარფინალი**

დინამო — შახტარი
ვერდერი — ჰამბურგი
30 აპრილი და 7 მაისი

# კითხვა იტალიიდან: რა გიხარიათ?



ჟოზე მოურინიუ

**ჩემპიონთა** ლიგის ნახევარფინალში გასვლით გახარებულ ინგლისურ კლუბებს რა უხარიათო, იკითხა „იუვენტუსის“ მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ.

„ჩვენ ვსაუბრობთ ინგლისურ ფეხბურთზე, მაგრამ „მანჩესტერში“, „ლივერპულში“, „ჩელსიში“ და „არსენალში“ ბევრ ინგლისელს ვერ აღმოაჩენ. იქაურობა სავსეა უცხოელი ფეხბურთელებით, კლუბებს კი უცხოელი მფლობელები ჰყავთ. ამიტომაცაა, რომ მათ ნაკრებს იტალიელი თავკაცობს.

ეს ფეხბურთი კი არა, უკვე ეკონომიკური გათვლებია. ბევრ ფულს ხარჯავენ, ერთი ჩემპიონთა ლიგას იგებს, მეორე პრემიერლიგას, მაგრამ ვერ იტყვი, რომ მეორემ პირველზე ნაკლები დახარჯა“.

ჟოზე მოურინიუს აზრით კი, სერია A სულაც არაა პრემიერლიგაზე სუსტი: „პრემიერლიგა იმიტომ მოვიგე, რომ „მანჩესტერს“, „ლივერპულს“ და „არსენალს“ ვაჯობე, ხოლო იტალიაში ჩემპიონი ხდება ის, ვინც „ლეჩეს“, „კალიარის“, „პალერმოს“ და „ჯენოას“ უმძიმეს მატჩებს უგებს და კვირიდან კვირამდე ქულებს აგროვებს.

ინგლისში „დიდ ოთხეულს“ და დანარჩენ კლუბებს შორის ძალიან დიდი სხვაობაა, იტალიაში კი ასე არ არის.“



კლაუდიო რანიერი

**ირაკლი ნინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტონის ამბავი არქივიდან




**მსოფლიოს** ჩემპიონმა ლუკა ტონიმ გაამხილა, რომ 2006 წელს „ინტერში" მის გადასვლას აღარაფერი უკლდა, მაგრამ კალჩოპოლის სკანდალის გამო „ფიორენტინაში" დარჩა გუნდის დასახმარებლად.

„მოლაპარაკება „ინტერთან" დამთავრებული იყო, თუმც ხელი არაფერზე მქონდა მოწერილი. კლუბის პრეზიდენტ ანდრეა დელა ვალესთან შეხვედრის შემდეგ გადავწყვიტე ფლორენციაში დარჩენა.

2007-ში უკვე „მილანში" და „იუვეშიც" შემეძლო გადასვლა, მაგრამ „ბაიერნი" ვარჩიე. მინდოდა, რომ გუნდში თავი ლიდერად მეგრძნო, თან „ფიორენტინას" გამო სერია A-ს სხვა კლუბში თამაში არ მსურდა".

ლუკა ტონიმ ორი სეზონის განმავლობაში „ბაიერნის" მაისურით ყველა ტურნირში 50 გოლი გაიტანა.

**ირაკლი ნინიძე**

# ლემანს საჭე წაართვეს

**მიუნხენში** სიჩქარის გადაჭარბებისთვის იენს ლემანს მართვის უფლება ოთხი თვით ჩამოართვეს და 127 ევროთი დააჯარიმეს.

„შტუტგარტის" მეკარე მიუნხენში გასული წლის სექტემბერშიც გამოიჭირეს, როცა 102 კილომეტრი საათში სიჩქარით მიჰქროდა იქ, სადაც დასაშვები 60 იყო.

შარშანვე ლემანი გაზეთების თავფურცლებზე იმის გამო მოხვდა, რომ სახლიდან შტუტგარტის სავარჯიშო ბაზაზე ვერტმფრენით მიბრძანდა და ამჯერად უმანქანოდ დარჩენილს, ზოგჯერ ალბათ ისევ მოუწევს ფრენა.

იენს ლემანს „შტუტგარტთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს და ამას წინათ თქვა, მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე თამაში მსურსო, მაგრამ საეჭვოა, იოახიმ ლიოვმა იგი სამხრეთ აფრიკაში იახლოს.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ძალიან ცუდი ღიმილი

**„ლივერპულის"** სათადარიგო ფრანგი მეკარე შარლ იტანჟე გუნდიდან ორი კვირით გარიყეს.

მიზეზი — უგვანო საქციელი „ჰილსბოროზე" დაღუპულთა მოხსენიებისას.

იტანჟეს გაღიმებული სახე კამერამ გამოიჭირა, რამაც ფანები აღაშფოთა და კლუბის ვებგვერდზე ზღვა წერილი მივიდა გუნდიდან მეკარის გაძევების მოთხოვნით.

ფრანგი ბოდიშებად დაიღვარა: „თუ ვინმეს ჩემი საქციელით ტკივილი მივაყენე, ბოდიშს ვუხდი.

ბოდიში, ბოდიში, ბოდიში, ათასი ბოდიში კლუბს, ფანებს და განსაკუთრებით დაღუპულთა ოჯახის წევრებს, რომლებსაც პირადად შევხვდები და ავუხსნი, რომ მათი წუხილი და გარდაცვლილთა შეურაცხყოფა გულში არც გამივლია".

1989 წლის 15 აპრილს შეფილდში „ჰილსბოროს" სტადიონზე „ლივერპული" — „ნოტინგემის" სათასო ნახევარფინალის დაწყებისთანავე ტრიბუნებზე ჭყლეტვისას 96 გულშემატკივარი დაიღუპა. მათ შორის იყო ლივერპულელთა ახლანდელი კაპიტნის, სტივენ ჯერარდის ბიძაშვილიც.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დიეგომ იუვე მოიზომა



**„ვერდერის"** ბრაზილიელმა დიეგომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „იუვენტუსში" თამაში სურს.

ტურინული კლუბი კარგა ხანია ეპატიჟება ბრაზილიელს, რომელიც სატრანსფერო სიის თავში უწერია და ტურინელთა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმაც თქვა, რომ „ვერდერის" ფეხბურთელი ძალიან მოსწონს.

„სერია A-ში ბევრი დიდებული მოთამაშეა და ფეხბურთიც უმაღლესი კლასისაა — ეს დიეგოს სიტყვებია — ძალიან მინდა მათ წინააღმდეგ „იუვეს" მაისურით თამაში. იტალიის ჩემპიონატი ჩემთვის საუცხოო შანსია თავის გამოჩენისა".

ბრაზილიელის სურვილი ერთია, „ვერდერის" დირექტორმა კლაუს ალოფსმა კი ბრძანა: „დიეგო შეუფასებელია და მის გაყიდვას არ ვაპირებთ. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მომავალი სეზონისთვის ისევ შევინარჩუნოთ".

**რომან თურქია**

# გმადლობთ და ბოდიში



**ბელგიის** ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ ერიკ გერეტსმა ნაკრების მწვრთნელობა იუარა.

ფედერაციის ტექნიკური კომიტეტის შეფი „მარსელის" თავკაცს დაუკავშირდა და სამუშაო შესთავაზა.

„გერეტსმა გვითხრა, რომ მისთვის დიდი პატივია ასეთი წინადადება, მაგრამ ამჟამად მისი ნაკრებში მოსვლა შეუძლებელია და მომავალში განხილვაზე თანახმაა".

ბელგიელები რენე ვანდერეიკენის შემცვლელს ეძებენ, რომელიც აპრილის დასაწყისში მოხსნეს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ცუდი შედეგების გამო.

გერეტსი „მარსელში" 2007 წლიდანაა. მის ხელში გუნდმა წლეულს უეფას თასის მეოთხედფინალს უწია და საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერია.

**რომან თურქია**

# რუტენმა პსვ დაიბევა



**26 მარტს** „შალკედან" მოხსნილი ფრედ რუტენი 1 ივლისიდან პსვ-ს მწვრთნელი გახდება, რომელთანაც სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

იგი დუაიტ ლიოვეგესს შეცვლის, ვინაც იანვარში წასული ჰუბ სტვენსის ადგილი დროებით, სეზონის ბოლომდე დაიკავა.

რუტენი 2002-06 წლებში პსვ-ში თანაშემწედ მუშაობდა, საიდანაც „ტვენტეში" მთავარ მწვრთნელად გადავიდა და იქიდან კი შარშან „შალკეში" გადაბარგდა.

პსვ-მ ზედიზედ ოთხი ჩემპიონობის შემდეგ ძველებურად ველარ ითამაშა და ამ სეზონში უეფას თასზე მოსახვედრად იბრძვის.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პობედას უბედურება

**უეფას** სადისციპლინო ინსტანციამ მაკედონიის „პობედა" ევროთასებიდან რვა წლით მოკვეთა, კლუბის პრეზიდენტი ალექსანდრ ზაბრაცანეცს და ფეხბურთელი ნიკოლჩე ზდრავესკის კი სამუდამოდ აუკრძალა ფეხბურთში საქმიანობა.

2004 წლის ივლისში, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩში, „პობედამ" ერევნის „პიუნიკთან" პირველი შეხვედრა შინ 1:3 წააგო. სამივე გოლი სტუმრებმა პირველ ტაიმში გაიტანეს.

საპასუხო მატჩი ერევანში 1:1 დასრულდა.

ზდრავესკი და ზაბრაცანეცი თამაშის შეგნებულად დათმობაში და ამის სანაცვლოდ ფულის აღებაში დაადანაშაულეს. სხვა დეტალები უცნობია.

საქმის განხილვისას, რომელიც 8 საათს გრძელდებოდა, უეფამ იმ მატჩზე დადებული ფსონების ბუქმეიკერული მონაცემები და მოწმეთა ჩვენებები მოისმინა.

დამნაშავეებს განაჩენის სამი დღის ვადაში გასაჩივრების უფლება აქვთ.

# 1890–2009: მუდამ ზევით

ვინ არიან ის გუნდები, რომლებიც ეროვნული ჩემპიონატების უმაღლესი დივიზიონებიდან არასდროს გავარდნილან? ჩამონათვალი, რომელსაც აქ წარმოგიდგენთ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემის არასრული მცდელობაა.

სისრულეს მოკლებულია, რადგან მსოფლიოში ორასზე მეტი ქვეყანაა და თითოეული მათგანის ჩემპიონატის გარჩევა მეტისმეტად შორს წაგვიყვანდა. თქვენს ინტერესს კი, ვფიქრობთ, ეს ჩამონათვალიც დააკმაყოფილებს.

უძველესი გუნდები, რომლებიც დაბალ ლიგაში არასდროს გავარდნილან, ჩრდილოეთირლანდიური და შოტლანდიურებია. ამ ქვეყნების ხუთი გუნდი უმაღლეს დონეზე 1890 წლიდან თამაშობს.

ჩამონათვალში კი ფინური „იავასკილაც" გვყავს შეყვანილი, რომლის უმაღლესლიგელობაც სულ რაღაც ორ ტურს ითვლის.

მუქი შრიფტით კი ის გუნდება ჩამოთვლილი, რომლებიც უმაღლეს ლიგაში დაარსებიდან თამაშობენ...

### საქართველო

| | |
|---|---|
| 1990 | დინამო |
| 1950 | ვიტ ჯორჯია |
| 1994 | ლოკომოტივი |
| 1995 | სიონი |
| 1997 | ვიტ ჯორჯია |
| 1997 | ლოკომოტივი |
| 2004 | ზესტაფონი |
| 2005 | ბორჯომი |
| 2007 | მგლები |
| 2007 | მესხეთი |
| 2008 | გაგრა |

*ამ სეზონის წინ „ამერმა" თავად თქვა უარი უმაღლეს ლიგაში თამაშზე.*

### ალბანეთი

| | |
|---|---|
| **1929** | **ტირანა** |
| 1950 | დინამო |
| 1994 | შხუმბინი |

### არგენტინა

| | |
|---|---|
| 1909 | რივერ პლეიტი |
| 1912 | ინდეპენდიენტე |
| 1913 | ბოკა ხუნიორსი |

### ავსტრია

| | |
|---|---|
| **1911** | **აუსტრია** |
| **1911** | **რაპიდი** |
| 2002 | პაშინგი |
| 2003 | მატერსბურგი |
| 2006 | ალტახი |

### ბელგია

| | |
|---|---|
| 1989 | ბეერსხოტი |
| 1996 | მუსკრონი |
| 1997 | ვესტერლო |
| 2005 | რუზელარე |
| 2008 | ტუბიცე |

### ბრაზილია

| | |
|---|---|
| **1987** | **კრუზეირო** |
| **1987** | **ფლამენგო** |
| **1987** | **ინტერნასიონალი** |
| **1987** | **სანტოსი** |
| **1987** | **სან პაულუ** |

### ბულგარეთი

| | |
|---|---|
| **1937** | **ლევსკი** |
| 1948 | ცსკა |
| 2005 | ვიჰრენი |

### ჩილე

| | |
|---|---|
| **1933** | **კოლო კოლო** |
| 1977 | კობრელოა |
| 2003 | უნ. კონსეპსიონი |

### კოლუმბია

| | |
|---|---|
| **1948** | **ინდეპენდიენტე** |
| **1948** | **მილიონარიოსი** |
| 1999 | პასტო |
| 2004 | ჩიკო |

### ხორვატია

| | |
|---|---|
| **1991** | **დინამო** |
| **1991** | **ჰაიდუკი** |
| **1991** | **ოსიეკი** |
| **1991** | **რიეკა** |
| **1991** | **ზაგრები** |
| **1991** | **ვარტექსი** |
| 1997 | სლავენ ბელუპო |

### კვიპროსი

| | |
|---|---|
| **1934** | **აპოელი** |
| 1953 | ომონია |
| 1957 | აპოლონი |
| 1969 | ენოსისი |
| 2008 | ათრომიტოსი |

### დანია

| | |
|---|---|
| 1982 | ბრონდბიუ |
| 2002 | ნორდსიელანდი |

*ასევე არასდროს გავარდნილა „კოპენჰაგენი, მაგრამ ეს გუნდი 1992 წლიდან თამაშობს დანიის უმაღლეს დივიზიონში, როგორც „B 1903"-ის სამართალმემკვიდრე.*

### ეკვადორი

| | |
|---|---|
| **1957** | **ბარსელონა** |

### ეგვიპტე

| | |
|---|---|
| **1948** | **ალ აჰლი** |
| **1948** | **ზამალეკი** |

### ინგლისი

| | |
|---|---|
| 2005 | უიგანი |
| 2008 | ჰალი |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| 2005 | მარიეჰამნი |
| 2009 | იავასკილა |

### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| 1974 | პარი სენ ჟერმენი |
| 1980 | ოსერი |

*1971-72 წლების სეზონში მსვლელობისას პსჟ „პარიზს" ჩაენაცვლა და მეორე დივიზიონში დაქვეითდა. მაგრამ რაკი პსჟ-ს სრული სეზონი არ ჩაუტარებია, ის გავარდნა „პარიზს" ეთვლება.*

### აღმოსავლეთ გერმანია

| | |
|---|---|
| 1984 | ბრანდენბურგი |

*გერმანიის გაერთიანების მერე ეს გუნდი ერთიან ბუნდესლიგაში ვერ მოხვდა.*

### დასავლეთ გერმანია

| | |
|---|---|
| **1963** | **ჰამბურგი** |
| 1965 | ბაიერნი |
| 1979 | ლევერკუზენი |
| 2008 | ჰოფენჰაიმი |

### განა

| | |
|---|---|
| **1958** | **ასანტე კოტოკო** |
| **1958** | **ჰარტს ოფ ოაკი** |
| 1978 | რეალ ტამალე |
| 1986 | გოლდფილდსი |
| 1996 | კინგ ფაისალი |
| 2003 | ჰარტს ოფ ლაიონი |
| 2006 | ტემა იუთი |

### საბერძნეთი

| | |
|---|---|
| 1959 | აეკ |
| **1959** | **ოლიმპიაკოსი** |
| **1959** | **პანათინაიკოსი** |
| **1959** | **პაოკ** |
| 1989 | ქსანთი |

### ჰონდურასი

| | |
|---|---|
| **1965** | **მარათონი** |
| **1965** | **მოტაგუა** |
| **1965** | **ოლიმპია** |
| **1965** | **რეალ ესპანია** |
| **1965** | **ვიდა** |

### უნგრეთი

| | |
|---|---|
| 2006 | პაკში |

*მას მერე, რაც 1901 წელს ლიგა დაარსდა „ფერენცვაროში" არასდროს გავარდნილა, მაგრამ 2006 წლის ზაფხულში მას ლიცენზია შეუჩერდა.*

### ისლანდია

| | |
|---|---|
| 2008 | ფიოლნირი |

### ირლანდია

| | |
|---|---|
| **1921** | **ბოჰემიანსი** |
| 1951 | სტ. პატრიკი |
| 1984 | კორკი |
| 1987 | დერი |

### ისრაელი

| | |
|---|---|
| **1950** | **მაკაბი თელ ავივი** |

### იტალია

| | |
|---|---|
| **1929** | **ინტერი** |
| 2003 | სიენა |
| 2004 | პალერმო |

*სერიადან არასდროს გავარდნილა „იუვენტუსიც", თუმცა სამი წლის წინ ტურინული გუნდი კალჩოპოლის სკანდალის გამო დააქვეითეს.*

### კოტ დივუარი

| | |
|---|---|
| **1960** | **აფრიკა სპორტსი** |
| **1960** | **აბიჯანი** |
| 2003 | ბინგერვილი |

### ლუქსემბურგი

| | |
|---|---|
| 2005 | კაერიენგი |

### მაკედონია

| | |
|---|---|
| **1992** | **ვარდარი** |
| **1992** | **პობედა** |
| **1992** | **სილექსი** |
| 1998 | რაბოტნიჩკი |
| 2005 | რენოვა |

### მალტა

| | |
|---|---|
| **1946** | **ჰიბერნიანსი** |
| **1946** | **ვალეტა** |

### მექსიკა

| | |
|---|---|
| **1943** | **ამერიკა** |
| **1943** | **გვადალახარა** |
| 1950 | ნეკაქსა |
| 1953 | ტოლუკა |
| 1962 | პუმასი |
| 1964 | კრუს ასული |
| 1968 | სანტოსი |
| 1975 | ტეკოსი |

### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| **1956** | **აიაქსი** |
| **1956** | **ფეიენოორდი** |
| **1956** | **პსვ** |
| **1956** | **უტრეხტი** |

### ჩრდილოეთ ირლანდია

| | |
|---|---|
| **1890** | **კლიფტონვილი** |
| **1890** | **გლენტორანი** |
| **1890** | **ლინფილდი** |
| 1924 | პორტდაუნი |
| 2006 | დონეგალი |

*ასევე არასდროს გავარდნილა „დერი", თუმცა 1972 წელს უსაფრთხოების პრობლემებიდან გამომდინარე ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიუღია, მოგვიანებით კი ირლანდიის ჩემპიონატში გადავიდა.*

### ნორვეგია

| | |
|---|---|
| 1975 | ლილესტრიომი |

### პერუ

| | |
|---|---|
| 1928 | უნივერსიტარიო |
| 2004 | სან მარტინი |

### პოლონეთი

| | |
|---|---|
| 1995 | ლეხი |
| 1996 | ოდრა |

*2006 წლამდე „ლეხს" „ამიკა" ერქვა. ასევე არასდროს გავარდნილა ლვოვის „პოგონი", თუმცა მეორე მსოფლიო ომის მერე ლვოვი უკრაინას დაუბრუნდა და შესაბამისად, პოლონეთის ჩემპიონატში ვეღარ ითამაშებდა.*

### პორტუგალია

| | |
|---|---|
| **1938** | **ბენფიკა** |
| **1938** | **პორტუ** |
| **1938** | **სპორტინგი** |
| 2005 | ნავალი |
| 2008 | ტროფენსე |

*ჩემპიონატის ჩატარება სინამდვილეში ოთხი წლით ადრე დაიწყო, მაგრამ 1938 წლამდე ჩემპიონატი სათასო ფორმატით ტარდებოდა.*

### რუმინეთი

| | |
|---|---|
| 1947 | დინამო |
| 1947 | სტიაუა |
| 1990 | გლორია ბისტრიცა |
| 2005 | ვასლუი |
| 2008 | ოტოპენი |

### რუსეთი

| | |
|---|---|
| **1992** | **სპარტაკი** |
| **1992** | **ლოკომოტივი** |
| **1992** | **ცსკა** |
| **1992** | **დინამო** |
| **1992** | **კრილია სოვეტოვი** |
| 1999 | სატურნი |
| 2001 | მოსკვა |
| 2003 | რუბინი |
| 2004 | ამქარი |
| 2005 | ტომი |
| 2006 | ნალჩიკი |
| 2007 | ხიმკი |

### შოტლანდია

| | |
|---|---|
| 1890 | სელტიკი |
| 1890 | რეინჯერსი |
| 1905 | აბერდინი |
| 2004 | ინვერნესი |

*პირველი მსოფლიო ომის დროს „აბერდინი" ჩემპიონატში არ თამაშობდა, თუმცა მისთვის ადგილი არ ჩამოურთმევიათ.*

### საბჭოთა კავშირი

| | |
|---|---|
| **1936** | **დინამო კიევი** |
| **1936** | **დინამო მოსკოვი** |
| 1936 | დინამო თბილისი |
| 1937 | ტორპედო მოსკოვი |
| 1988 | პამირი დუშანბე |
| 1990 | მეტალურგი ზაპოროჟიე |

*1936 წელს ორი ჩემპიონატი ჩატარდა, რომელთაგან პირველშიც თბილისის „დინამოს" არ უთამაშია, რაკი საკავშირო სპორტკომიტეტმა თბილისელები თავიდან მეორე ჯგუფში გაამწესა.*

### ესპანეთი

| | |
|---|---|
| **1928** | **ბილბაო** |
| **1928** | **ბარსელონა** |
| **1928** | **რეალი** |
| 2004 | ხეტაფე |
| 2007 | ალმეირა |

### შვედეთი

არავინ

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| 2008 | ვადუცი |

*ასევე არასდროს გავარდნილან „ლოზანა", რომელსაც 2002-2003 წლების სეზონში ლიცენზია შეუჩერეს და „სერვეტი", რომელიც 2005 წელს გაკოტრდა.*

### ტუნისი

| | |
|---|---|
| 1955 | აფრიკანი |
| 1955 | ტუნისიენი |
| 1955 | სფაქსიენი |
| 1955 | ეტოილ სპორტივი |
| 1955 | ესპერანსი |

### თურქეთი

| | |
|---|---|
| **1960** | **ბეშიქთაში** |
| **1960** | **ფენერბაჰჩე** |
| **1960** | **გალათასარაი** |
| 1974 | ტრაბზონსპორი |
| 2005 | სივასი |
| 2007 | ჰაჩეტეპე |
| 2007 | ისთანბული |

### ურუგვაი

| | |
|---|---|
| **1900** | **პენიაროლი** |
| 1901 | ნასიონალი |
| 1999 | ტაკუარემბო |

### იუგოსლავია

| | |
|---|---|
| **1932** | **ჰაიდუკი** |
| 1946 | ცრვენა ზვეზდა |
| 1946 | დინამო ზაგრები |
| 1946 | პარტიზანი |
| 1987 | რადი |



სელტიკი — 1890

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩინური მეთოდი: შეცდი? მიიღე!

**ჩინური** „გუანჯოუს" მწვრთნელმა შენ სიანფუმ აღიარა, რომ 11 აპრილს, „ხანჯოუსთან" მატჩის (2:3) შესვენებაზე თავის ფეხბურთელ ვან სიაოშის ცხვირ-პირი დაუმტვრია.

მწვრთნელის თქმით, ის გუნდის ინტერესებს იცავდა და პირველ ტაიმში დაშვებული შეცდომის გამო სათანადოდ გასცა პასუხი შეგირდს.

ვან სიაოშიმ მეორე ღლესვე დატოვა კლუბი, რომლის პრესსამსახურიც ამტკიცებს, რომ ფეხბურთელის წასვლას ამ ინციდენტთან არანაირი კავშირი არ აქვს.

აქვე გეტყვით, რომ სიანფუ ერთ-ერთი სახელიანი მწვრთნელია ჩინურ ფეხბურთში.

**ქახა შალამბერიძე**

# 36 საათი მოედანზე



**ინგლისში** ჩატარდა ყველაზე ხანგრძლივი მატჩი ფეხბურთში. ბრისტოლის აკადემიის გუნდმა და „ლიდს ბექერსმა" 36 საათი ითამაშეს.

შეხვედრა ლიდსელებმა მოიგეს 285:255.

ეს უცნაური მატჩი საქველმოქმედო მიზნით გაიმართა და მენინგიტთან ბრძოლის ფონდმა 10 ათასი გირვანქის შეგროვება შეძლო.

აქციაში ლეგენდარული უელსელი ფეხბურთელი იან რაშიც მონაწილეობდა.

**ქახა შალამბერიძე**

# ცრვენა ზვეზდა ფაფუ?

**ცნობილი** სერბული კლუბი „ცრვენა ზვეზდა" შეიძლება, გაქრეს.

ბელგრადული კლუბი გაკოტრების პირასაა, მწვრთნელ-ფეხბურთელებს უკვე თვეებია, ხელფასები არ აუღიათ და ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები.

ორმა ლეგიონერმა, სამხრეთაფრიკელმა ბერნარდ პარკერმა და განელმა მოჰამედ ავალ-ისამ გუნდი უკვე დატოვეს.

პრეზიდენტი დან ტანა კი აცხადებს, რომ „ცრვენა ზვეზდას" გადასარჩენად 13 მილიონი დოლარია საჭირო.

**ირაკლი ნინიძე**

ტოტალიზატორი

# 1X2 ამფსონეზი

სათამაშო სახლში ყურმოკრული

კოდი წყვილი შედეგი კოეფ-ტი სისტ

— ნახე რა ქნა ფედერერმა? პროსტაამც, ვავრინკასთან როგორ აგებ ტო! უნდა გადიკიდო ეს ფედერერი ბადეზე სარეცხივით და ჩოგნით უნდა სცემო.

— როჯერამ გაგიმაზა?

— გამიმაზა კი არა, ათასდოლარიანი ბილეთი დამაფლეთინა, მე მაგის აბადოკი რო დავფლითევისთან წაგო ტო! გვარი ნახე, რა! ვავრინკა!

-- შენ რო გცოდნოდა, რო ეგ ვავრინკაც შვეიცარიელია, მაგას არ ჩაწერდი.

— მერე რა, რო შვეიცარიელია?

— იყომარეს, ძმაო. ერთ უბანში არიან გაზრდილები. ჩოგნის ძმაკაცები არიან, თან ფედერერის პაპას ვავრინკას პაპის ვალი ჰქონდა ერთი ძროხა, ერთი ქილა მაწონი და ერთი თავი ყველი. ჰოდა, ფედერერი მონტე კარლოს ტურნირში დაუწვა და გაურასხოდა.

— ვან ბასტენს ვისი ვალიღა ჰქონდა, რო პეესვეს თამაში მისცა? არა რა, ტო! კარგი ფუტბალისტისგან კარგი ტრენერი არ გამოდის, მარა კარგი ყომარბაზი კი ეძრობა.

აბა, ვან ბასტენი რო ღვა შესწს წაგიგებს, როცა მე „აიაქსის" იქსდვა მიწერია, რა ფუტბოლზე მელაპარაკები? დასაევს გაუტანაო, დასაევს არა, ბასაევს...

— მარტო ვან ბასტენი, ძმაო? მოურინიო რო სუ გამოინტერდა? მორატი მაგას გააგიჟებს, დროზე თუ არ გაასწრო. დაიჭირა პატიოსანი პორტუგალიელი კაცი და თამაშებს აყიდინებს.

— „იუვესთან" ამბობ, ვითომ ნაჩალიჩარი იყო?

— აბა რა იყო, ტო! „ინტერს" მეტი კაცი დარჩა, აძინ ნოლს იგებს და ბოლო წუთზე გრიგერასგან გოლს უშვებს, რო პაზაკაზუ ნიჩია დასვან.

მაგ ნიჩიაზე, იმენა რანიერიმაც დიდი მაყუთი ჩაკეცა. ეგ ხო ჩემპიონობაზე ვერ გაიქაჩება და მოწესრიგებულად ღუნავს ფულებს. ასევროიანები ულაგია ჯიბეში 4-4-2 სქემით.

— ფერგიუსონიც არაა მაგათზე ნაკლები, ტო! „ევერტონთან" პენალტი ფერდინანდს რატო დაარტყმევინა? იმიტო რო ფერდინადთან შეკრულია და თითო მილიონი გირვანქა ედოთ „ევერტონის" გასვლაზე. გამოქანდა რიო 11 მეტრიდან და... ხუთი კუში ეწერა „ევერტონის" გასვლას, სერ ალქსს უნდა ასოციაციის თასის ფინალი? რად უნდა ტო! ჰოდა რიომაც გამაზააა... ეგრეა ძმაო, ეგრე კეთდება გირვანქები.

— ისე, „ბარსელონა" „ჩელსის" არ მისცემს ლიგის პოლუფინალს? სამი წლის წინ „ჩელსიმ" ხო გაატარა?

— იასნია მისცემს, ტო! ეგ ამბავი უკვე დაწერილ-გაწერილია გრაფიკში. „ბარსა" უწვება „ჩელსის", „არსენალი" „მანჩესტერს" და „მანჩესტერი" შარშანდელ ვალს დაუბრუნებს „ჩელსის" ფინალში. უეჭველს ვბაზრობ.

**ქუჩი ქომმარია**

ჩემი წაგებული ბილეთი:

| წყვილი | შედეგი | გატყდა |
|---|---|---|
| 001 პსვ — აიაქსი | 0,5 და ნაკლები | 6:2 |

მომდევნო ამფსონებში შეიტობთ თუ რა დაუბარა პაპამ როჯერ ფედერერს

114140 *



# ტერმინატორი ბექჰი

**ინგლისის** ნაკრებისა და იტალიური „მილანის" ნახევარმცველი დევიდ ბექემი კომპანია „მოტოროლამ" რეკლამაზე დაიყოლია.

გადაღებები უკვე დაიწყო, მოკლე სიუჟეტი კი ასეთია — „ტერმინატორის" როლში მყოფმა ბექემმა ახალ ტელეფონს, aura-ს უნდა გაუწიოს რეკლამირება.

ინგლისელი ჟურნალისტების ცნობით, ვეტერანმა ფეხბურთელმა მშვენივრად გაართვა თავი მოვალეობას და საკმაო ფულიც ჩაიჯიბა.

**ქახა შალამბერიძე**

# 36 წლის შემდეგ: მილანმა თასების თასი იყიდაო...



**ბრიტანელი** ევროპარლამენტარი რიჩარდ კორბეტი 1973 წლის თასების თასის ფინალის შედეგის გადახედვას ითხოვს.

მაშინ „მილანმა" „ლიდს იუნაიტედი" 1:0 დაამარცხა და ეს ერთადერთი გოლი წესების დარღვევით გავიდა — თავისუფალი ჯარიმიდან პირდაპირ კარში დაარტყეს, რასაც ბერძენმა მსაჯმა ხრისტოს მიხასმა ყურადღება არ მიაქცია.

„უეფას შანსი აქვს, დაანახოს ევროპას, რომ თუ დანაშაული წლების წინ მოხდა, ის მაინც არავის შერჩება. უეფამ მაშინ დასაჯა მსაჯი, მაგრამ არ გააუქმა შედეგი. ეს არ არის სწორი პოლიტიკა" — განაცხადა კორბეტმა.

ევროპარლამენტარი უეფას მოუწოდებს, ჩაატაროს გამოძიება და თუ „მილანს" მსაჯის მოსყიდვა დაუმტკიცდება, თასი „ლიდსს" გადაეცეს.

**ოთარ მხეიძე**

# სიკვდილთან მებრძოლი

**ბულგარეთის** ჩემპიონატში ფეხბურთელის სიცოცხლე თანამსაჯმა იხსნა.

ინციდენტი „ჩერნო მორეს" და პლოვდივის „ლოკომოტივის" შეხვედრისას მოხდა, როცა ჩერნომორელი გეორგი ილიევი მეტოქეს შეეჯახა, უგონოდ დაეცა და ენა გადაყლაპა...

თანამსაჯმა პლამენ გეორგიევმა დროულად შენიშნა ეს მომენტი და სანამ მოედანზე ექიმები შევიდოდნენ, პირველადი სამედიცინო დახმარება გაუწია დაზარალებულს.

საბედნიეროდ, ილიევი გონს მოეგო და უმალ საავადმყოფოში გააქანეს, სადაც ყბის მოტეხვა დაუდგინეს დიაგნოზად.

მსაჯმა კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ასეთი რამ პირველად სულაც არ შემთხვევია და ადრეც დახმარებია ფეხბურთელებს.

27 წლის გეორგი ილიევი 2006-07 წლებში ბულგარეთის ნაკრებში თამაშობდა და 11 მატჩში 1 გოლი გაიტანა.

**ქახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისი

## პრემიერლიგა. XXXIII ტური

# ტრისტანის ჩაქუჩი



დიეგო ტრისტანის გოლი

**ასტონ ვილა 1:1 ვესტ ჰემი**

1:0 პესკი (11), 1:1 ტრისტანი (85)

გაფრთხილება: იანგი, პეტროვი (ასტონ ვილა), ნობლე, ბოა მორტე, აპსონი (ვესტ ჰემი)

მსაჯი: რობ სტაილსი

4 კარში დარტყმა 6
13 კარისკენ დარტყმა 15
10 ჯარიმა 12
12 კუთხური 11
2 თამაშგარე 0
41 ბურთის ფლობა 59
2 გაფრთხილება 3

**მიდლსბრო 0:0 ფულემი**

გაფრთხილება: მაკმაჰონი, თუნჯაი, კინგი (მიდლსბრო), კონჩესკი (ფულემი)

მსაჯი: პიტერ უოლტონი

6 კარში დარტყმა 2
18 კარისკენ დარტყმა 11
10 ჯარიმა 15
9 კუთხური 1
5 თამაშგარე 1
45 ბურთის ფლობა 55
3 გაფრთხილება 1

**პორტსმუთი 1:0 ბოლტონი**

1:0 კანუ (79)

გაფრთხილება: კრანჩარი, დისტინი (პორტსმუთი), დევისი, ობრაიენი, ჰანტი, მაკკანი (ბოლტონი)

მსაჯი: ფილ დოუდი

8 კარში დარტყმა 1
17 კარისკენ დარტყმა 6
11 ჯარიმა 16
6 კუთხური 5
2 თამაშგარე 3
56 ბურთის ფლობა 44
2 გაფრთხილება 4

**სტოკი 1:0 ბლექბერნი**

1:0 ლაურენსი (75)

გაფრთხილება: უილკინსონი, დიანეფაიე, ფულერი (სტოკი), უორნოკი (ბლექბერნი)

მსაჯი: ჰოვარდ ვები

2 კარში დარტყმა 0
7 კარისკენ დარტყმა 7
14 ჯარიმა 11
4 კუთხური 6
1 თამაშგარე 1
48 ბურთის ფლობა 52
3 გაფრთხილება 1

**სანდერლენდი 1:0 ჰალი**

1:0 სისე (45)

გაფრთხილება: სისე, რიჩარდსონი (სანდერლენდი), ტარნერი, კილბეინი, ფაგანი (ჰალი)

მსაჯი: მაიკ დინი

3 კარში დარტყმა 2
7 კარისკენ დარტყმა 14
12 ჯარიმა 23
6 კუთხური 6
6 თამაშგარე 2
56 ბურთის ფლობა 44
2 გაფრთხილება 3

**ტოტენჰემი 1:0 ნიუკასლი**

1:0 ბენტი (24)

გაფრთხილება: ასუ-ეკოტო (ტოტენჰემი), ტეილორი (ნიუკასლი)

მსაჯი: მაიკ ჰელსი

4 კარში დარტყმა 3
19 კარისკენ დარტყმა 8
13 ჯარიმა 17
4 კუთხური 7
0 თამაშგარე 1
52 ბურთის ფლობა 48
1 გაფრთხილება 1

**სიტი 4:2 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 რობინიო (8), 2:0 ონუოჰა (21), 2:1, 2:2 ბრანტი (37, 54), 3:2 ელანო (56 პენ), 4:2 სტარიჯი (90)

გაფრთხილება: კომპანი (სიტი), კარსონი, მორისონი (ვესტ ბრომვიჩი)

მსაჯი: მაიკლ ჯონსი

9 კარში დარტყმა 10
9 კარისკენ დარტყმა 20
19 ჯარიმა 14
3 კუთხური 9
2 თამაშგარე 3
49 ბურთის ფლობა 51
1 გაფრთხილება 2

**7 თებერვლის** მერე „ასტონ ვილა" პირველ მოგებასთან ახლოს იყო, მაგრამ ვესტჰემელმა დიეგო ტრისტანმა მასპინძლები არ გაახარა.

მარტინ ონილის გუნდი თავიდანვე უგებდა „ჩაქუჩებს" იონ კარეუს გოლით, თუმც დასრულებამდე 5 წუთით ადრე სტუმართა ფორვარდმა გაათანაბრა.

„ასტონ ვილას" უკვე თერთმეტი ტურია, არ მოუგია.

„მიდლსბროს" საშინაო წაუგებელი სერია შვიდ მატჩამდე გაიზარდა „ფულემთან" უგოლო ფრის შემდეგ, მაგრამ ბოროელები კვლავ რჩებიან გასავარდნ ზონაში.

თავის მხრივ, „ფულემმა" ზედიზედ მეოთხე გასვლითი შეხვედრა არ წააგო.

„ბოლტონმა" წინა ტურში ლონდონში „ჩელსის" ათ წუთში გაუტანა სამი გოლი, პორტსმუთში კი 90-ში ერთიც ვერ შეაგდო და დამარცხებული დაბრუნდა, რადგან მასპინძელმა კანუმ თამაშის ბოლოს ერთადერთი გოლი მიითვალა.

„ბოლტონს" 29 ნოემბრის აქეთ სტუმრად არ მოუგია.

„სტოკი" შინ კარგი თამაშის წყალობით აგროვებს ქულებს და ამჯერად „ბლექბერნი" გაისტუმრა ხელცარიელი. სტოკელებმა ბოლო შვიდი საშინაო მატჩიდან მეოთხე მოიგეს, „ბლექბერნი" კი სახიფათო ზონასთან ტრიალებს, რადგან ზედიზედ სამ ტურში ისე წააგო, რომ გოლიც ვერ გაიტანა.

შვიდი მოუგებელი მატჩის შემდეგ (მათ შორის ბოლო ოთხში დამარცხებული) „სანდერლენდმა" ჯიბრილ სისეს თავური გოლით სძლია „ჰალს" და ცხრილში გადაასწრო. სისეს ისე გაუხარდა, რომ ლამის ტრიბუნაზე ავიდა და გასეირნებისთვის ყვითელი ბარათი მიიღო.

ალან შირერმა სამწვრთნელო კარიერაში პირველი მოგებით ჯერ ვერ გაიხარა. ლონდონში ჩასულ „ნიუკასლს" ტოტენჰემელი ბენტი ერთი გოლით გაუმასპინძლდა და შირერის გუნდი კვლავ გავარდნის კანდიდატია.

სხვა მატჩებთან შედარებით უხვგოლიანი გამოდგა „სიტის" და „ვესტ ბრომვიჩის" შეხვედრა, რომელშიც მანჩესტერელები ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ, მაგრამ სტუმრებმა ეს სხვაობა გააქრეს და „სიტის" ისევ ორი გოლის გატანა მოუხდა იმ გუნდის კარში, რომელიც 17 იანვრის მერე ველარ იგებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 31 | 22 | 5 | 4 | 54:21 | 71 |
| ლივერპული | 32 | 20 | 10 | 2 | 59:21 | 70 |
| ჩელსი | 32 | 20 | 7 | 5 | 55:20 | 67 |
| არსენალი | 32 | 17 | 10 | 5 | 54:28 | 61 |
| ასტონ ვილა | 33 | 15 | 9 | 9 | 49:43 | 54 |
| ევერტონი | 32 | 14 | 10 | 8 | 47:34 | 52 |
| ვესტ ჰემი | 33 | 12 | 9 | 12 | 3837 | 45 |
| ფულემი | 33 | 11 | 11 | 11 | 33:28 | 44 |
| ტოტენჰემი | 33 | 12 | 8 | 13 | 39:36 | 44 |
| სიტი | 33 | 12 | 5 | 16 | 51:44 | 41 |
| უიგანი | 32 | 11 | 8 | 13 | 31:36 | 41 |
| სტოკი | 33 | 10 | 9 | 14 | 33:48 | 39 |
| ბოლტონი | 33 | 11 | 4 | 18 | 39:50 | 37 |
| პორტსმუთი | 32 | 9 | 10 | 13 | 35:48 | 37 |
| სანდერლენდი | 33 | 9 | 8 | 16 | 31:43 | 35 |
| ჰალი | 33 | 8 | 10 | 15 | 36:56 | 34 |
| ბლექბერნი | 33 | 8 | 10 | 15 | 35:55 | 34 |
| მიდლსბრო | 33 | 7 | 10 | 16 | 25:47 | 31 |
| ნიუკასლი | 33 | 6 | 12 | 15 | 37:53 | 30 |
| ვესტ ბრომვიჩი | 33 | 6 | 7 | 20 | 30:63 | 25 |

### ჩემპიონატი. XXXXIV ტური

ჩარლტონი — ბლექპული 2:2; კრ. პალასი — დერბი 1:0; ნოტინგემი — ქოვენთრი 1:0; პლიმუთი — დონკასტერი 0:3; პრესტონი — კარდიფი 6:0; რედინგი — ბარნსლი 0:0; უენსდი — საუთჰემპტონი 2:0; სუონსი — ბრისტოლი 1:0; უოტფორდი — ბირმინგემი 0:1; ვულვზი — ქუინზ პარკი 1:0; იფსვიჩი — ნორვიჩი 3:2; ბარნლი — შეფილდი წუხელ გვიან დამთავრდა. შედეგი იხილეთ 31-ე გვერდზე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 44 | 26 | 8 | 10 | 78:51 | 86 |
| ბირმინგემი | 44 | 22 | 14 | 8 | 51:34 | 80 |
| შეფილდი | 43 | 21 | 13 | 9 | 63.38 | 76 |
| კარდიფი | 43 | 19 | 16 | 8 | 63:47 | 73 |
| რედინგი | 43 | 19 | 14 | 10 | 67:38 | 71 |
| ბარნლი | 43 | 19 | 12 | 12 | 65:58 | 69 |
| სუონსი | 44 | 16 | 20 | 8 | 63:48 | 68 |
| პრესტონი | 44 | 19 | 11 | 14 | 62:52 | 68 |
| იფსვიჩი | 44 | 15 | 15 | 14 | 57:52 | 60 |
| ბრისტოლი | 44 | 15 | 15 | 14 | 53:49 | 60 |
| ქუინზ პარკი | 44 | 15 | 15 | 14 | 41:42 | 60 |
| უენსდი | 44 | 15 | 12 | 17 | 49:57 | 57 |
| კრ. პალასი | 44 | 15 | 11 | 18 | 52:53 | 56 |
| დონკასტერი | 44 | 16 | 7 | 21 | 40:52 | 55 |
| ქოვენთრი | 43 | 13 | 14 | 16 | 43:52 | 53 |
| უოტფორდი | 44 | 14 | 10 | 20 | 62:69 | 52 |
| ბლექპული | 44 | 12 | 16 | 16 | 45:57 | 52 |
| დერბი | 43 | 13 | 12 | 18 | 53:62 | 51 |
| პლიმუთი | 44 | 13 | 11 | 20 | 43:55 | 50 |
| ნოტინგემი | 44 | 12 | 13 | 19 | 46:63 | 49 |
| ბარნსლი | 43 | 12 | 11 | 20 | 41:55 | 47 |
| ნორვიჩი | 44 | 12 | 10 | 22 | 55:64 | 46 |
| საუთჰემპტონი | 44 | 10 | 14 | 20 | 43:64 | 44 |
| ჩარლტონი | 43 | 7 | 14 | 22 | 46:69 | 35 |

### I ლიგა

ბრაიტონი — ოლდემი 3:1; ბრისტოლი — მილუოლი 4:2; კარლაილი — სუინდონი 1:1; ქრიუ — ჩელტენემი 1:2; ჰერეფორდი — კოლჩესტერი 0:2; ლიდსი — ტრანმერი 3:1; ლეიტონი — ნორთჰემპტონი 1:3; პიტერბრო — სტოკპორტი 1:0; სკანთორპი — მილტონი 0:1; საუთენდი — ლესტერი 0:2; უოლსოლი — ჰადერსფილდი 2:3; იოვილი — ჰარტლპული 2:3

### II ლიგა

როჩდეილი — დარლინგტონი 0:2; ბარნეტი — ლუთონი 1:1; ბრენტფორდი — აკრინგტონი 3:0; ბერი — მაკლსფილდი 3:0; ჩესტერი — ბორნმუთი 0:2; ჩესტერფილდი — ჯილინგემი 0:1; დაგენემი — ბრედფორდი 3:0; გრიმსბი — პორტ ვეილი 3:0; ლინკოლნი — ექსეტერი 0:1; მორეკომბი — ნოთსი 1:0; როტერჰემი — შრიუსბერი 1:2; უიკომბი — ალდერშოტი 3:0

## ასოციაციის თასი. ნახევარფინალი

# ბალახის ბრალია

**არსენალი 1:2 ჩელსი**

1:0 უოლკოტი (18), 1:1 მალუდა (33), 1:2 დროგბა (84)

არსენალი: ფაბიანსკი, ებუე, ტურე, სილვესტრი, გიბსი, ფაბრეგასი, დიაბი, დენილსონი (ნასრი 86), უოლკოტი, ვან პერსი (არშავინი 75), ადებაიორი (ბენდტნერი 83)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ჩელსი: ჩეხი, ივანოვიჩი, ალექსი, ტერი, ეშლი კოული, ბალაკი, ლამპარდი, ესიენი, მალუდა, ანელკა (კალუ 82), დროგბა

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

გაფრთხილება: დენილსონი, ტურე, ივანოვიჩი, ბალაკი, დროგბა

მსაჯი: მარტინ ატკინსონი

**მანჩესტერი 0:0 (2:4პ) ევერტონი**

მანჩესტერი: ფოსტერი, რაფაელ და სილვა, ფერდინანდი, ვიდიჩი ფაბიო და სილვა (ევრა 63), გიბსონი, ანდერსონი, პარკი (სქოულზი 67), ველბეკი, ტევესი, მაჩედა (ბერბატოვი 91)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ევერტონი: ჰოვარდი, ჰიბერტი, იაგიელკა, ლესკოტი, ბეინსი, ნევილი, ოსმანი, ფელაინი (ვოგანი 102), პიენაარი, კეჰილი, საა (როდუელი 70)

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: რაფაელი, ტევესი სქოულზი, ფელაინი, კეჰილი

მსაჯი: მაიკ რაილი

**„არსენალმა"** ორი წლის წინანდელი გამეორა — მაშინაც „ჩელსის" უგებდა უოლკოტის გოლით და მერე ორი გაუშვა. ოღონდ, იმ მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად საქმე ჩხუბამდე არ მისულა.

ყველაზე მეტად ვენგერი დროგბას უფრთხოდა და სწორედ დროგბა გაექცა მცველებს და მეკარე ფაბიანსკიც უხეიროდ გამოვიდა კარიდან, რითაც ისარგებლა კიდეც ჩელსელმა ფორვარდმა.

მეორე ნახევარფინალის გმირი კი „ევერტონის" მეკარე ტიმ ჰოვარდი გახდა, რადგან ბერბატოვს და ფერდინადს არ გაატანინა.

„ევერტონმა" 1995 წლის შემდეგ პირველად მოახერხა თასის ფინალში გასვლა.

არსენ ვენგერმაც და ალექს ფერგიუსონმაც „უემბლის" უხარისხო ბალახი თათხეს და ამით მოიფხანეს გულები.

**ვაჟა ხუციშვილი**



ექს-მანჩესტერელმა ტიმ ჰოვარდმა მანჩესტერელებს ორი პენალტი აუღო

ეროვნული ბიბლიოთეკა



## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XXXII ტური

მოზერუელი — სენტ მირენი 0:2; სელტიკი — აბერდინი 2:0; დანდი იუნ. — კილმარნოკი 0:0; ფოლკირკი — ჰართსი 0:0; ინვერნესი — ჰამილტონი 1:1; ჰიბერნიანი — რეინჯერსი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 32 | 22 | 7 | 3 | 68:25 | 73 |
| სელტიკი | 32 | 21 | 8 | 3 | 73:29 | 71 |
| ჰართსი | 32 | 14* | 9 | 9 | 35:33 | 51 |
| აბერდინი | 32 | 13 | 8 | 11 | 35:32 | 47 |
| დანდი იუნ. | 32 | 11 | 13 | 8 | 42:40 | 46 |
| მოზერუელი | 32 | 11 | 8 | 13 | 35:42 | 41 |
| ჰიბერნიანი | 32 | 9 | 12 | 11 | 37:41 | 39 |
| კილმარნოკი | 32 | 9 | 7 | 16 | 30:41 | 34 |
| ჰამილტონი | 32 | 10 | 4 | 18 | 26:46 | 34 |
| სენტ მირენი | 32 | 8 | 9 | 15 | 27:43 | 33 |
| ინვერნესი | 32 | 8 | 5 | 19 | 31:52 | 29 |
| ფოლკირკი | 32 | 6 | 10 | 16 | 32:47 | 28 |

### I დივიზიონი

კლაიდი — ერდრი 3:0; ლივინგსტონი — დანდი 0:1; მორტონი — პარტიკი 0:1; როსი — დანფერმლაინი 1:3; სტ. ჯონსტონი — ქუინი 2:3

### II დივიზიონი

ბრეჩინი — ეარი 1:0; ისტ ფაიფი — ალოა 0:2; ქუინს პარკი — არბროა 0:1; სტირლინგი — რაითი 0:1; სტრანრარი — პიტერჰედი 0:1

### III დივიზიონი

ალბიონი — ელგინი 0:3; ბერვიკი — სტენჰაუზმური 0:3; ქოუდენბითი — დამბარტონი 0:0; ისტ სტირლინგი — მონტროუზი 2:1; ფორფარი — ანანი 2:1

## სერბეთი

### სუპერლიგა

ბანატი — იაგოდინა 2:0; ჩუკარიჩკი — ბორაცი 0:0; ცრვენა ზვეზდა — ვოივოდინა 0:1; ნაპრედაკი — ბელგრადი 1:0; რადი — ჰაიდუკი 1:1; პარტიზანი — იავორი 1:0

### თასი

ბანატი — ბელგრადი 1:0; ცრვენა ზვეზდა — სმედერევო 4:1; ჰაიდუკი — პარტიზანი 0:4; ნაპრედაკი — სევოინო 1:1 (4:5პენ)

## სლოვენია

### I ლიგა. XXIX ტური

ნაფტა — დომჟალე 0:0; ლიუბლიანა — პრიმორიე 3:1; ცელიე — დრავა 1:3; ნოვა გორიცა — კოპერი 1:0; მარიბორი — რუდარი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 28 | 15 | 11 | 3 | 57:35 | 56 |
| ცელიე | 29 | 13 | 8 | 8 | 41:30 | 47 |
| ნოვა გორიცა | 29 | 13 | 5 | 11 | 47:45 | 44 |
| რუდარი | 29 | 13 | 4 | 12 | 38:34 | 43 |
| დომჟალე | 28 | 10 | 12 | 7 | 37:30 | 42 |
| ნაფტა | 29 | 10 | 9 | 10 | 31:40 | 39 |
| ლიუბლიანა | 28 | 10 | 7 | 11 | 41:39 | 37 |
| კოპერი | 29 | 6 | 11 | 12 | 29:43 | 29 |
| პრიმორიე | 29 | 5 | 12 | 12 | 28:44 | 27 |
| დრავა | 28 | 7 | 5 | 16 | 32:42 | 26 |

## იაპონია

### ჯეი ლიგა

ოსაკა — იამაგატა 2:1; კაშივა — ნაგოია 1:2; ნიიგატა — ჰიროშიმა 3:3; კაშიმა — იოკოჰამა 0:0; კავასაკი — ომია 3:1; ტოკიო — ჩიბა 1:2; ურავა — კიოტო 1:0; ივატა — შიმიცუ 3:0; კობე — ოიტა 3:2

## უელსი

### პრემიერდივიზიონი

აბერისთვითი — ლანელი 1:1; ეარბასი — ველშპული 5:0; კონაჰი — კარნარფონი 1:1; ჰავერფორდვესტი — პორტ ტალბოტი 0:1; ბანგორი — პრესტატინი 1:1; ქეარსვსი — დრუიდსი 1:2; კარმართენი — ნიუთაუნი 0:0; რილი — ტნს 2:1

## მაკედონია

### პრვა ლიგა

მაკედონია — პობედა 3:0; მილანო — პელისტერი 4:1; რაბოტნიჩკი — ჰორიზონტი 3:1; რენოვა — ნაპრედოკი 3:0; სილექსი — მეტალურგი 0:3

# გერმანია

## ბუნდესლიგა. XXVIII ტური

# გრაფიტეს სიხარული და ტრაგედია

**შალკე 4:0 კოტბუსი**

1:0 ბანდერი (4), 2:0 ჰალილ ალთინთოფი (23), 3:0 ჯონსი (60), 4:0 კურანი (88)
გაფრთხილება: დასილევიჩი (კოტბუსი)
მსაჯი: მიხაელ ვაინერი
9 კარში დარტყმა 3
6 კარისკენ დარტყმა 1
9 ჯარიმა 20
4 კუთხური 1
5 თამაშგარე 2
74 ბურთის ფლობა 26
0 გაფრთხილება 1

**კარლსრუე 2:2 ჰოფენჰაიმი**

0:1 სალიჰოვიჩი (28), 1:1 ფრეისი (33), 1:2 ტებერი (48), 2:2 ფედერიკო (65)
გაფრთხილება: აიხნერი, ფრანცი (კარლსრუე), ვესისი, სალიჰოვიჩი, ტებერი, დიასი (ჰოფენჰაიმი)
მსაჯი: ტორსტენ კინჰოფერი
6 კარში დარტყმა 8
7 კარისკენ დარტყმა 14
20 ჯარიმა 22
4 კუთხური 5
5 თამაშგარე 7
53 ბურთის ფლობა 47
3 გაფრთხილება 3

**ვოლფსბურგი 2:1 ლევერკუზენი**

1:0 გრაფიტე (23 პენ), 1:2 კროოსი (54), 2:1 გრაფიტე (85)
გაფრთხილება: რიზერი (ვოლფსბურგი), ფრიდრიხი, კადლეცი, კასტრო (ლევერკუზენი)
მსაჯი: იოხენ დრეესი
11 კარში დარტყმა 3
8 კარისკენ დარტყმა 8
19 ჯარიმა 23
5 კუთხური 5
2 თამაშგარე 5
34 ბურთის ფლობა 66
1 გაფრთხილება 3

**კიოლნი 0:3 შტუტგარტი**

0:1, 0:2, 0:3 გომესი (16, 55, 71)
გაფრთხილება: ბრეკო, მაკკენა (კიოლნი), ჰიცლშპერგერი (შტუტგარტი)
მსაჯი: პეტერ გაგელმანი
3 კარში დარტყმა 3
8 კარისკენ დარტყმა 10
9 ჯარიმა 16
4 კუთხური 5
2 თამაშგარე 2
56 ბურთის ფლობა 44
2 გაფრთხილება 1

**აინტრახტი 4:1 გლადბახი**

1:0 მეიერი (40), 2:0 ლიბეროპულოსი (47), 2:1 დაემსი (75 პენ), 3:1 რუსი (80), 4:1 ფინკი (88)
ბრედლიმ (გლადბახი) 65-ე წუთზე ვერ გაიტანა პენალტი — მეკარე
გაფრთხილება: კრისი, რუსი (აინტრახტი), ბაუმიოჰანი (გლადბახი)
მსაჯი: ფელიქს ბრიხი
4 კარში დარტყმა 4
7 კარისკენ დარტყმა 11
16 ჯარიმა 19
8 კუთხური 3
5 თამაშგარე 3
51 ბურთის ფლობა 49
2 გაფრთხილება 1

**არმინია 0:1 ბაიერნი**

0:1 ტონი (64)
გაფრთხილება: შულერი, ბოლმანი, ლამეი, მიატოვიჩი (არმინია), ვან ბომელი, ტონი დემიკელისი (ბაიერნი)
მსაჯი: ფლორიან მაიერი
1 კარში დარტყმა 9
7 კარისკენ დარტყმა 12
22 ჯარიმა 27
2 კუთხური 11
8 თამაშგარე 5
30 ბურთის ფლობა 70
4 გაფრთხილება 3

**ბოხუმი 0:2 დორტმუნდი**

0:1 ოვომოიელა (11), 0:2 ვალდესი (54)
გაფრთხილება: კლიმოვიჩი (ბოხუმი)
მსაჯი: პეტერ ზიპელი
4 კარში დარტყმა 8
24 კარისკენ დარტყმა 8
10 ჯარიმა 18
7 კუთხური 6
0 თამაშგარე 2
51 ბურთის ფლობა 49
1 გაფრთხილება 0

**ჰამბურგი 2:1 ჰანოვერი**

1:0, 2:0 პეტრიჩი (2, 52), 2:1 ფორსელი (70პ)
გაფრთხილება: გერერო (ჰამბურგი), შტაინერი (ჰანოვერი)
მსაჯი: მარკუს შმიდტი
7 კარში დარტყმა 2
8 კარისკენ დარტყმა 9
13 ჯარიმა 26
3 კუთხური 1
5 თამაშგარე 1
50 ბურთის ფლობა 50
1 გაფრთხილება 1

**ჰერტა 2:1 ვერდერი**

0:1 მერტესაკერი (43), 1:1 შიმუნიჩი (71). 2:1 რაფაელი (87)
გაფრთხილება: დრობნი, დარდაი, კაჩარი (ჰერტა)
მსაჯი: ბაბაკ რაფატი
4 კარში დარტყმა 5
9 კარისკენ დარტყმა 5
19 ჯარიმა 18
5 კუთხური 10
3 თამაშგარე 3
47 ბურთის ფლობა 53
3 გაფრთხილება 0

**ესეც** ათი — „ვოლფსბურგმა“ ზედიზედ მეათე მოიგო და სულაც არ ადარდებს, რომ „ბაიერნი“ კვალში უდგას.

ფელიქს მაგათის გუნდმა გრაფიტეს დუბლით შაბათს „ლევერკუზენი“ დაამარცხა, კვირას კი გრაფიტეს მამა გარდაეცვალა და ბრაზილიაში გაემგზავრა.

„ბაიერნი“ „ვოლფსბურგივით“ შთამბეჭდავი ვერაა — კლოზეს გარეშე დარჩენილ გუნდს ტონილა შერჩა შეტევაში და სწორედ იტალიელის კინკილა გოლმა მოაგებინა ბავარიელებს ბილეფილდში „არმინიასთან“.

სეზონის ბოლოს მოფერიანდა „შტუტგარტი“, რომელმაც მიჯრით მეოთხე ტურში იმარჯვა. მარკუს ბაბელის გუნდმა კიოლნში „თხებს“ მარიო გომესის ჰეთ თრიქით სძლია.

ეს იყო „კიოლნის“ ზედიზედ მესამე წაგება.

ერთი-მეორეზე სამი მოგება მიალაგა „შალკემ“ და სამივე გოლგაუშვებლად. პარასკევს „ხუმარებმა“ უსუსურ „კოტბუსს“ გადაურბინეს. კოტბუსელებს გელზენკირხენში 600-მდე ქომაგი ჩაჰყვა და საკუთარი გუნდის საშინელი თამაში ნახა. „კოტბუსის“ ფეხბურთელები ნამატჩევს გულშემატკივრებს მგზავრობის საფასურის ანაზღაურებას დაჰპირდნენ.

„შალკეზე“ მეტი — მიჯრით ოთხი გამარჯვება მიითვალა „დორტმუნდმა“ და ამიტომაც უწია მეშვიდე ადგილს. ბოხუმში ჩასულ დორტმუნდელებს სამი ქულა ოვომოიელას და ვალდესის გოლებმა მოუტანა.

„აინტრახტმა“ ისედაც დაბეჩავებული და გასავარდნად გამზადებული „გლადბახი“ არ დაინდო და ოთხი გოლით გაუმასპინძლდა.

„კარლსრუე“ და „ჰოფენჰაიმი“, რომლებსაც ორ თვეზე მეტია არ მოუგიათ, ერთმანეთს ფრით დასცილდნენ, თუმც „ჰოფენჰაიმი“ ორჯერ იგებდა და უპირატესობა ვერ შეინარჩუნა.

ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ „ჰერტამ“ „ვერდერთან“ მოიგო, რომელიც სამი ტურია, ველარ იმარჯვებს, ხოლო „ჰამბურგმა“ პეტრიჩის დუბლით „ჰანოვერს“ სძლია.

**რომან თურქია**



გრაფიტემ „ვოლფსბურგს“ სამქულიანი ჰანდიკაპი შეუნარჩუნა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვოლფსბურგი | 28 | 17 | 6 | 5 | 62:34 | 57 |
| ბაიერნი | 28 | 16 | 6 | 6 | 59:36 | 54 |
| ჰამბურგი | 28 | 17 | 3 | 8 | 42:38 | 54 |
| ჰერტა | 28 | 16 | 4 | 8 | 42:35 | 52 |
| შტუტგარტი | 28 | 15 | 6 | 7 | 50:37 | 51 |
| შალკე | 28 | 13 | 7 | 8 | 42:27 | 46 |
| დორტმუნდი | 28 | 11 | 13 | 4 | 45:33 | 46 |
| ჰოფენჰაიმი | 28 | 12 | 9 | 7 | 54:40 | 45 |
| ლევერკუზენი | 28 | 12 | 6 | 10 | 50:36 | 42 |
| ვერდერი | 28 | 9 | 9 | 10 | 52:39 | 36 |
| აინტრახტი | 28 | 8 | 8 | 12 | 36:45 | 32 |
| კიოლნი | 28 | 9 | 5 | 14 | 30:43 | 32 |
| ჰანოვერი | 28 | 7 | 8 | 13 | 39:58 | 29 |
| ბოხუმი | 28 | 6 | 10 | 12 | 33:44 | 28 |
| არმინია | 28 | 4 | 12 | 12 | 22:41 | 24 |
| გლადბახი | 28 | 6 | 5 | 17 | 34:53 | 23 |
| კოტბუსი | 28 | 6 | 5 | 17 | 24:51 | 23 |
| კარლსრუე | 28 | 5 | 4 | 19 | 20:46 | 19 |

### II ბუნდესლიგა XXVIII ტური

აუგსბურგი — ოსნაბრიუკი 3:0; მაინცი — ალენი 0:0; ჰანზა — ობერჰაუზენი 3:1; ალემანია — ფრანკფურტი 2:0; დუისბურგი — კობლენცი 2:3; ფრაიბურგი — ინგოლშტადტი 3:2; ნიურნბერგი — ზანკტ პაული 2:0; ვეჰენი — ფიურტი 0:1; მიუნხენი — ლაუტერნი წუხელ გვიან დამთავრდა. შედეგი იხილეთ 31-ე გვერდზე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრაიბურგი | 28 | 17 | 4 | 7 | 45:28 | 55 |
| ნიურნბერგი | 28 | 13 | 10 | 5 | 44:25 | 49 |
| მაინცი | 28 | 13 | 9 | 6 | 48:31 | 48 |
| ფიურტი | 28 | 14 | 6 | 8 | 53:38 | 48 |
| ალემანია | 28 | 13 | 6 | 9 | 47:33 | 45 |
| ლაუტერნი | 27 | 13 | 6 | 8 | 43:32 | 45 |
| დუისბურგი | 28 | 10 | 11 | 7 | 42:31 | 41 |
| ზანკტ პაული | 28 | 11 | 6 | 11 | 45:54 | 39 |
| კობლენცი | 28 | 10 | 7 | 11 | 42:42 | 37 |
| ობერჰაუზენი | 28 | 10 | 6 | 12 | 30:45 | 36 |
| აუგსბურგი | 28 | 9 | 8 | 11 | 35:35 | 35 |
| მიუნხენი | 27 | 9 | 7 | 11 | 37:35 | 34 |
| ფრანკფურტი | 28 | 8 | 9 | 11 | 29:37 | 33 |
| ალენი | 28 | 9 | 6 | 13 | 30:48 | 33 |
| ჰანზა | 28 | 7 | 9 | 12 | 40:45 | 30 |
| ოსნაბრიუკი | 28 | 6 | 10 | 12 | 35:51 | 28 |
| ინგოლშტადტი | 28 | 6 | 9 | 13 | 30:45 | 27 |
| ვეჰენი | 28 | 4 | 9 | 15 | 25:45 | 21 |

### III ლიგა

აალენი — ემდენი 0:1; ბაიერნი (მ) — ვუპერტალი 2:0; კიკერსი — რეგენსბურგი 1:1; ზანდჰაუზენი — შტუტგარტი (მ) 1:1; აალენი — კარლ ცაისი 3:2; აუე — ემდენი 3:0; ვერდერი (მ) — ბრაუნშვაიგი 1:1; ერფურტი — ბურგჰაუზენი 0:3; პადერბორნი — დინამო 1:2; კიკერსი — ვუპერტალი 0:1; უნტერჰახინგი — ოფენბახი 1:0; ფორტუნა — უნიონი 0:1; რეგენსბურგი — ბაიერნი (მ) 1:2

### ჩრდ. რეგიონალლიგა

ჰერტა (მ) — პლაუენი 1:0; მაგდებურგი — ლაიპციგი 0:0; ალტონა — ვოლფსბურგი (მ) 0:1; ჰანოვერი (მ) — ბაბელსბერგი 0:1; კილი — ჰანზა (მ) 1:1; თურქიემსფორი — ჰერტა (მ) 0:1; ვილჰელმშავენი — ლიუბეკი 2:1; ქემნიცი — ჰალეშერი 1:3; კოტბუსი (მ) — პლაუენი 1:1; ობერნეულანდი — ჰამბურგი (მ) 0:3

### სამხრეთ რეგიონალლიგა

